# ალია

## მაინც არ ეშვება „ოცნება“ მარჯვენასაჭიან მანქანებს — ამ უაზრო გადასახადებით გინდათ ბიუჯეტის შევსება?!

ჰოდა, რატომ გინდათ, რომ ამ გაჭირვებულ დროში უფრო მეტი ფული ვხარჯოთ და თან ამას გაგებითაც მოვეკიდოთ?!

7

N183/3304/ 3 დეკემბერი 2015 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

WWW.ALIA.GE

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

## და რომელი სასამართლო იმსახურებს შექებას და თავზე ხელის გადასმას რო?!



2

## გადასარევი გადაწყვეტილება მიუღია ახალ პროკურორს — შოთაძე მოქალაქეებთან შეხვედრის დღეს აწესებს



2

## ილიკოსა და ილარიონის არ იყოს, ქვეყანა რომ იქცევა, ნატოში რომ არ გვილებენ, თქვენ რა გახარებთ, ბატონო პრეზიდენტო?

ღამე იყო მთვარიანი,
ნატო კიდევ — ნაღვლიანი,
ცრემლი მომდის სიხარულით...
ნატო — დედაარღნიანი!..



2

## აი, ეს ამდენი სიტყვიერი მხარდაჭერა ნატომ ერთ ადგილზე გაიკეთოს!!!



ბრიუსელში ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალი ჩატარდა, რომელზეც რაც შევიტანეთ, ისევე ის გამოვიტანეთ... თუმცა არა, რაც ჩვენ ნატოში გვაქვს შეტანილი, იმის ნახევრის ნახევარიც ვერ გამოვიტანეთ

3

## სააკაშვილი პოროშენკოს ოპოზიციაში გადასვლით აშანტაჟებს — უკრაინული მედია მორიგ ფარულ ჩანაწერს აქვეყნებს



4

## ია ანთაძე, ვასილ მაღლაფერიძე და კობა ლიკლიკაძე „ოცნების“ საარჩევნო სიის ათეულში?

რა განუცხადა სამეულმა „ალიას“...



5

## იუსტიციის უმაღლესი საბჭო შავრაზმელების ხელშია...



7

## რატომ ჩერნოგორია და არა საქართველო?!




9

## იუსტიციის მინისტრს ჰგონია, რომ ყველას სკლეროზი დაგვემართა, ისე ისაწყლებს თავს



11

## SMS რეკლამების უკანონოდ გავრცელების გამო 16 კომპანია დააჯარიმეს



12

## ბავშვთა სახლები ულიცენზიოდ ვეღარ იმუშავებენ




13

## ზაზა ხატიაშვილი: „არა მგონია, ბიძინა ივანიშვილს ჩვენზე მეტი ავტორიტეტი ჰქონდეს და მან გაბედოს მურუსიძის დანიშვნა“



9

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, ზვიად კვაჭანტირაძის განცხადებით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, დროებითი მმართველის ინსტიტუტი მხოლოდ ბეჭდური და ელექტრონული მედიისთვის უქმდება, უცნაურია.

როგორც ზვიად კვაჭანტირაძემ განაცხადა, საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

– საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი, რაც გამოქვეყნდა, ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ მოსარჩელე „ტელეკომპანია საქართველოს“ სარჩელი, რომელიც ამ ნორმის საერთოდ აკრძალვას ითვალისწინებდა, გათვალისწინებული არ არის. გარკვეულწილად გამონაკლისია მხოლოდ იურიდიულ პირებზე, რომლებიც ელექტრონულ და ბეჭდურ მედიაში მოღვაწეობენ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდეა შეჩერებული.

საკითხს გამოეხმაურა პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძეც. მისი თქმით, საკონსტიტუციო სასამართლო არაობიექტურია, როდესაც ერთი იურიდიული პირის სასარგებლოდ იხილავს აღნიშნულ ნორმას.

– სასამართლო არაობიექტურია, როდესაც ნორმას აჩერებს ერთი სუბიექტის, „რუსთავი 2“-ის სასარგებლოდ. თუ აღნიშნული ნორმის მოქმედება სხვა ბიზნესსუბიექტს შეუქმნის პრობლემას, ეს, როგორც ჩანს, სასამართლოს ზრუნვის საგანი არაა, – განაცხადა კობახიძემ.

მისივე თქმით, საკონსტიტუციო სასამართლო „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით საეჭვო გადაწყვეტილებებს ზედიზედ იღებს.

– საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკულად გაცდა კანონით დადგენილ ფარგლებს და

## და რომელი სასამართლო იმსახურებს შექებას და თავზე ხელის გადასმას რო?!



– განაცხადა კვაჭანტირაძემ.

შეგახსენებთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „შპს ტელეკომპანია საქართველო – საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადება და 271-ე მუხლის ნორმატიული შინაარსის მოქმედება შეაჩერა.

კერძოდ, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, იურიდიული პირის – მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი ან ელექტრონული საშუალების ხელმძღვანელობის, მართვისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების, მათ შორის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 და 91-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებამოსილების დროებითი მმართველისთვის მინიჭება შეჩერდა.

აღნიშნული ნორმატიული შინაარსის ქმედება ერთი სუბიექტის სასარგებლოდ შეაჩერა ნორმის მოქმედება, რაც დაუშვებელია. არ შეიძლება ერთ მოსარჩელეს, ერთ სუბიექტს მთელი კანონმდებლობა გადააყოლო, – აღნიშნა კობახიძემ. (რეპორტიორი)

**ისე, თქვენ არ იყავით, ქალბატონო მანანა, რომ გვეუბნებოდით, სასამართლომ რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, უნდა დავემორჩილოთ, თავი დავუხაროთ და ერთ ლოყაში რომ გვთხლიშავს, მეორე მივუშვიროთო? მაშ, ახლა რატომ გაქვთ ასეთი რეაქცია, რას იტყვიან ჩვენი საერთაშორისო მეგობრები, რომ შეშფოთდნენ, რა ეშველება მერე საქართველოს?**

**ისე, კარგია და მოგვწონს, თავადაც რომ აღიარებთ ხოლმე მონა მოსამართლეების არსებობას, კი შეფარვით, მაგრამ მაინც გვიხარია, რომ ჩვენ ისევ მართლები ვართ, როგორც ყოველთვის, ხელისუფლება კი ისევ მტყუანი — დიახ, როგორც ყოველთვის!..**

## გადასარევი გადაწყვეტილება მიუღია ახალ პროკურორს — შოთაძე მოქალაქეებთან შეხვედრის დღეს აწესებს



მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე მოქალაქეებთან შეხვედრის დღეს აწესებს. ამის შესახებ შოთაძემ მისი უწყების სხვადასხვა რგოლების ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს განაცხადა.

ირაკლი შოთაძის თქმით, იმისთვის, რომ პროკურატურა განვითარდეს, ერთ-ერთი აუცილებელი პირობა საზოგადოებასთან ურთიერთობაა.

შოთაძემ პროკურორების დამოუკიდებლობის გაზრდასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზეც ისაუბრა.

– მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან და ჩვეულებრივ მოქალაქეებთან ურთიერთობა. ვაპირებთ უახლოეს მომავალში შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. თითოეული რაიონული ოლქის პროკურორთან მოქალაქეებს გამოეყოფათ ღია კარის დღე, რა დროსაც შესაძლებლობა ექნებათ, შეხვდნენ მათ. ასევე, ვაპირებ, დავაწესო კონკრეტული დღე, როცა მოქალაქეებს ექნებათ პირადად ჩემთან შეხვედრის შესაძლებლობა, – განაცხადა ირაკლი შოთაძემ. (ნიუპოსტი)

**„ალიამ“ დეტალების გარკვევა პროკურატურის პრესსამსახურში სცადა. როგორც ნათია სუხიაშვილმა გვითხრა, ეს მთავარი პროკურორის ინიციატივაა და ჯერჯერობით დეტალები დაზუსტებული არ არის. მისივე თქმით, როგორც კი ყველაფერი გაირკვევა, საზოგადოება ამას აუცილებლად შეიტყობს.**

**ცოტათი გული კი დაგვწყდა, რადგან, როდის შეძლებენ მოქალაქეები მთავარ პროკურორთან შეხვედრას — წელსვე, მომავალ წელს თუ ხუთი წლისა და 11 თვის შემდეგ, დაზუსტებული არ ყოფილა, თუმცა ინიციატივა მაინც მისასალმებელია.**

**ისე, უნებურად სააკაშვილის ძველისძველი განცხადება გაგვახსენდა — ხელისუფლებაში ახალი მობრძანებული რომ იყო, თავს იწონებდა: ყველა ჩინოვნიკი უნდა ურთიერთობდეს ხალხთან და ყველა უნდა პასუხობდეს სატელეფონო ზარებსო.**

**ჰოდა, როგორ ურთიერთობდნენ „ნაცები“ ხალხთან, ძალიან მტკივნეულად გვახსოვს, განსაკუთრებით მტკივნეულად და საშინლად კი სწორედ პროკურატურა გვახსენდება. იმედია, შოთაძის ამ ინიციატივასაც მსგავსი გაგრძელება არ მოჰყვება და რაიმე რეალურ შედეგს მართლა მიიღებენ განაწამები და გამწარებული მოქალაქეები.**

**ჰო, ირაკლი ბატონო, არ გვინდა ვიფიქროთ, რომ ამ ინიციატივის უკან „ახალი ცოცხი კარგად გვის“ პრინციპი დგას და მოდით, დაამტკიცეთ, რომ მართლა შეგიძლიათ დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულება!..**

**პირდაპირ გაკვირვებას კი ვართ, პროკურატურის, მით უმეტეს, მთავარი პროკურორის შექება რომ გვიხდება, მაგრამ როგორც ახლა შეგაქეთ, დარწმუნებული იყავით, ასჯერ მეტად გადენთ ძმრად, თუ პირობას არ შეასრულებთ და ყოველ ჩაფლავებულ ამბავს დეტალურად, მისხალ-მისხალ გავაშუქებთ!**

**ჰოდა, რადგან ასეთი ინიციატივა გააჟღერეთ, ჩემო ბატონო, ბარემ დეტალებიც დროულად მოიფიქრეთ და გააგებინეთ ხალხს, როდის შეძლებთ მათთან პირადად შეხვედრას.**

**ფაქტია, დიდი ჯაფა კი დაგადგებათ და ალბათ, არ დასრულდება რიგები თქვენს კაბინეტთან...**

**ბარემ აქვე მივამატებთ, რომ ირაკლი შოთაძის წინამორბედი გიორგი ბადაშვილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს უხელმძღვანელებს. საგამოძიებო სამსახურის ახალი უფროსი თანამშრომლებს ნოდარ ხადურმა წარუდგინა.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## თავდასხმა კალიფორნიაში — დაღუპულია 20 ადამიანი



კალიფორნიაში, ქალაქ სან-ბარნარდინოში ცენტრალურ პარკთან ახლოს ორგანიზაცია **Inland Regional Center**-ში მომხდარ სროლას 20 ადამიანი ემსხვერპლა, დაშავებულია ათობით ადამიანი.

ქალაქის პოლიციის დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, თავდამსხმელი შენობაში შეიჭრა და ცეცხლსასროლი იარაღით უმისამართოდ ისროდა. ასევე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ თავდასხმა რამდენიმე შეიარაღებულმა პირმა მოაწყო.

ცნობილია, რომ თავდამსხმელი ხალხს შეერია და მიმალვა შეძლო. **Inland Regional Center** არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშაობს. ორგანიზაციაში 670-მდე ადამიანია დასაქმებული, რომელიც დაახლოებით 30 000-ზე მეტ შშმ პირს ემსახურება. (ნიუპოსტი)

საქართველოს პრეზიდენტი მონტენეგროელ კოლეგას ქვეყნის ნატოში გაწევრებისთვის მიწვევას ულოცავს:

– თქვენო აღმატებულებავ, ჩემთვის დიდი პატივია, გულითადად მოგილოცოთ თქვენ, მონტენეგროს ხელისუფლებასა და ხალხს, ეს ისტორიული გადაწყვეტილება – ნატოს 29-ე წევრად მიღებისთვის ალიანსის მიწვევა.

მოხარული ვარ აღვნიშნო, რომ თქვენი ხელმძღვანელობით, ამ წლების მანძილზე არსებული გამოწვევების მიუხედავად, მონტენეგრომ ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია.

გაწეული რთული სამუშაოსა და ძლიერი ძალისხმევის აღიარება ჭეშმარიტი წარმატება და გამარჯვებაა.

დარწმუნებული ვარ, რომ ნატოს გაფართოება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია, რომელიც სარგებელს მოუტანს როგორც ალიანსს, ასევე წაახალისებს თქვენი ხალხის კეთილდღეობასა და სახელმწიფოებრიობას.

პატივცემულო პრეზიდენტო, მსურს აღვნიშნო, რომ თქვენი ქვეყნისთვის დღეს მიღებული მნიშვნელოვანი ისტორიული გადაწყვეტილება იქნება შთამაგონებელი საქართველოსა და სხვა ასპირანტი სახელმწიფოებისთვის.

საქართველო განაგრძობს ძალისხმევას, გახდეს ნატოს წევრი ქვეყანა. მტკიცედ მჯერა, რომ ერთობლივი ძალებით წვლილს შევიტანთ ჩვენი საერთო, ევროატლანტიკური თანამეგობრობის სტაბილურობასა და უსაფრთხოებაში.

მჯერა, რომ თქვენი ვიზიტი საქართველოში მომავალ წელს, გააძლიერებს ჩვენს თანამშრომლობასა და პარტნიორობას.

მოუთმენლად ველი, რომ გიმასპინძლოთ საქართველოში.

თქვენო აღმატებულებავ, გთხოვთ, მიიღოთ ჩემი ღრმა პატივისცემა და საუკეთესო სურვილები მეგობარი მონტენეგროელი ხალხის მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის, – აღნიშნულია საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალურ წერილში. (რეპორტიორი)

**ისე, ნამეტანი ხმამაღლაა დაწერილი ეს ტექსტი, ბატონო პრეზიდენტო, თუმცა გიგრძვნიათ, აშკარად გიგრძვნიათ მონტენეგროელების სიხარული და ვაჟკაცობაც სწორედ ეგ გვგონია, სხვისი სიხარულის გაზიარების**

## ილიკოსა და ილარიონის არ იყოს, ქვეყანა რომ იქცევა, ნატოში რომ არ გვიღებენ, თქვენ რა გახარებთ, ბატონო პრეზიდენტო?



**უნარი რომ აქვს ადამიანს...**

**ჰოდა, ვიყოთ ასე, გავიზიაროთ სხვისი სიხარული, ბედნიერებმა შევციცინოთ თვალებში ნატოს, რომელიც 30-ე წევრად, ალბათ, ვანუატუს მიიღებს ან კამბოჯას. იმათაც მივულოცოთ მერე და ვწეროთ ლექსად:**

**ღამე იყო მთვარიანი,**
**ნატო კიდევ — ნაღვლიანი,**
**ცრემლი მომდის სიხარულით...**
**ნატო — დედაარღნიანი!..**

# აი, ეს ამდენი სიტყვიერი მხარდაჭერა ნატომ ერთ ადგილზე გაიკეთოს!!!

**თინა ხიდაშელს რომ ჰკითხოთ, მაპი-შმაპი არ ვიცი მე, პირდაპირ წევრობა გვინდაო, ნატომ კი, — არნახულ, მეგა და ზემხარდაჭერას ვუცხადებთ საქართველოს, თქვენი დიდი ხათრი გვაქვს, მაგრამ არაოოო...**

**ჰო, პრინციპში, უკეთესის მოლოდინი არც უნდა გვქონოდა, მაგრამ გულის კუნჭულში რომ იცის ხოლმე იმედის ციცქნა ნაპერწკალმა ბჟუტვა, ხომ იცით? აი, იმას ვერ ვუხერხებთ ვერაფერს და აგერ შედეგიც — კვლავაც პირში ჩალაგამოვლებული დავრჩით.**

**მოკლედ, მოგეხსენებათ, ბრიუსელში ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალი ჩატარდა, რომელზეც რაც შევიტანეთ, ისევე ის გამოვიტანეთ... თუმცა არა, რაც ჩვენ ნატოში გვაქვს შეტანილი, იმის ნახევრის ნახევარიც ვერ გამოვიტანეთ, რაც, მსუბუქად რომ ვთქვათ, ნამეტანი საწყენი ამბავია. და განსაკუთრებით საწყენია ის, რომ საქართველოს მინისტერიალიდან ბუს კვერცხები ხვდა წილად, აი, მონტენეგრომ კი ალიანსში გაწევრიანების ოფიციალური შეთავაზება მიიღო.**

– საგარეო საქმეთა მინისტრებმა ისტორიული გადაწყვეტილება მიიღეს და მიიწვიეს მონტენეგრო, გახდეს ალიანსის 29-ე წევრი. ვულოცავთ მონტენეგროს ხელისუფლებასა და მოსახლეობას, – ნათქვამია განცხადებაში.

რაც შეეხება საქართველოს, ნატოს გენერალურმა მდივანმა ისევ ჩვენთვის კარგა ხნის ნაცნობი ტექსტი ჩააბულბულა:

*— დღეს დავამტკიცეთ, რომ ნატოს კარი ღიაა. ჩვენ განვაგრძობთ საქართველოსთან თანამშრომლობას. მე ვიტყოდი, რომ ჩვენი მხარდაჭერა საქართველოს ალიანსში გაწევრიანების მისწრაფებისადმი ძლიერია. ქვეყანამ აჩვენა დიდი პროგრესი და ეს მე თვითონ ვნახე საქართველოში ჩემი ვიზიტისას. ალიანსი განაგრძობს საქართველოსთან თანამშრომლობას და მხარდაჭერას კომუნიკეშიც დააფიქსირებს.*

*ნატოს გაფართოება ხელს უწყობს რეფორმებს, აძლიერებს კოლექტიურ უსაფრთხოებას და უზრუნველყოფს სტაბილურობას, რომელიც კეთილდღეობის საფუძველია. ჩვენ ვატარებთ გაფართოების პოლიტიკას ისეთნაირად, რომ სუვერენულმა სახელმწიფოებმა შეძლონ უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკუთარი მექანიზმების შექმნა. საქართველოს, ბოსნია-ჰერცოგოვინასა და მაკედონიაში განხორციელებულ რეფორმებს შედეგი მოაქვს და ალიანსი მათ მხარდაჭერას განაგრძობს, — აღნიშნა სტოლტენბერგმა.*

აწი რაღა გვიჭირს, ხალხო, აგერ, სტოლტენბერგმა, ისაო, ჩვენს მხარდაჭერას კომუნიკეშიც დავაფიქსირებთო...

ეეჰ, ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი კომუნიკე და რეზოლუცია გვინახავს, რამდენი ასეთი ბრახაბრუხა განცხადება და დაპირება მოგვისმენია, მაგრამ შედეგი არის აბსოლუტურად ნულოვანი.

ჰო, არც უკრაინას უხეირია ამ მინისტერიალზე და უკრაინელებმაც მორიგი არაფრისმთქმელი განცხადება მოისმინეს. როგორც ალიანსის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაშია ნათქვამი, ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ალიანსი უკრაინის აღმოსავლეთში კონფლიქტის მშვიდობიანი და დიპლომატიური გზით დასრულებას უჭერს მხარს.

სტოლტენბერგის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მინსკის შეთანხმებების რეალიზების კუთხით გარკვეული პროგრესი შეინიშნება, „ძალადობის განახლების რისკი კვლავ მაღალია“.

– უკრაინა მარტო არ არის, – განაცხადა სტოლტენბერგმა და აღნიშნა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი განაგრძობს უკრაინის დახმარებას სხვადასხვა სფეროში. სტოლტენბერგმა, ასევე, მოუწოდა უკრაინას, გააგრძელოს რეფორმების გზა.

**ბარემ აქვე კომუნიკესაც გაგაცნობთ, რომელსაც, ალბათ, ძალიან დიდხანს შემოგვტენიან თვალებში — აგე, როგორ გიჭერთ მხარეს, როგორ ვზრუნავთ თქვენზე და ზედ გაკვდებითო (კომუნიკეს „ინტერპრესნიუსი“ ავრცელებს):**

*— 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე ჩვენ შევთანხმდით, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი და მიიღებს მაპ-ს, როგორც ამ პროცესის განუყოფელ ნაწილს. დღეს კვლავ ვადასტურებთ ამ გადაწყვეტილებას, ისე როგორც შემდგომ გადაწყვეტილებებს.*

*ჩვენ მივესალმებით იმ მნიშვნელოვან პროგრესს, რომელიც მიღწეულ იქნა 2008 წლის შემდეგ. საქართველოს ურთიერთობა ალიანსთან შეიცავს ყველა პრაქტიკულ ინსტრუმენტს, რომელიც საჭიროა საბოლოო წევრობისთვის მოსამზადებლად, — ნათქვამია კომუნიკეში.*

ასევე, ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრები მოუწოდებენ საქართველოს, გააგრძელოს ალიანსთან დაახლოების ყველა შესაძლებლობის სრული გამოყენება.

*— ჩვენ მივესალმებით მნიშვნელოვან პროგრესს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელების გზაზე, მათ შორის ერთობლივი სწავლებების დაწყებას, მომზადებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის გახსნას, რომელიც ეხმარება საქართველოს, გააძლიეროს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და სამხედრო შესაძლებლობები, — ნათქვამია კომუნიკეში.*

გარდა ამისა, ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრები აცხადებენ, რომ კვლავ გააგრძელებენ ყველა რესურსის უზრუნველყოფას, რომელიც არსებითი პაკეტის იმპლემენტაციისთვის არის საჭირო და რომელიც მიმართულია საქართველოს შესაძლებლობების განმტკიცებისკენ.

– ვარშავის სამიტისთვის მზადების ფარგლებში, ჩვენ შევისწავლით ახალ, პრაქტიკულ გზებს, რათა უფრო ინტენსიური გავხადოთ ძალისხმევა, მაღალი დონის პოლიტიკური დიალოგისა და მზარდი კოოპერაციის გზის ჩათვლით, მათ შორის თავდაცვისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სფეროში.

ნატო აღიარებს საქართველოს ძალისხმევას, გააძლიეროს დემოკრატია, მათ შორის მოახდინოს სასამართლო სისტემისა და უსაფრთხოების სამსახურების რეფორმირება და სამხედრო ძალებისა და თავდაცვის ინსტიტუტების მოდერნიზება.

მედიის თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის კუთხით ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, მოვუწოდებთ საქართველოს, შეინარჩუნოს ტემპი რეფორმების ძალისხმევაში, რომელსაც ჩვენ კვლავ ვუჭერთ მხარს.

ნატო მაღალ შეფასებას აძლევს საქართველოს კონტრიბუციას ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში და ჩვენს ოპერაციებში ავღანეთში და აღიარებს იმ მსხვერპლსა და წვლილს, რომელიც ქართველმა ხალხმა საერთო უსაფრთხოებაში შეიტანა. ჩვენ კვლავ ვადასტურებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერას, საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

ჩვენ მივესალმებით საქართველოს გადაწყვეტილებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ და მოვუწოდებთ რუსეთს, მიიღოს ანალოგიური გადაწყვეტილება.

ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთს, გააუქმოს საქართველოს რეგიონების, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარების გადაწყვეტილება და გაიყვანოს ჯარები საქართველოდან.

ნატო არ აღიარებს ე.წ. შეთანხმებებს, რომელიც 2014 წლის ნოემბერში რუსეთსა და საქართველოს რეგიონ აფხაზეთს შორის, 2015 წლის მარტში კი, საქართველოს რეგიონ სამხრეთ ოსეთსა და რუსეთს შორის დაიდო.

ეს შეთანხმებები არღვევს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიულ მთლიანობას და უხეშად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლისა და ეუთო-ს პრინციპებს, ასევე რუსეთის მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს.

ჩვენ მოვუწოდებთ ჟენევის მოლაპარაკებების ყველა მონაწილეს, შეასრულოს კონსტრუქციული როლი და გააგრძელოს მჭიდრო მუშაობა ეუთოსთან, გაერო-სთან და ევროკავშირთან, რათა მოხდეს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიის ფარგლებში, – ნათქვამია ნატოს კომუნიკეში.





თინა ხიდაშელს რომ ჰკითხოთ, მაპი-შმაპი არ ვიცი მე, პირდაპირ წევრობა გვინდაო, ნატომ კი, – არნახულ, მეგა და ზემხარდაჭერას ვუცხადებთ საქართველოს, თქვენი დიდი ხათრი გვაქვს, მაგრამ არაოოო...



ბრიუსელში ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალი ჩატარდა, რომელზეც რაც შევიტანეთ, ისევე ის გამოვიტანეთ... თუმცა არა, რაც ჩვენ ნატოში გვაქვს შეტანილი, იმის ნახევრის ნახევარიც ვერ გამოვიტანეთ

**მოკლედ, გვეუბნებიან, დიდი პროგრესი აჩვენეთ, თავს წირავთ, მსხვერპლი გაქვთ გაღებული, მაგრამ... და გრძელდება ასე უკვე ძალიან ბევრი წელია...**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## The Wall Street Journal – მონტენეგროსთან დაკავშირებულმა გადაწყვეტილებამ სხვა ასპირანტი ქვეყნები უკმაყოფილო დატოვა



მსოფლიოს წამყვანი მედიასაშუალებები გაწევრიანების შესახებ მონტენეგროს მოლაპარაკებებში მიწვევის საკითხზე ამახვილებენ ყურადღებას და ამ კონტექსტში საქართველოსაც მოიხსენიებენ.

გავლენიანი ამერიკული გამოცემა **The Wall Street Journal**-ი წერს, რომ ამ გადაწყვეტილებამ სხვა ასპირანტი ქვეყნები, განსაკუთრებით რუსეთის მეზობელი საქართველო, უკმაყოფილო დატოვა. გამოცემა აღნიშნავს, რომ ნატოს მისიებში საქართველო გაცილებით აქტიურად მონაწილეობდა, ვიდრე მონტენეგრო, მიუხედავად ამისა, ალიანსში ბევრი მიიჩნევს, რომ ვიდრე რუსეთს ქვეყნის ნაწილი ოკუპირებული აქვს, საქართველოს ნატოში წევრობა შეუძლებელია.

ბრიტანული გამოცემა „გარდიანი“ კი წერს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების საკითხი განსაკუთრებით შემაშფოთებელია ნატოს ზოგიერთი წევრისთვის, რომელიც ღელავს, რა უსაფრთხოების გარანტიების მიცემა შეიძლება ქვეყნისთვის, რომლის ორი რეგიონი – აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ მოსკოვის მხარდაჭერით გამოიყო.

– დასავლეთის რამდენიმე ქვეყანა ახლა მიიჩნევს, რომ ნატოს 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე იმის გამოცხადება, რომ საქართველო და უკრაინა ნატოს წევრები გახდებიან, შეცდომა იყო, – წერს „გარდიანი“.

მონტენეგროს მოლაპარაკებებში მიწვევას ეხმაურება გერმანული გამოცემა „დოიჩე ველე“. კერძოდ, გამოცემა წერს, რომ ნატოს ამ გადაწყვეტილებას კრემლის მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა.

– ალიანსში გაწევრიანება ბოსნია და ჰერცოგოვინასა და საქართველოს სურთ, მაგრამ მათ ვერ მიაღწიეს საკმარის პროგრესს მიწვევის მისაღებად. საქართველოს შესახებ გადაწყვეტილების მიღება, სავარაუდოდ, გარკვეული დროით გადაიდება რუსეთის მხარდაჭერილი სეპარატისტული რეგიონების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამო, – აღნიშნავს გამოცემა.

სააგენტო „როიტერი“ გამოქვეყნებულ სტატიაში წერს, რომ ნატოს დიპლომატებმა მონტენეგროზე მიღებული გადაწყვეტილებით, მოსკოვს სიგნალი გაუგზავნეს, რომ მას ალიანსის აღმოსავლეთისკენ გაფართოებაზე ვეტოს დადების უფლება არ აქვს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გაწევრიანება გართულდა 2008 წლის ომის გამო.

– ნატოს მოკავშირეები კვლავ ვერ თანხმდებიან, რა მესიჯი გაუგზავნონ საქართველოს წევრობის შეყოვნებულ განაცხადზე. ზოგიერთ ევროპულ ქვეყანას არგუმენტად მოჰყავს, რომ რუსეთთან კონფლიქტის შემთხვევაში, ალიანსი ყოფილი საბჭოური ქვეყნის დაცვას ვერ შეძლებს, – აღნიშნავს „როიტერი“.

სტატიის ავტორი მიიჩნევს, რომ ეს სირთულეები ასახულია ნატოს მინისტერიალზე მიღებულ კომუნიკეშიც, სადაც „მინისტრებმა გაიმეორეს ძველი პოზიცია, რომ თბილისმა უნდა გააგრძელოს მზადება წევრობისთვის და მოუწოდეს რუსეთს, საქართველოს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტული რეგიონებიდან სამხედრო ძალები გაიყვანოს“. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ა, ჩქიმ ჯიმა, ესეც ჩვენ ვართ? იუსტიციის მინისტრიც უკმაყოფილოა თქვენი მუშაობით!



თეა წულუკიანი დედაქალაქის მერიისა და მერის საქმიანობასთან დაკავშირებით უკმაყოფილებას გამოთქვამს. იუსტიციის მინისტრი დავით ნარმანიას სოფელ დიღომში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების გამო საყვედურობს:

– სოფელი დიღომში არის ძალიან ბევრი ინფრასტრუქტურული პრობლემა. მე ვცხოვრობ იქ და ამ თემაზე ბატონ მერთან, დავით ნარმანიასთან არა მხოლოდ მისაუბრია, არამედ ბევრჯერ გვიჩხუბია კიდეც. სოფელი დიღომი მიშაამ შეუერთა თბილისს და თუკი ჩვენ ვართ თბილისის ნაწილი, კეთილი უნდა ინებოს თბილისის მერმა და მიხედოს სოფელ დიღომს, – განუცხადა წულუკიანმა ჟურნალისტებს, რითაც არ დაეთანხმა ინფორმაციას, რომ სოფელ დიღომში გზა მხოლოდ მის სახლამდეა დაგებული.

მისივე თქმით, სოფელ დიღომში ინფრასტრუქტურული სამუშაოები ახლა მიმდინარეობს, რის გამოც ცენტრალური გზა გადათხრილია.

– მოვუწოდებ თბილისის მერიას, უფრო მეტად დაინტერესდეს სოფელი დიღმით... ბევრი პრობლემა გვაქვს, ამიტომ, მე, როგორც რიგით მოქალაქეს, მცხოვრებს სოფელ დიღომში, მაქვს ძალიან ბევრი პრეტენზია თბილისის მერთან და მერიასთან.

ამჟამად მიმდინარეობს გზის გაჭრა თბილისის საქალაქო სასამართლომდე. სამუშაოები ნელი ტემპით ხორციელდება, თუმცა მალე დასრულდება. ასევე, ცენტრალური გზის შეკეთება, რომელიც გადათხრილია, სანამ ყინვებს დაიჭერს, უმჯობესია, დასრულდეს. რამდენიმე კილომეტრიანი გზა უკვე დაიგო, თუმცა ჩვენდა სამწუხაროდ სანიაღვრეების გარეშე, რის გამოც უკმაყოფილო ვართ, – განმარტა წულუკიანმა. (პირველი რადიო)

## ვაზისუბანში ავტომობილი ქვეითად მოსიარულეს დაეჯახა — დაღუპულია მამაკაცი

ვაზისუბანში მამაკაცს ავტომობილი დაეჯახა. რამდენიმე მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა. მძღოლი კი შემთხვევის ადგილიდან არ მიმალულა.

როგორც შსს-ს პრესსამსახურში აცხადებენ, მომხდართან დაკავშირებით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესის დარღვევას ითვალისწინებს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. (ნიუპოსტი)

# სააკაშვილი პოროშენკოს ოპოზიციაში გადასვლით აშანტაჟებს — უკრაინული მედია მორიგ ფარულ ჩანაწერს აქვეყნებს





**უკრაინული ვებგვერდი uarevo.in.ua საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ვაშაძის სატელეფონო საუბრის ჩანაწერს აქვეყნებს.**

**„ალია“ ამ ჩანაწერის ტექსტურ ვერსიას გთავაზობთ (სტილი დაცულია):**

**მურთაზ ზოდელავა:** იაცენიუკის სასტავიც შეირწყა და კლიჩკოს სასტავსაც ირწყავს, პარტიულ პონტში, რა... როგორც ჩანს, ამას გაუჩნდა შეგრძნება, რომ პროსტა „ჩუჩელად“, საფრთხობელად გამოიყენა. რეალურად, როგორც ჩანს, პოროშენკომ შეაშინა იუცენიუკი მიშათი და ის გარიგებაში შემოიყვანა, ანუ პარტია აახია, ჩამოართვა პოლიტიკური ბერკეტი, ესე ვთქვათ, პარტია და როგორც ჩანს, თანამდებობაზე ტოვებს, რაა... რაღაც ასეთი გარიგება იქნება, ხო, ეხლა? პრემიერობიდან რომ ხსნიდეს, პარტიას მაინც ხო არ დაშლიდა... როგორც ჩანს, პარტია გამოართვა და პრემიერად ტოვებს ანუ... ამ ვაჭრობაში და ამ იმაში მიშათი შეაშინა, როგორც ჩანს, რა...

**გიორგი ვაშაძე:** მიშათი შეაშინა დღეს?

**მურთაზ ზოდელავა:** არა, დღეს კი არა, საერთოდ, კაცო, ბოლო პერიოდის განმავლობაში... ხო, გუბერნატორად წაიყვანა, მიშას მანევრი გააკეთა, მერე გაავრცელეს ბაზრები, რომ იაცენიუკს ანაცვლებს, ანაცვლებს და რაღაც ხომ უნდა მოემოქმედებინა, ალბათ, იაცენიუკას ხო?

**გიორგი ვაშაძე:** ხო...

**მურთაზ ზოდელავა:** ხოდა, დაჯდნენ მერე და ილაპარაკეს – კი, ბატონო, იყავი პრემიერად და პარტია უნდა წაგართვაო, რაა, პარტია უნდა შემერწყას, ჩემს პარტიაში უნდა შემოვიდეს და გვტოვებ და რაღაცა და მიშათი ამ შემთხვევაში, არ ჩანაცვლებია, როგორც ჩანს, მიშამ ჩათვალა, რომ ეს მოხდა.

**გიორგი ვაშაძე:** ხო...

**მურთაზ ზოდელავა:** ეხლა დაიწყო ჩალიჩი, რომ ოდესაში რაღაცა გამოართვას, ცხადია, ეხლა პენსიაში გასვლას არ აპირებს, უბრალოდ, ეტყვის, რომ ანუ პარტიას გავაკეთებ ჩემთვის და ამის დედაც ვატირე-იმის დედაც ვატირე და მერე გამოსთხოვს მერე რაღაცას, თუნდაც პროკურორის თანამდებობას ან რაღაცას. ოლქში ბერკეტები უნდა რა, მოკლედ, რა...

**გიორგი ვაშაძე:** ამაზე გავატრაკებო მიშამ?

**მურთაზ ზოდელავა:** ხო, იაცენიუკს გავუტრაკებო, პოროშენკოს დაველაპარაკებიო და მკაცრად ვეტყვიო, რომ ,,კაროჩეო“, ან მაძლევო რეალურ ბერკეტებს ოდესაში, ან გავდივარ და ჩემს პარტიას ვაკეთებო! პირდაპირ ეგეთი ბაზარი მექნებაო, რა... ეს რით დამთავრდება, სიმართლე გითხრა, წარმოდგენა არ მაქვს, მაინცდამაინც იმას დაემთხვა, ჩვენს გამოცდებს. ზეგ გამოცდები გვაქვს და..

**გიორგი ვაშაძე:** ხო...

**მურთაზ ზოდელავა:** დღეს აპირებს იაცენიუკზე იმას და ხვალ უნდა ელაპარაკოს ვითომ ეს იმას, თუ შეხვდა პირველს და ზეგ კიდევ ჩვენი გამოცდაა და რავი, ჩვენ არ ამოგვცხონ პანლური-თქო, რაა, მაგის დედაც მოვ...ან...

**გიორგი ვაშაძე:** არა, პანლურს თქვენ ვერ ამოგცხებენ ეხლა იქ, ამერიკაც ჩართულია.

**მურთაზ ზოდელავა:** არა, ასხივებს... ამერიკაც ჩართულია, მაგრამ პროკურორი ასხივებს კაცო...

**გიორგი ვაშაძე:** მესმის, მარა...

**მურთაზ ზოდელავა:** არა, მაგას ვერ იზამენ, მარა მე მგონი, რომ არასწორი კონსტრუქციაა – თუ არა და ოპოზიციაში გავალ. ხო, მეც ვთვლი, რომ ეს არ არის სწორი.

**გიორგი ვაშაძე:** ჯერ მაგას ეგეთი ლაპარაკიც არ ჰქონია, ჯერ რატომ ამბობს ოპოზიციას, ჯერ უნდა უთხრას, რომ — ძმაო, არ მაძლევ რა, გაკეთების საშუალებას. მივედი შემოსავლებზე, დავიწყე საბაჟო, შევთანხმდით... შევთანხმდით, ერთი არ ჩამოვიდა, მე თვითონ ჩამოვიყვანე ის რომანოვი, ჩავარტყით ხელი, ვითომ უნდა დაგვეწყო და აგერ, ძმაო, ვერ ვიწყებ, იმიტომ, რომ არც დანიშვნა უნდათ და არც არაფრის გაკეთება უნდათ. მინდა, რომ ვიღაცები დავაკავო პროკურატურით, არ მაძლევ ამის შესაძლებლობას, მინდა, რომ ეს გავაკეთო... ანუ უნდა ჩამოუთვალოს...

**მურთაზ ზოდელავა:** ხო..

**გიორგი ვაშაძე:** ასე არ გამოვა, რა ეხლა... უბრალოდ, როგორ პონტში უნდა უთხრას იცი? რომ – ქვეყანა ასე არ აშენდება, რა, ბრატ!..

**მურთაზ ზოდელავა:** ჰო, არა... ამას ეტყვის, ეგ არ შეეშლება, მარა შედეგს რას მიიღებს?

**გიორგი ვაშაძე:** ხო, გავიგე, მაგრამ მაგან თუ ეგრევე უთხრა, რომ მე ოპოზიციაში წავალ, მაშინ ეგ როგორი განცხადებაა, იცი? ეხლა მე რომ პოროშენკოს ადგილზე ვიყო, ვეტყოდი, რომ კი, ბაზარი არ არი, ეს ძებნილი კაცი აგერ, შეგიფარე, მაგის დედა მოვ...ან...

**მურთაზ ზოდელავა:** და თანამდებობაზე დაგნიშნე, რა, მოდი, ასე ვთქვათ...

**გიორგი ვაშაძე:** ჰო, თანამდებობაზე დაგნიშნე და რა ჩემი ყ... გინდა ეხლა, რა, ეხლა ოპოზიციაში მიდიხარ? რატო? მე ხომ გითხარი, რომ დაგიდგები, ჩემთვისაც არ არის მარტივი, ძმაო, იმათთან ბრძოლა სუფთა კაცურ ამბავში.

**მურთაზ ზოდელავა:** რავი ათას რაღაცას ვიტყვით კიდევ...

**გიორგი ვაშაძე:** და მეორე კიდევ, რომ განკარგულებას გასცემს პროკურატურის მხრიდან, რომ ვინც დააფინანსებს სააკაშვილს, დედა მოუ...ით...

**მურთაზ ზოდელავა:** კი, მართალია...

**გიორგი ვაშაძე:** კონტროლზე აიყვანს და ამიტომ ოპოზიცია არ უნდა უთხრას, უბრალოდ, უნდა უთხრას, რომ ანუ საყვარელიძე რასაც მეუბნებოდა, ერთად რაც ჰქონდათ პრეზიდენტთან შეხვედრები, გაიგე?

**მურთაზ ზოდელავა:** ხო...

**გიორგი ვაშაძე:** მიშას არ ჰქონდა არასდროს მიმწოლი პოზიცია პოროშენკოსთან შეხვედრის დროს. მიშას ჰქონდა ლაქუცისა და დათმობითი პოზიცია. ჩვენთან ბაქიბუქობდა, იქ რეალურად ისეთი, ცუციკი ტიპი იყო, გაიგე? თუ ამ იმიჯის შეცვლას აპირებს პოროშენკოსთან უშუალო ურთიერთობაში, ამ სტატუს კვოს შეცვლას, ეს უკვე სხვა თემაა, რა... ხო, ეგ, ალბათ, უნდა შეცვალოს და უნდა უთხრას, რომ ეს ესეა, რა... გამიგე და არ მინდა მე აქ არანაირი განხილვა, მოიყვანე, ძმაო, ის ხალხი და მოვიყვან აგერ მე ჩემს ხალხს და დავჯდეთ, რა და გავიაროთ, რა ეს დედა მო...ული, რა, გაიგე? მე დაგიდებ პაკეტებს, რაც არის მისაღები და ხელია მოსაწერი და მოაწერინე ამ ხალხს ხელი, რა... ეგრე უნდა უთხრას, ალბათ, რა... ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში... თუმცა მაგაზეც, ის ისეთი ჩათლახია, მაგაზეც მოიფიქრებს რაღაცას...

**მურთაზ ზოდელავა:** მაგას პროკურორობა უნდა, როგორც ჩანს და ისევ ზურაზე უნდა, რომ იჩალიჩოს.

**გიორგი ვაშაძე:** ბიჭო, ხო, მარა...

**მურთაზ ზოდელავა:** საოლქო პროკურორობა არ არის კი ამოსავალი წერტილი?

**გიორგი ვაშაძე:** უშიშროებაც უნდა იყოს, პროკურატურაც და პლუს საბაჟო პორტები იმისთვის, რომ თანხა გქონდეს, რო არჩინო ეს ძალოვნები. ძალოვნებს ხომ ხელფასს ვერ გაუზრდი შენ ადგილზე ლოკალურად, ცენტრალური ბიუჯეტიდან აქვს დაფინანსება და კანონით არის გათვალისწინებული ხელფასის ოდენობა, მაგრამ უნდა გყავდეს პრემიერზე, რომ სხვანაირად იმუშაოს. თუ გინდა, რომ სხვანაირად იმუშაოს, უნდა მისცე, რა, რაღაცა მატერიალური ბაზა უნდა შეუქმნა. მატერიალურ ბაზას საბაჟოს გარეშე ვერ შექმნი, პორტების გარეშე, ფული არა გაქვს. უნდა აიღო სამივე გასაღები, რა... უშიშროებაც უნდა იყოს, პროკურატურაც და ფინანსური წყაროებიც.

**მურთაზ ზოდელავა:** ახლა ამდენს ერთად თუ იმასიზამ, ბაზარი არაა, მარა, მე ვერაფერს ვერ (ტექსტი გაურკვეველია. – რედ.)... საერთოდ, ვერც ერთ კომპანიას... ისე, ასე თუ დაელაპარაკა, მაგაში გეთანხმები.

**გიორგი ვაშაძე:** რა ვიცი, ბიჭო, მე სიმართლე გითხრა, ეხლა მე პოროშენკოს ადგილზე ვეტყოდი, რომ ძმაო, „ემვედე“ ხომ მოგეცი, კრიმინალი გაუარესდა ეს დედა მოტ...ული ოდესაში და ეხლა რომ არაფერს არ გეუბნები, მართლა და მართლა ეგრე ხომ არ არი?

**მურთაზ ზოდელავა:** გაუარესდა, კი?

**გიორგი ვაშაძე:** მაშინ რომ ვიყავი ჩასული, კი, ეგრე მითხრეს, რომ სტატისტიკა გაუარესდა. მაგ ბიჭის დანიშვნა მართლა შეცდომა იყო.

**მურთაზ ზოდელავა:** რაც მოხდა, ეს იაღლიში მოუვიდა... როგორი რაღაცა მოხდა, იცი?

**გიორგი ვაშაძე:** არამარტო ეგ იაღლიში, ბიჭო... ეგ საყვარელიძე იმასშვებოდა, რომ მაგარი ტიპია... ბიჭო, აქაც ჩაკეტილი (ტექსტი გაურკვეველია. – რედ.)... მე არ ვიცოდი, შე ჩემა, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე თუ არსებობდა ეგეთი – ლორთქიფანიძე. გავიგე ბოლო წელს, ტო... ხო და აქაც ძაან ისეთი ტიპი იყო რა, ძაან ატეციაზე თუ რა ჰქვია იმას...

**მურთაზ ზოდელავა:** სპეცრაზმების კურატორი იყო, კაცო, არაფერიც არ იყო, ინტელექტუალური შესაძლებლობები მას არ აქვს, არ გააჩნია, ჰო, რა და მაგას გაუგორა მიშამ, რა...

**გიორგი ვაშაძე:** არა, ბიჭო, გეუბნები, საყვარელიძემ უთხრა, ვინ დავნიშნოო და თვითონ მითხრა საყვარელიძემ და თვითონ ჩამოიყვანა ლორთქიფანიძე, შე ჩემა, რა... ჩვენ მაშინ „პამასკა“ მოგვივიდა, რომ შენ უნდა წასულიყავი, რა... ყველაფერი უნდა ავიღოთ, რასაც გვაძლევენ, ყველაფერი უნდა ავიღოთ რა, გეუბნები...

**მურთაზ ზოდელავა:** რა ვიცი, ჩემთვის არავის არ შემოუთავაზებია ეგა, კაცო, და როგორ წავიდოდი?

**გიორგი ვაშაძე:** ბიჭო, მე არც მომსვლია ეხლა, სიმართლე გითხრა, ხო აზრზე ხარ...

**მურთაზ ზოდელავა:** საყვარელიძეს მოკლავდა, სროკავდა ეგრევე...

**გიორგი ვაშაძე:** არა, მარა, ბიჭო რატო დაბრიდავდა, ეს დედა მო...ული, არ არის ეს ბიჭო ესე, ხომ ხედავ, არა, რომ ვერ ვშვრებით და უნდა მოვერგოთ ცოტა ხანს, რა... არა, მე რატომ გეუბნები, იცი? აი, პროსტა იმას რომ ეთქვა, მოდი ვიმსჯელოთო, იმ მსჯელობაში წამოვიდოდა უცებ კანდიდატურები, ბოლოს და ბოლოს, რა... ლორთქიფანიძეზე თავიდანვე რომ ჩამოიყვანა ერთხელ...

**მურთაზ ზოდელავა:** ვიცი, ვიცი...

**გიორგი ვაშაძე:** ჩამოიყვანა ლორთქიფანიძე, უშიშროებაში გავუშვათო.. ბიჭო, მე მაშინაც ვუთხარი მაგასაც და ზურასაც, ეს ლორთქიფანიძე, ბიჭო, კაი ბიჭია, გულიანი ბიჭია, მაგრამ ის არ არი, რა... რაღაცა ტვინიც უნდა მოგდევდეს, რა... მოდი, ვთქვათ ისიც, რომ გიზო ლორთქიფანიძეს ათი თავით სჯობია, ხო?

**მურთაზ ზოდელავა:** გიზო როგორ არ სჯობია, კაცო, გიზო კვალიფიციური ტიპია. ისეა ნეგატიური ცოტა, როგორც ადამიანი, თორემ ისე კვალიფიციური ტიპია, შრომისმოყვარეა და ინტელექტი აქვს იმისგან განსხვავებით... გია არის ჩვეულებრივი სპეცნაზელი. არც ერთი მისი ლაპარაკი არ დაუდია მიშას, წარმოიდგინე, ტო... მის აქტივობაში არ ალაპარაკებს. ჭრის, რა ქვია იმ გოგოს, ჭრის ტექსტებს...

**გიორგი ვაშაძე:** ხო და ბიჭო ეხლა ეგეც ლადაობაა, ის ეტყვის, რომ ვინ დანიშნე ეს ოროსანი, დამინიშნე ვიღაცა იქ, რა და არ ვიცი...

**მურთაზ ზოდელავა:** პროკურორობაზე იჩალიჩებს მიშა, შეეცდება, რომ გამოსტყუოს, რა და უნდა ზურას დანიშვნა მანდ. თან ეხლა მიშაც მერყეობს, წინა ჩამოსვლაზე ზურა გიზოს ლობირებდა და რაღაცნაირად, როგორც ჩანს, ამას ამწიფებდნენ და ეს ვერ მომწიფდა, თუ რა ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ეხლა ზურას იძახის.

**გიორგი ვაშაძე:** და გიზოს უნდა?

**მურთაზ ზოდელავა:** გიზოს ენდომება ეს ასეთ ვარიანტში, იმიტომ, რომ არის ბედნიერი.

**გიორგი ვაშაძე:** გიზო რაღაცნაირად მაინც ერგება იმ სიტუაციას..

**მურთაზ ზოდელავა:** კი, ადვილად მართავს, მშვენივრად არი...

**გიორგი ვაშაძე:** ფინანსურად კი ვერ დაულაგდა ეხლა და რაღაცა და...

**მურთაზ ზოდელავა:** არა, ხომ შეხვდა ეხლა პრეზიდენტს? შეხვედრია წინა კვირას, პირადად შეხვედრია და იმას უთქვია, მე იმას ვიზამო, მე დაგილაგებო, ვიღაცისთვის დაუვალებია.

**გიორგი ვაშაძე:** ეგ მითხრა, მარა, რა ვიცი მე... მერე ისევ უარი უთხრეს თუ რაღაცა...

**მურთაზ ზოდელავა:** თვითონ მითხრა, თვითონ მითხრა, კაცო... ვიღაცას გამოუძახა თუ რაღაცა...

**გიორგი ვაშაძე:** ხო, რავი...

**მურთაზ ზოდელავა:** არა, გიზოს არ ენდომება მიშასთან მუშაობა ეხლა, არ არი მარტივი ამბავი... ეხლა დაბუჯუნობს თავისთვის გემრიელად და არ ენდომება...

**გიორგი ვაშაძე:** რა ვიცი... კვირას მანდ ვარ, რა... კვირას ჩამოვდივარ და გინახულებთ.

# ია ანთაძე, ვასილ მაღლაფერიძე და კობა ლიკლიკაძე „ოცნების“ საარჩევნო სიის ათეულში?

## რა განუცხადა სამეულმა „ალიას“...

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



**ჯერ არავინ იცის, პარტია „ქართული ოცნება“ მართლა აპირებს თუ არა ბალასტისგან განთავისუფლებას, მაგრამ კულუარული ინფორმაციით, „ოცნებაში“ სიების ნიადაგზე დაპირისპირება და საქმეების გარჩევა დაწყებულია. ისინი, ვინც საკუთარი სისხლისა და ცემა-ტყეპის ფასად დეპუტატის მანდატი მოიპოვეს და უკვე ველარ მოხვდებიან 2016 წლის საპარლამენტო სიებში, პარტიის ხელმძღვანელებს ულტიმატუმს უყენებენ და აღმასრულებელ ხელისუფლებაში გარანტირებულ ადგილებს ითხოვენ. ასეთად სახელდებიან ლუკა კურტანიძე, სოსო ჯაჭველიანი და კიდევ რამდენიმე კუნთმაგარი, რომლებიც მოითხოვენ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში მათი ღვაწლის დაფასებას.**

„ოცნება“ აქტიურად ეძებს ახალ სახეებს. რამდენიმე დღის წინ სოციალური ქსელით გავრცელებულ „ოცნების“ მაჟორიტარული საარჩევნო სიების არსებობა მმართველმა პარტიამ უარყო, სიები ჯერ არ არსებობს მსჯელობის პროცესში ვართო.

„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი, ირაკლი კობახიძე „ალიასთან“ საუბარში აცხადებს, რომ სიები გაზაფხულზე გამოქვეყნდება, მისთვის გაუგებარია მაჟორიტარულ ოლქებში დასახელებულთა სია საიდან გაჩნდა, ეს მცდარი ინფორმაციააო და გვირჩია, არ დავეყრდნოთო. ამის მიუხედავად, კულუარებში „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიის ათეულზე უკვე საუბრობენ. „ალიასთან“ სანდო წყარო აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ სიის ათეულში მოხვდებიან ჟურნალისტი ია ანთაძე; მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი, ამჟამად „ჯი-დი-ეს“-ის გადაცემა „20/30“-ის პროდიუსერი, ვასილ მაღლაფერიძე; რადიო „თავისუფლების“ ქართული სამსახურის ჟურნალისტი, სამხედრო ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში კობა ლიკლიკაძე. ირაკლი კობახიძე ამ საკითხზეც აკეთებს „ალიასთან“ კომენტარს, თუმცა ინფორმაციას არც უარყოფს და არც ადასტურებს და ამბობს, რომ სამივე მათგანი ღირსეული კანდიდატიაო, კობახიძეს არც გაოცება გამოუხატავს, არც გაკვირვება და არც ისტერიული უარყოფა, საიდან მოიტანეთ ეს ინფორმაციაო. ამიტომაც ჩავთვალეთ, რომ ინფორმაცია სიმართლესთან ახლოსაა და გადავწყვიტეთ დასახელებულ კანდიდატებთან გადაგვემოწმებინა ამ ამბის სისწორე.

თემის გარკვევა ია ანთაძით დავიწყეთ, რომელსაც ბიძინა ივანიშვილისგან შეთავაზება არაერთხელ მიუღია. შეგახსენებთ მის განცხადებას: „პირველი შემოთავაზება თვითონ ბატონი ბიძინასგან იყო. მან აღნიშნა, „მითხრეს თქვენი ამბავი, მაგრამ თუ მაინც შეგიძლიათ ჩვენთან თანამშრომლობა, კარგი იქნებაო“. ეს შეიძლებოდა, მრჩეველთა საბჭოს, ან რაიმე სხვა ფორმატში ყოფილიყო. მან შემომთავაზა ფორმალურად, იმიტომ, რომ იცოდა, არ დავთანხმდებოდი. მეც ვუთხარი, ისეთი პროფესია მაქვს, რომ არ შემიძლია. შემდეგ კიდევ ერთხელ დამირეკეს, როცა საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ უნდა შემდგარიყო და მედიის მიმართულების ხელმძღვანელობა შემომთავაზეს, რაზეც ასევე უარი განვაცხადე, ვარჩიე, ჟურნალისტიკაში დარჩენა, ვიდრე ის, რომ პოლიტიკაში წავსულიყავი“.

**ია ანთაძე ასევე კატეგორიულად აცხადებდა, რომ არ იმუშავებდა ახალ ტელეკომპანიაში, რომელსაც ივანიშვილი ქმნის და არც სხვა კერძო ტელევიზიაში. „ერთადერთი ტელევიზია, რომელშიც სიამოვნებით ვიმუშავებდი, საზოგადოებრივი მაუწყებელია, თუმცა არა ისეთში, როგორიც დღესაა, არამედ როგორიც ყველას გვსურს, რომ იყოს“. — ეს ია ანთაძის სიტყვებია, თუმცა დღეს იგი ბიძინა ივანიშვილის შვილის, ბერას ტელევიზიაში გადაცემას აკეთებს. „ალიას“ კითხვაზე, რომ ყოფილიყო გულწრფელი და ყოველგვარი მიკიბმოკიბვის გარეშე ეთქვა, მიდის თუ არა პოლიტიკაში და ადასტურებს, რომ ის „ქართული ოცნების“ სიის ათეულშია, განაცხადა, რომ ეს ინფორმაცია პირველად ჩვენგან გაიგო: ახლა გადაცემაზე ვმუშაობ და გულწრფელად გეტყვით, მირჩევნია, დავრჩე ჟურნალისტად, ვიდრე წავიდე პოლიტიკაში, ეს არის გამორიცხული, რადგან თავისუფლებას ვერ შევიზღუდავო...**

ია ანთაძეს შევახსენეთ, რომ ის ასეთივე პრინციპული იყო, როცა აცხადებდა, რომ, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გარდა, არც ერთ ტელეკომპანიაში არ იმუშავებდა და განსაკუთრებით კი იმ ტელევიზიაში, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი ქმნიდა, თუმცა დღეს ის მისი შვილის ტელევიზიაში მუშაობს. ამაზე ანთაძე პასუხობს, რომ „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ ვერ მოახერხა მუშაობის დაწყება, მისთვის არ გამოიძებნა ადგილი და ამიტომ გახდა იძულებული, ეს ნაბიჯი გადაედგა, პოლიტიკაში წასვლაზე კი აზრს არ ვიცვლი და ვრჩები ჟურნალისტადო.

**„ალია“ პრაღაში დაუკავშირდა კობა ლიკლიკაძეს. ის 90-იან წლებში იყო თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრის უფროსი, „რადიო თავისუფლებაში“ მუშაობს 2001 წლიდან, აშუქებდა მოვლენებს მსოფლიოს ცხელი წერტილებიდან. გაიარა სამხედრო ჟურნალისტიკის გადასამზადებელი სპეციალური კურსები გერმანიაში, შვეიცარიასა და აშშ-ში.**

**აი, რას პასუხობს „ალიას“ კობა ლიკლიკაძე კითხვაზე, მიიღო თუ არა შეთავაზება „ქართული ოცნებიდან“ და აპირებს თუ არა წავიდეს პოლიტიკაში?**

**— ნინო, რა გითხრა, ჩემო კარგო. ჩემს ბიოგრაფიაში უამრავი შემთხვევა იყო, როდესაც, ერთ გამოთქმას თუ გავიხსენებთ, „ჩემს გარეშე, ჩემი დაქორწინება მოახდინეს“. ესეც, ალბათ, მაგ ოპერიდანაა. მიჩვეული ვარ, არ მიკვირს და არც ვღელავ! ერთ რამეს გეტყვი დანამდვილებით: ახლა პრაღაში სათავო ოფისში ვზივარ, ჩემს საავტორო გადაცემას ვაკეთებ. პოლიტიკაში წასვლის სურვილი არასდროს გამჩენია.**

**ვასილ მაღლაფერიძე კი ყველაზე რეაქტიული და ემოციური აღმოჩნდა ჩვენთან საუბარში და მოგვიხაზა, რომ ეს არის იდიოტური ინფორმაცია... ვინც თქვენ ეს ინფორმაცია მოგაწოდათ, არის იდიოტი... ჩემგან კოსმოსში გაფრენას უფრო უნდა ელოდოთ, ვიდრე პოლიტიკაში მობრუნებასო. კითხვაზე, და თუკი გამართლდა ეს ინფორმაცია და შემოთავაზებას დასთანხმდებით, მერე?.. კატეგორიულ უარს ვაცხადებ, ეს არ მოხდება, პოლიტიკაში ჩემს ფეხს ვერ ნახავთო...**

**ეს ის მაღლაფერიძეა, რომელსაც ჟვანიას გუნდთან ერთად აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული „ვარდების რევოლუციაში“. იყო მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი. მისი სახელი ფიგურირებს ჟვანიას გარდაცვალების საქმეში. როგორც პრესა იმ დროს წერდა, საბურთალოს კონსპირაციული ბინა, სადაც ჟვანია და უსუპოვი გარდაცვლილები იპოვეს, სწორედ მაღლაფერიძემ დაიქირავა.**

**მოკლედ, „ალია“ ძალიან სკრუპულოზურად დააკვირდება, ეს სამი ჩამოთვლილი ადამიანი რა გადაწყვეტილებას მიიღებს და თუკი რომელიმე „ოცნების“ 2016 წლის საარჩევნო სიაში აღმოჩნდება, მერე სამივეს ჩემი გაკავება მოუწევს და განსაკუთრებით კი ვასილ მაღლაფერიძეს ვპირდები, რომ დავიტოვებ უფლებას, ის იდიოტად მოვიხსენიო.**



ამ უარყოფების მიუხედავად, კვლავ აქტუალურია კითხვა – ვინ იქნება „ქართული ოცნების“ სიის პირველი ნომერი. „ალიას“ სანდო წყარო ამ საკითხზე აცხადებს, რომ პარტიის ხელმძღვანელებმა თვითონაც არ იციან, ვინ იქნება პირველი ნომერი: „ამაში დარწმუნებული იყავით. ისინი არჩევენ სხვადასხვა ვარიანტებს, თუმცა ელოდებიან, პარტიის დამფუძნებელი, ბიძინა ივანიშვილი როდის იტყვის თავის ვარიანტს. მე ვფიქრობ, ყველაზე დიდი ალბათობით თავად ბიძინა ივანიშვილი გახდება სიის პირველი ნომერი, მას აქვს რესურსი, რომელსაც შეუძლია, პარტიის რეიტინგი ისევ „აქაჩოს“... ეს ინფორმაცია პარტიის აღმასრულებელ მდივანთან, ირაკლი კობახიძესთან გადავამოწმეთ და მისი პასუხიც ადეკვატური იყო, მან დაადასტურა, რომ რამდენიმე ვარიანტი მუშავდება, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ სიას სათავეში ბატონი ბიძინა ჩაუდგესო.

„ალიას“ სანდო წყარო პარლამენტის კულუარებზე ესაუბრება და აცხადებს: „საპარლამენტო უმრავლესობაში დიდი დაძაბულობაა, უკვე გარკვეულია, რომ „ქართული ოცნების“ ბალასტი ველარ მოხვდება მომდევნო პარლამენტში, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს პარლამენტარობა თავისი გმირობის ფასად ერგო, ბევრი კი ნაგავს მოჰყვა. სპორტსმენები, მსახიობები, რეჟისორები, კორუმპირებულები, ზოგი ბიზნესმენი, ზოგი „წითელ ჯვარს“ ამოფარებული დაემშვიდობა მანდატს... ვინც იცის, რომ სიაში ველარ მოხვდება, უკვე ვაჭრობას იწყებს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, რომ თანამდებობა მიიღოს... მაგალითად, გეტყვით, რომ ასეთია ლუკა კურტანიძე და არამარტო ის, დაახლოებით მისი კატეგორიის დეპუტატებს ვგულისხმობ. არის კიდევ განაწყენებულთა ისეთი კატეგორია, რომლებიც თვლიან, რომ მათ შრომა არ დაუფასეს, არიან გაბუტულები და აქეთ ელოდებიან ხელისუფლებისგან წინადადებებს... დიდი ალბათობით, ისინი წინადადებებს ვერ მიიღებენ და ბოლომდე გაბუტულები დარჩებიან... ამ კატეგორიაში ვგულისხმობ ომარ ნიშნიანიძეს.

არის კიდევ მესამე კატეგორია, რომლებსაც ჯერჯერობით ტაიმ-აუტი აქვთ აღებული. ელოდებიან, რაღაც ფორმით მაინც აღმოჩნდებიან სიაში და სხვადასხვა საშუალებით ცდილობენ ივანიშვილთან დაკავშირებას. ასევე, პარტიის ხელმძღვანელობაზე გასვლას, რომ მათგან გარანტიები მიიღონ“.

---

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## აშშ უვიზო მიმოსვლის წესებს ამკაცრებს



ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ გადაწყვიტა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის წესები გაამკაცროს. ამის თაობაზე „ბი-ბი-სი“ იუწყება.

ეს გადაწყვეტილება პარიზში 13 ნოემბერს მომხდარი ტერორისტული თავდასხმების შემდეგ მიიღეს. ყოველწლიურად აშშ-ში უვიზოდ მსოფლიოს 38 ქვეყნის 20 მილიონამდე ადამიანი ჩადის. თუმცა პარიზში მომხდარი ტერაქტების შემდეგ ზედმიწევნით გადაიხედა, ვინაიდან ტერორისტებს შორის ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეებიც იყვნენ.

ამერიკელი კანონმდებლები შიშობენ, რომ ევროპაში მცხოვრები ექსტრემისტები შეიძლება ამერიკაში უპრობლემოდ მოხვდნენ. ცვლილებების პროექტის მიხედვით, რომელიც კონგრესს განსახილველად უკვე გადაეცა, ამ სქემაში მონაწილე ყველა ქვეყანა ვალდებულია, ელექტრონული პასპორტები დაბეჭდოს იმ პირებისთვის, ვინც აშშ-ში მიემგზავრება. მათი რეგისტრაცია უფრო მკაცრად გაკონტროლდება აშშ-ის შესაბამისი სამსახურების მიერ. შეერთებულ შტატებში გამგზავრების მსურველები ასევე გაივლიან შემოწმებას, იმყოფებოდნენ თუ არა ქვეყნებში, სადაც ტერორისტების ბაზები არსებობს. (kvira.ge)

## იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა გენდერული კვოტირების კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა



საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა კანონპროექტს, რომლის მიხედვითაც საარჩევნო სიაში ყოველი მესამე კანდიდატი განსხვავებული სქესის წარმომადგენელი უნდა იყოს, მხარი არ დაუჭირა.

კომიტეტის სხდომაზე კენჭისყრისას კანონპროექტი საკმარისად მომზადებულად მხოლოდ 4-მა დეპუტატმა მიიჩნია.

ფორმულირებას, რომ კანონპროექტი საკმარისად მომზადებული არ იყო და ავტორებს უნდა დაბრუნებოდა ხარვეზების შესასწორებლად, არც ერთმა დეპუტატმა მხარი არ დაუჭირა.

ასევე, კანონპროექტის უარყოფას არც ერთმა დეპუტატმა არ დაუჭირა მხარი. ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, კანონპროექტის განხილვა პარლამენტში მაინც გაგრძელდება.

კომიტეტმა ჩააგდო ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის საკანონმდებლო ინიციატივაც, რომლის მიხედვითაც, პარლამენტის დეპუტატებს შორის 50% ქალი უნდა იყოს. (netgazeti.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ტარიელ ხეჩიკაშვილი: რიოს ოლიმპიადაზე ძალოსნობაში ერთ-ერთი ფავორიტები ვიქნებით

აშშ-ის ქალაქ ჰიუსტონში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ძალოსანთა ნაკრები წარმატებით გამოვიდა და ვერცხლის მედალი და რიოს ოლიმპიური თამაშების 3 ლიცენზია მოიპოვა. სალიცენზიო ქულების მოპოვების კუთხით მნიშვნელოვანი იყო ლაშა ტალახაძის (მძიმე) ვერცხლის მედალი, თუმცა ქულები ჩვენი ნაკრების სხვა ძალოსნებმაც აიღეს. ტალახაძემ აქტაცში 207-კილოგრამიანი შტანგა ასწია და მცირე ვერცხლის მედალი მიიღო, აკვრაში კი 247 კგ-ით მე-3 იყო.

– საბოლოო ჯამში, ყველაფერი ძალიან კარგად გამოვიდა. ჩვენი მთავარი მიზანი იყო, ოლიმპიადისთვის 3 ლიცენზია მოგვეპოვებინა და შევძელით კიდეც. პირადში მეორე ადგილი დავიკავე, ვერცხლის მედალი მოვიპოვე და უკმაყოფილო ვარ საკუთარი თავით. ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად ვერ გამოვიყენე, თუმცა მომავალში შევეცდები, უფრო უკეთ ვიასპარეზო, – განაცხადა ლაშა ტალახაძემ.

– გულშემატკივრებსა და ძალოსნებს მინდა მივულოცო ეს ძალიან დიდი წარმატება. ძალიან წარმატებული წელი გვქონდა, სხვადასხვა სინჯის მედალი მოიპოვეს ჩვენმა სპორტსმენებმა ყველა ასაკობრივ კატეგორიაში. ძალოსნების ბოლო წარმატება გვაძლევს იმედს, რომ 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ვიქნებით ერთ-ერთი ფავორიტები. ასევე, უნდა აღვნიშნო, რომ სამინისტროსა და ძალოსნობის ფედერაციის წარმატებული თანამშრომლობის შედეგად, 2016 წლის ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მოვიპოვეთ და დარწმუნებული ვარ, ამასაც ღირსეულად გავართმევთ თავს, – აცხადებს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი.

(ipress.ge)

## ოლეგ მელნიკოვმა მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენება მისცა



კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის ყოფილმა მაღალჩინოსანმა ოლეგ მელნიკოვმა სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოში მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენება მისცა.

ოლეგ მელნიკოვის მტკიცებით, სანდრო გირგვლიანის საქმეში მონაწილე პირებმა შეწყალების შესახებ პირობა უშუალოდ მიხეილ სააკაშვილისგან მიიღეს. ეს შეთანხმება კი, როგორც მელნიკოვი განმარტავს, მათ დათა ახალაიამ გააცნოთ. ის ასევე ამბობს, რომ ახალაიას შეწყალების შესახებ ყოფილმა პრეზიდენტმა დაპირება შავნაბადას რეზიდენციაში შეხვედრის დროს მისცა.

სასამართლო სხდომაზე მცირე შელაპარაკება მოხდა პროკურატურისა და დაცვის მხარეს შორის. მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა ოთო კახიძემ ოლეგ მელნიკოვის ჩვენებას „არასანდო" უწოდა. მისი თქმით, მოწმე ჩვენებებში განსხვავებულ ინფორმაციებს იძლევა.

სანდრო გირგვლიანის საქმეში მონაწილე პირების შეწყალების საკითხზე პროკურატურა, ყოფილ პრეზიდენტს თანამდებობის ბოროტად გამოყენებას ედავება. სასამართლო სხდომა მოწმეების დაკითხვით 25 დეკემბერს გაგრძელდება. (ნიუპოსტი)

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



# მაინც არ ეშვება „ოცნება" მარჯვენასაჭიან მანქანებს — ამ უაზრო გადასახადებით გინდათ ბიუჯეტის შევსება?!

**ჰოდა, რატომ გინდათ, რომ ამ გაჭირვებულ დროში უფრო მეტი ფული ვხარჯოთ და თან ამას გაგებითაც მოვეკიდოთ?!**





**ელისო ჩაფიძე: „გარკვეულწილად ეკონომიური თვალსაზრისით ზარალდებიან მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მფლობელები, რადგან, როგორც ვიცი, შედარებით იაფი ღირს, ვიდრე მარცხენასაჭიანი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მოსახლეობა გაგებით შეხვდება აღნიშნულ ინიციატივას"**



**ამ ეტაპზე ცნობილია ის, რომ მძღოლებს, რომლებსაც ავტომობილის საჭე მარცხნივ კუსტარულად აქვთ გადატანილი, 150 ლარის გადახდა მოუწევთ. ამ 150 ლარის სანაცვლოდ მძღოლი სპეციალურ ფირნიშს მიიღებს, რომელიც მანქანაზე უნდა მიაკრას.**

**რაში სჭირდება ეს ფირნიში მძღოლს, ვერაფრით ვხვდებით – უნდა მოვერიდოთ ასეთ მანქანებს, საბურავები უნდა ჩავუფუშოთ თუ ქვები დავუშინოთ, ვერ გეტყვით.**

2016 წლიდან საქართველოში შესაძლოა, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაცია აიკრძალოს – ინფორმაციას ამის შესახებ „რუსთავი 2" ავრცელებს.

როგორც ირკვევა, ინიციატივის ავტორი შს სამინისტროა, რომელსაც უკვე მომზადებული აქვს პროექტი და მისი ოფიციალური პრეზენტაცია დღეისთვისაა დაგეგმილი, შემდგომში კი პროექტი განსახილველად პარლამენტს გადაეგზავნება.

ამ ეტაპზე ცნობილია ის, რომ მძღოლებს, რომლებსაც ავტომობილის საჭე მარცხნივ კუსტარულად აქვთ გადატანილი, 150 ლარის გადახდა მოუწევთ. ამ 150 ლარის სანაცვლოდ მძღოლი სპეციალურ ფირნიშს მიიღებს, რომელიც მანქანაზე უნდა მიაკრას.

რაში სჭირდება ეს ფირნიში მძღოლს, ვერაფრით ვხვდებით – უნდა მოვერიდოთ ასეთ მანქანებს, საბურავები უნდა ჩავუფუშოთ თუ ქვები დავუშინოთ, ვერ გეტყვით.

დიდი ეჭვი გვაქვს, ეს გადასახადი ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი საშუალებაა, ანუ როგორც ხდება ხოლმე, იხეირებს სახელმწიფო და დაზარალდება რიგითი მოქალაქე, პრემია-დანამატების დამატებითი სახსრები გაჩნდება ჩინოვნიკებისთვის და ჯიბე დაუცარიელდება „ჩვეულებრივ მოკვდავს".

აქვე იმასაც გეტყვით, რომ სტატისტიკის თანახმად, საქართველოში 900 ათასზე მეტი ავტომობილია რეგისტრირებული. აქედან დაახლოებით 300 ათასი ავტომობილი მარჯვენასაჭიანია.

რამდენ მძღოლს აქვს გადატანილი საჭე მარცხნივ, სამწუხაროდ, ამას ვერ გეტყვით, მაგრამ უხეშად ვიანგარიშოთ და ავიღოთ, ვთქვათ, 100 ათასი ასეთი მანქანა. ახლა გავამრავლოთ 100 ათასი 150 ლარზე, მივიღებთ არცთუ ურიგო თანხას – 15 მილიონ ლარს. ანუ არსაიდან, ჰაერიდან ბიუჯეტი ყოველწლიურად მიიღებს ყველაზე მინიმუმ 15 მილიონ ლარს, თუმცა ეს დასასრული სულაც არ არის.

**ბუნებრივია, ამ 100 ათასი მძღოლიდან რაღაც მიზეზების გამო ბევრი ვერ შეძლებს 150 ლარის გადახდას და სპეციალური ფირნიშის შეძენას. ჰოდა, რა თქმა უნდა, გემრიელ ჯარიმასაც გაირტყამს — ესეც ბიუჯეტის შევსების დამატებითი საშუალება.**

სამწუხაროდ, მძღოლების დაზარალება მხოლოდ ამით არ დასრულდება – რადგან დიდი ხანია, მიდის საუბარი მარჯვენასაჭიანი ავტომობილების საერთოდ აკრძალვაზე, არ არის გამორიცხული, საჭის მარცხნივ გადატანა ყველასთვის სავალდებულო გახდეს. ასეთ შემთხვევაში, ბიუჯეტი უკვე არა 15, არამედ ყოველწლიურად მინიმუმ 45 მილიონით შეივსება. გარდა ამისა, აუცილებლად გაძვირდება საჭის გადატანა, რაც მძღოლების ჯიბეს განსაკუთრებით მძიმე დარტყმას მიაყენებს. გავაგრძელოთ – დიდი ალბათობით, გამოცხადდება ტენდერი „გამოცდილი საჭის გადამტანებისთვის", რომელშიც „ჩვენი კანტორის ხალხი" გაიმარჯვებს და ბევრი ჩინოსანი მოითბობს ამით ხელს, ძალიან ბევრი!

**„შუსუსუს" ამ ინიციატივაზე კომენტარი გააკეთა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ელისო ჩაფიძემ, რომელიც მოგვიწოდებს, გაგებით მოვეკიდოთ, თუ ეს ცვლილებები განხორციელდა:**

– გარკვეულწილად ეკონომიური თვალსაზრისით ზარალდებიან მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მფლობელები, რადგან, როგორც ვიცი, შედარებით იაფი ღირს, ვიდრე მარცხენასაჭიანი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მოსახლეობა გაგებით შეხვდება აღნიშნულ ინიციატივას და თვითონაც აქტიურად ჩაერთვება, იმიტომ, რომ მთავარი არის ადამიანის უსაფრთხოება, – აცხადებს ელისო ჩაფიძე.



**როგორც ვიციო, ქალბატონმა ელისომ, ყურმოკვრით მაქვს გაგებული, რომ მარჯვენასაჭიანი მარცხენასაჭიანზე იაფი ღირსო, მაგრამ იმას კი გვიმტკიცებს, რომ მარცხენა უფრო უსაფრთხოა.**

**ვააახ, ჩემი დედას ვფიცავარ — გვითხარით, ერთი, სად გაქვთ სტატისტიკა, გვაჩვენეთ, რა, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების გამო უფრო მეტი ავარია ხდება?! ან როგორ შეიძლება ამ ინიციატივას გაგებით მოვეკიდოთ, როცა მართლაც გაცილებით იაფია მარჯვენასაჭიანი ავტომობილები და ხშირ შემთხვევაში, ბევრად კომფორტულიცაა? კარგით, კომფორტს თავი დავანებოთ, მაგრამ იაფი ხომ არის? ჰოდა, რატომ გინდათ, რომ ამ გაჭირვებულ დროში უფრო მეტი ფული ვხარჯოთ და თან ამას გაგებითაც მოვეკიდოთ?!**

**ისიც გვაკვირვებს, 2016 წელს, საარჩევნო წელს რომ გინდათ ამ აკრძალვის შემოღება, ამომრჩეველზე არ ფიქრობთ, ეს ოხერი?! თუ ფეხებზე გკიდიათ და გგონიათ, თავი ქუდში გაქვთ, უეჭველად გაიმარჯვებთ? ძალიან ცდებით, ძალიან!**

მოკლედ, ვნახოთ, რა ცვლილებებზეა საუბარი და რას იტყვის „შუსუსუ" პროექტის პრეზენტაციაზე – თემას „ალია" შემდგომ ნომერში აუცილებლად უფრო დეტალურად გააშუქებს და მკითხველს ამომწურავ ინფორმაციას მიაწოდებს. ერთი კია, გული გვიგრძნობს, კარგი ამბავი არ გვექნება მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მფლობელებისთვის...

**ისე, თვითონ რა ენაღვლება „შუსუსუს" — აგერ, პატრულს „ბეემვე იქს 6" გადასცა, ჩინოვნიკების აბსოლუტური უმრავლესობა ბოლო თაობის ავტომობილებით დაბრძანდება, რაშიც ერთი თეთრიც კი არ ეხარჯება საწვავში, ამ ყველაფრით ხალხის ფულითაა უზრუნველყოფილი და იმიტომ, ჩვენ კი ჯერ საწვავის საფასური გვიღებს ბოლოს, ახლა კიდევ დამატებით გადასახადების დაწესებას გვიპირებენ.**

**აზრზე მოდით, სანამ ჯერ კიდევ გვიანი არ არის!!!**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# იუსტიციის უმაღლესი საბჭო შავრაზმელების ხელშია...



როგორც ჩანს, უკვე დადგა დრო, სამართლიანობა ალადგინოს თავად საზოგადოებამ. როდესაც ხელისუფლება ფეხებზე გიკიდებს, ამ შემთხვევაში კატალიზატორის როლი უნდა შეასრულოს ხალხმა და თანამდებობებს ჩამოაშოროს მარტო მურუსიძე კი არა, ისინიც, 2012 წლამდე ხალხს სამართლიანობის აღდგენას რომ პირდებოდნენ და ისევ სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენები მოასვეს თავზე.

2 დეკემბერს მთავარ პროკურატურაში ირაკლი შოთაძე თავისი უწყების ყველა რგოლის ხელმძღვანელს შეხვდა და სამუშაო გეგმა გააცნო. შეხვედრას მთავარი პროკურატურის დეპარტამენტების, სამმართველოების ხელმძღვანელები, საოლქო პროკურორები, რაიონული პროკურორები და მათი მოადგილეები, საგამოძიებო ნაწილისა და განყოფილების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, ასევე საპროკურორო საბჭოს ყველა წევრი ესწრებოდა. შოთაძის თქმით, პროკურატურაში შეიქმნება ახალი საბჭო, რომელიც პროკურორებისა და გამომძიებლების მუშაობას შეაფასებს. საბჭო იმსჯელებს არა მხოლოდ გადაცდომებზე, არამედ დაწინაურების საკითხებზეც:

„გადაცდომების შემთხვევაში განიხილება პროკურორების დასჯის საკითხი. შეფასება მოხდება ერთიან ელექტრონულ სისტემაში, ანუ იარსებებს პროგრამა, სადაც მუშაობა კრიტერიუმების საფუძველზე შეფასდება. ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ პროკურორებისა და გამომძიებლების მუშაობა ობიექტურად შეფასდეს“.

მოკლედ, უკვე იმდენი საბჭო იქმნება სხვადასხვა სტრუქტურებში, თავი უკვე საბჭოთა კავშირში მგონია. ალბათ, თქვენც მიაქციეთ ყურადღება, რომ შოთაძის მიერ გამართულ კრებას საპროკურორო საბჭოს წევრებიც ესწრებოდნენ, რომელიც ცოტა ხნის წინ შეიქმნა იუსტიციის სამინისტროში და რომელსაც ხელმძღვანელობს თეა წულუკიანი. მართალია, კანონის თანახმად, საპროკურორო საბჭო პროკურატურის შიდა საქმიანობაში, ანუ საგამოძიებო უფლებამოსილებათა განხორციელებაში არ ერევა, მაგრამ თუ მთავარმა პროკურორმა ან მისმა მოადგილეებმა დანაშაული ჩაიდინეს, შეუძლია მათ მიმართ დაიწყოს დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება. ასევე, საბჭოს ფუნქციაა, რეკომენდაციების წარდგენა სისხლის სამართლის პოლიტიკის შესახებ და პროკურატურის საქმიანობასთან დაკავშირებულ ისეთ სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის. ახლა თქვენ როგორ გგონიათ, საბჭო, რომელიც აკონტროლებს მთავარ პროკურორს თავის მოადგილეებიანად და აქვს უფლება, მისცეს რეკომენდაციები, მათ შიდა საქმიანობაში ვერ ჩაერევა? თუ ვერ და არ ჩაერევა, მაშინ აგაშენათ ღმერთმა, ეს საქართველო აღარ ყოფილა! როგორც ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, იქნებ სჯობდა, პროკურორებისა და გამომძიებლების მუშაობის შეფასება-გაკონტროლების საკითხი ამავე საბჭოს აელო ხელში და შიგნითვე არ შექმნილიყო ახალი „ბუდე“? ხაჭაპურიძის თქმით, თუ სისტემა არ შეიცვალა, პიროვნებების გადაადგილებას და ისევ ამ პიროვნებების მიერ საბჭოების შექმნას აზრი არ აქვს:

„რასაც კადრების საკითხებში სხვადასხვა დეპარტამენტები ახორციელებდნენ, ახლა შეითავსებს ერთი საბჭო. რაც პროკურორებისა და გამომძიებლების პროფესიონალიზმს აამაღლებს, მე ყველაფრის მომხრე ვარ, მაგრამ რაც აქამდე გადაცდომები იყო, იმასაც შეაფასებენ? მაშინ ამ საბჭოში შეიყვანონ საზოგადოების წარმომადგენლებიც, როგორც იუსტიციის სამინისტროში შექმნილ საბჭოში შეიყვანეს. ასეთ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულში მხილებულ პროკურორს არ დასჯიან, ეს ამბავი არ დაიმალება, თორემ არკვი, იმ დახურულ სხდომაზე სინამდვილეში რა მოხდა. მოდი, ვთქვათ პირდაპირ: როდესაც ერთ გამომძიებელს ცხრა ზედამხედველი ჰყავს, რა უნდა შეიცვალოს? მე თუ მკითხავ, ეს საოლქო პროკურატურებიც საერთოდ გასაუქმებელია, ზედმეტი რგოლები დიდი ტვირთია. ამდენი განცხადებებია შესული და ვერ იძიებენ, ხალხიც ამაზე ნერვიულობს. ხომ უნდა მიხვდნენ, რომ დღევანდელი მოდელი არ მუშაობს? მხოლოდ არ მუშაობს კი არა, კრიტიკას ვერ უძლებს. უბრალო გადაადგილება და გადმოადგილებით არაფერი გამოვა. ჩოხატაურში რომ გამომძიებელი ზის, იმას ზედამხედველი ჰყავს საოლქოშიც და მთავარ პროკურატურაშიც. ალბათ, ამ ეტაპზე არ გააკეთებენ, მაგრამ პროკურატურაც უნდა გამოვიდეს მთავრობის დაქვემდებარებიდან. კი დაამტკიცა შოთაძე პარლამენტმა, მაგრამ უწყება მაინც მთავრობაში შედის“.

შალვა ხაჭაპურიძე ამბობს, რომ პროკურატურასა და სასამართლოში დღემდე ვერ დალაგდა სიტუაცია, ისევ ადეიშვილ-სააკაშვილის კადრები ფიგურირებენ და გამოდის, მათ ხშირ შემთხვევაში ხელისუფლებაც კი მფარველობთ. ხაჭაპურიძის თქმით, 4 დეკემბერს უკვე ჩანიშნულია სხდომა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, სადაც ამავე საბჭოს მდივანი, ლევან მურუსიძე უნდა აირჩიონ სააპელაციო სასამართლოში მუდმივ მოსამართლედ. ამ დროს იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი საჯაროდ აცხადებს, ამის შესახებ არაფერი ვიციო. მეტიც, მან ეს საკითხი ნინო გვენეტაძეს გადააბარა, ის გაგცემთ ყველა კითხვაზე პასუხსო. კაი, კაცო, არ გადაგვრიოთ... გვენეტაძის პრესმდივანი, ნანა ვასაძე (ყოფილი „ალიელი“) ცხრაჯერ დაგვპირდა, შეგახვედრებთ გვენეტაძეს, ისაუბრებს, პრობლემა არ არისო, მაგრამ დღემდე ველოდებით. ქალბატონი ნინო გვენეტაძე ტელევიზიიდან ტელევიზიაში ხშირად დაბრძანდება, ამ მხრივ ვერ ვუსაყვედურებთ, ეტყობა, ჩვენ ან ვერ დავიმსახურეთ მისი მაღალი ყურადღება, ან კიდევ ეშინია, ემანდ მწვავე შეკითხვები არ დამისვანო. არადა, სანამ მთავარი მოსამართლე გახდებოდა, ასე თუ ისე, გამოდიოდა ჩვენთან კონტაქტზე. როგორც შალვა ხაჭაპურიძე ამბობს, გვენეტაძე, ფაქტობრივად, ხელისუფლებამ მიატოვა და უკვე ველარ უმკლავდება ადეიშვილ-სააკაშვილის კადრებს. თუ ასეა, ჩვენც მანდ ვართ, გამოვიდეს და ილაპარაკოს: ხალხო, აი, ძალიან ცუდ დღეში ვარ, მღალატობენ, აქეთ მიტევენ მურუსიძეები და ცერცვაძეები, ვინც თავმჯდომარედ წარმადგინა, იმათ კი მიმატოვეს და მიშველეთ რამეო. თუმცა არა, როგორც ჩანს, ისეთი მაგიური ძალა აქვს 10-ათასლარიან დანამატს, ადამიანს ენა უვარდება პირდაპირ მუცელში (სააგენტო „აიპრესის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას 2015 წლის აგვისტოში ხელფასიან-დანამატიანად 17 ათასი ლარი აქვს აღებული). ხაჭაპურიძის თქმით, რაც დღეს სასამართლოში ხდება, ეს არის დაცინვა:

„როდესაც მურუსიძისნაირ ადამიანს სააპელაციოში სამუდამოდ ირჩევ, რაღა უნდა გააკეთო, რა რეფორმებზეა ლაპარაკი? იუსტიციის უმაღლესი საბჭო შავრაზმელების ხელშია და ამ ყველაფერს ასე მშვიდად როგორ უყურებს ხელისუფლება, ვერ გავიგე. რა ხდება, რა უბედურება ტრიალებს ჩვენს თავს? როგორ, რა არ იცის თეა წულუკიანმა, როცა მთელი იურიდიული სამყარო მურუსიძის სამუდამოდ დანიშვნაზე ლაპარაკობს? ამ ადამიანს უკვე შეტანილი აქვს იუსტიციის საბჭოში განცხადება, 4 დეკემბერს იქნება კენჭისყრა. მდივნობის ვადა ეწურება და სახლში წასვლა უწევდა, ყველაფერი კეთდება რეფორმების წინააღმდეგ. ფაქტია, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მხარს დაუჭერს, უმრავლესობა მაგისია. ჩემი აზრით, სასწრაფო წესით უნდა გაუქმდეს ასეთი იუსტიციის საბჭო, საერთოდ რაში გვჭირდება? გეგმა აქვთ ასეთი: მურუსიძე დაინიშნება მუდმივ მოსამართლედ, მის ადგილს დაიკავებს თევზაძე. სააპელაციოს თავმჯდომარედ რჩება ვალერი ცერცვაძე და ასე ატრიალებენ კარუსელს, ერთს გაუვა ვადა, მეორე დაჯდება სკამზე, მეორეს გაუვა – მესამე დაჯდება. ამის შესახებ არაფერი არ იცის წულუკიანმა? ძალიან კარგად იცის! ძალიან მძიმე მდგომარეობაა სასამართლოში, რევანშისტული ძალები ყოველდღიურად იპყრობენ სიტუაციას. ფაქტობრივად, ნინო გვენეტაძე მიტოვებული ჰყავს ხელისუფლებას. წესით, უნდა ალაპარაკდეს, მაგრამ რატომღაც თავს იკავებს. მას შიგნით მხარდამჭერები აღარ ჰყავს, „მურუსიძეებმა“ ყველა გადაიბირეს და ხალხიც გაჩუმებულია. ყოველგვარი კონკურსის გარეშე ხდება მოსამართლეების დაწინაურება. თუ ასე გაგრძელდა, ჩათვალეთ, რომ ცოტა ხანში სასამართლო აღარ გვექნება. მე უკვე მქონდა რეზო ამაშუკელთან საუბარი, ამ დღეებში რუსთაველის თეატრში გაიმართება დიდი შეკრება, რათა ამ მურუსიძეებსა და მისთანებზე საზოგადოებამ ხმა აიმაღლოს. ამ თემაზე უკვე ვმუშაობთ. კონკრეტულად გვექნება გამოსვლები ამ საკითხებთან დაკავშირებით“.

როგორც ჩანს, უკვე დადგა დრო, სამართლიანობა აღადგინოს თავად საზოგადოებამ. როდესაც ხელისუფლება ფეხებზე გიკიდებს, ამ შემთხვევაში კატალიზატორის როლი უნდა შეასრულოს ხალხმა და თანამდებობებს ჩამოაშოროს მარტო მურუსიძე კი არა, ისინიც, 2012 წლამდე ხალხს სამართლიანობის აღდგენას რომ პირდებოდნენ და ისევ სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენები მოასვეს თავზე.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ზურაბიშვილი საბურთალოზე მშენებლობის ნებართვის გაცემაზე მორატორიუმს ითხოვს



თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი დავით ზურაბიშვილი საბურთალოს რაიონში, რამდენიმე ქუჩაზე მშენებლობების ნებართვის გაცემაზე მორატორიუმის გამოცხადებას ითხოვს.

მისი განცხადებით, აუცილებელია დოლიძე-ბახტრიონი-ხილიანის ოლქში მშენებლობების ნებართვის გაცემაზე დროებით მორატორიუმი გამოცხადდეს, რადგან ახალი კორპუსების აშენებით პრობლემები იქმნება ოლქში, როგორც გარემოს განადგურების, ასევე, მოსახლეობისთვის სახიფათო სიტუაციების შექმნის თვალსაზრისით.

ზურაბიშვილმა დაასახელა ის რამდენიმე მშენებლობა, რომელთა გამო მოსახლეობა საპროტესტო აქციების დაწყებას გეგმავს, თუ დედაქალაქის მერია სათანადო ყურადღებას არ მიაქცევს.

1. ალექსიძის №1-ში მიმდინარე მშენებლობა, სადაც გზა ჩაინგრა ამ მშენებლობის გამო და დავიწროვდა;

2. ჩიქოვანის ქუჩაზე გაცემულია ნებართვა მრავალსართულიანი კორპუსის აშენებაზე. მოსახლეობის თქმით, ყოფილი საქვაბის ტერიტორიაზე, 250 კვ.მ ფართზე აპირებენ, ააშენონ ეს სახლი, რომელსაც ეზოც კი არ ექნება, მის გვერდით კი სკოლის შენობა მდებარეობს.

3. ფანასკერტელის ქუჩაზე №12ა კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ყოფილი საბავშვო მოედნის ადგილას, ასევე, იგეგმება მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობა. მოსახლეობის განცხადებით, №12ა კორპუსის მაცხოვრებლებს შეეძლებათ, ახალი კორპუსის მობინადრეებს ხელიც კი ჩამოართვან, იმდენად ახლოს იგეგმება ამ საცხოვრებელი სახლის აშენება.

ზურაბიშვილის აზრით, სავალდებულო უნდა გახდეს, მერიის შესაბამის სამსახურში რომელიმე ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემაზე მსჯელობისას, სხდომაზე ოლქის მაჟორიტარის დასწრება.

„გადაწყვეტილებას ნებართვის გაცემაზე იღებს დედაქალაქის მერია. მოსახლეობასა და მაჟორიტარს ამ დროს საქმის კურსში არავინ აყენებს, შემდეგ კი – ყველა უცებ დგება ფაქტის წინაშე, როცა მშენებელი კომპანია იწყებს სამშენებლო სამუშაოებს. შესაბამისად, ეს გაურკვევლობა იწვევს სწორედ მოქალაქეების პროტესტს. რამდენადაც საკრებულოს დეპუტატს აქვს პოლიტიკური პასუხისმგებლობა ყველა თემაზე, რაც ხდება მის საარჩევნო ოლქში, მოსახლეობაც მას აკითხავს პრობლემების მოსაგვარებლად“, – განაცხადა ზურაბიშვილმა. (netgazeti.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## გაგიკვირდებათ და თინათინ ხიდაშელი კმაყოფილია...



საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ნატოს მინისტერიალის გადაწყვეტილებები და საქართველოს შესახებ მიღებული კომუნიკე შეაფასა. თინათინ ხიდაშელმა კომენტარი აზერბაიჯანში ოფიციალური ვიზიტის დრო გააკეთა. მან მონტენეგროს ნატოში მიწვევა მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ ამ წარმატებაზე სხვა ასპირანტი ქვეყნების მომავალი წარმატება დაშენდება.

– ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს ნატოს მინისტერიალზე, რადგან 2009 წლის შემდეგ ნატო არ გაფართოებულა, მონტენეგროს გაწევრიანება, რა თქმა უნდა, უზარმაზარი ოპტიმიზმის საფუძველია ასპირანტი ქვეყნებისთვის და მათ შორის, პირველ რიგში, საქართველოსთვის. ამ კომუნიკესაც თუ წავიკითხავთ, ყველაზე მაღალი შეფასება, სწორედ, საქართველოს აქვს, ასევე, უმნიშვნელოვანესია ჩვენთვის, რომ პირველად გაჩნდა კომუნიკეში ჩანაწერი საქართველოს წევრობის გზაზე დადგომის შესახებ, – განაცხადა თინათინ ხიდაშელმა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის განცხადებით, მინისტერიალის შედეგებიდან გამომდინარე, საქართველოს დიდი ოპტიმიზმის საფუძველი აქვს.

– იმედს ვიტოვებ, რომ საქართველოს პროგრესზე ადეკვატურ გადაწყვეტილებას მიიღებენ ვარშავის სამიტზეც, – აღნიშნა მინისტრმა. (ნიუპოსტი)

## ალექსეი პუშკოვი — ნატოს გაფართოების გამო რუსეთი საკუთარ თავდაცვას გააძლიერებს



რუსეთის დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელის ალექსეი პუშკოვის განცხადებით, რუსეთი გააძლიერებს საკუთარ თავდაცვას და კავშირის სისტემას ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებასთან, კერძოდ კი, ჩერნოგორიის გეგმებთან დაკავშირებით, გახდეს ალიანსის წევრი.

– ჩვენი ზომები იქნება თავდაცვითი ხასიათის. გავითვალისწინებთ ჩერნოგორიის ორიენტაციას, – განაცხადა დეპუტატმა.

მისივე თქმით, ძირითადი ზომები იქნება რუსეთის თავდაცვის, ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური შესაძლებლობებისა და კავშირების რუსული სისტემების გაძლიერება. პუშკოვის განცხადებით, ჩერნოგორიის ნატოში გაწევრიანება აისახება რუსეთთან მის ორმხრივ ურთიერთობაზე. (ინტერპრესნიუსი)

# რატომ ჩერნოგორია და არა საქართველო?!

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



**ბრიუსელში ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალის შემდეგ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან საქართველოს დღემდე არსებული ღრმა ურთიერთობის (როგორც თავად ამბობენ ხოლმე) კიდევ უფრო გაღრმავების იმედიღა დაგვრჩა, ოღონდ სადამდეღა უნდა ვაღრმაოთ ეს ურთიერთობა, თუ ვინმემ იცოდეს, რაც გინდათ, ის გვითხარით.**

გვსურს, მკითხველს მონტენეგროზე (ჩერნოგორია) მოვუთხროთ და შევეცადოთ, იქნებ როგორმე მივხვდეთ, რატომ მიიპატიჟა ნატომ ეს სამხრეთ-ევროპული ქვეყანა და არა – საქართველო?

დავიწყოთ იმით, რომ ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ამერიკული გამოცემა „ფორბსი“ ამ ფაქტს შემდეგნაირად გამოეხმაურა:

— ჩერნოგორიის ნატოში შესვლა „ფეისბუკზე“ მეგობრების სიაში „უსარგებლო მეგობრის“ დამატებას ჰგავს. ალიანსი, რომელიც „დასუსტებული ევროპელების“ წითელი არმიისგან დაცვის მიზნით შეიქმნა, დღეს „ჯენტლმენთა კლუბის გეოპოლიტიკურ ეკვივალენტად“ იქცა. ყველას სურს კლუბის წევრობა უბრალოდ იმისთვის, რომ კლუბის წევრი იყოს. ჩერნოგორიას არავინ ემუქრებოდა. და ევროპაში ვერც ვერავინ შეამჩნევდა, თუ მას ვინმე დაემუქრებოდა. თუმცა ერთ პატარა ბალკანურ მიწას სურს, ნატოში შევიდეს და პრეზენტაბელურად გამოიყურებოდეს. მეორე მხრივ, ალიანსთან მიერთების სურვილის გამო ჩერნოგორიის მთავრობის დადანაშაულება რთულია, რადგან ამიერიდან ქვეყნის ელჩი შეძლებს ბრიუსელში სამხედრო საბჭოებში მოკალათდეს როგორც გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის წარმომადგენლების თანასწორი. და ამიერიდან ქვეყანა ერთმნიშვნელოვნად იქნება დაცული მორიგი ჰიტლერისგან, რომელიც, სავარაუდოდ, ჰორიზონტს მიღმა იმალება და მსოფლიო ბატონობის ხელში ჩაგდების გეგმებზე ფიქრობს, — წერს „ფორბსი“.

– რუსეთი მეგობარია, მაგრამ ნატო უფრო ძვირფასია, – ასე განმარტა გარკვეული პერიოდის წინ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებთან მიერთების ფაქტი მონტენეგროს პრეზიდენტმა ფილიპ ვუიანოვიჩმა და დაუფასდა კიდეც გადაწყვეტილება, კმაყოფილი იქნება, ალბათ...

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ჩერნოგორიის წევრობა ნატოს საკომუნიკაციო სტრატეგიის ფარგლებში ხორციელდებოდა, რომელიც ე.წ. მოქმედებათა გეგმებსაც მოიცავდა. ერთ-ერთ, კერძოდ კი მე-7 გეგმაში, რომელიც 2011 წელს განხორციელდა, შემდეგი ღონისძიებები შედიოდა: ნატოს საინფორმაციო ცენტრის ფორმირება, ჟურნალის **NATO Integracije** 5 ნომრის გამოცემა, თვეში ორჯერ „ნატო ინფოს“ პროგრამის ჩვენება ერთ-ერთ ადგილობრივ ტელევიზიაში, ტოქშოუები სხვადასხვა ტელეარხებზე, ლექციები სკოლებში, მოსწავლეებისთვის მოწყობილი ექსკურსიები ბრიუსელში ნატოს ცენტრში, ცენტრის შექმნა ჟურნალისტებისთვის, კონფერენცია „დიალოგი ნატოს შესახებ“, „ფეისბუკ“-კამპანია „ნატოსთან შეთანხმება“ და ასე შემდეგ.

**ახლა ვეკითხებით ნატოელებს — რაც ჩვენ ნატოზე ლექციები და დითირამბები მოგვისმენია, თავადაც დაგვიწერია და რაც ჩვენ ნატოს ცენტრები გვიხსნია, დაგვიფასა ვინმემ?!**

**თუმცა პროპაგანდის ეს არცთუ ისე მნიშვნელოვანი მომენტები იქით იყოს, საქართველოზე მეტი წვლილი ჩერნოგორიას ცხელ წერტილებში ნამდვილად არ შეუტანია და ვერც შეიტანდა! აი, რატომ:**

დავიწყოთ იმით, რომ 2011 წლის საყოველთაო აღწერების შედეგებით ჩერნოგორიის მოსახლეობის რაოდენობა 620 ათას 029 ადამიანს შეადგენდა.

ჩერნოგორიის პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობისას ქვეყნის არმია გაცილებით დიდი იყო, ვიდრე თანამედროვე — პირველი მსოფლიო ომისას არმიაში 35 ათასი ჯარისკაცი ირიცხებოდა...

2004 წლის ნოემბერში სერბიისა და ჩერნოგორიის თავდაცვის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება ერთიანი არმიის ნაციონალური პრინციპით დაყოფისა და ჩერნოგორიაში საკუთარი არმიის ფორმირების შესახებ, რომელშიც 3470 ჯარისკაცი უნდა ჩარიცხულიყო.

2006 წლის 3 ივნისს სერბიისა და ჩერნოგორიის კონფედერაციული სახელმწიფო საბჭოდან გამოსვლისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყნის შეიარაღებული ძალების რეფორმირება დაიწყო.

2006 წლის 14 დეკემბერს ჩერნოგორია ნატოს პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ჩაერთო, რაც შეეხება საქართველოს, ამ პროგრამას ჩვენ ჯერ კიდევ 1994 წლის 23 მარტს შევუერთდით!

სერბიისგან ჩერნოგორიას მემკვიდრეობით 6500-იანი არმია ერგო, თუმცა მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ რაოდენობა 2500-მდე უნდა შემცირებულიყო.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩერნოგორიამ ავღანეთში საერთაშორისო კოალიციის ძალების მოქმედებების ფარგლებში 1 სამხედრო მოსამსახურე დაკარგა, საქართველომ — 27. ნიშნის მოგებით არ ვამბობთ, თუმცა მაინც უნდა ვთქვათ, რომ ეს ერთი ჯარისკაცი სამხედრო ბაზაზე გულის შეტევისგან გარდაიცვალა...

ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ 2015 წელს ჩერნოგორიის პარლამენტმა ნატოში ქვეყნის გაწევრიანების შესახებ ოფიციალური დოკუმენტი დაამტკიცა, რომელსაც 81-დან მხარი 50-მა დეპუტატმა დაუჭირა, თუმცა მოსახლეობის უმრავლესობა ალიანსში შესვლას ეწინააღმდეგებოდა და სიტუაცია იმდენადაც კი დაიძაბა, რომ 2015 წლის ოქტომბერში ნატოს მოწინააღმდეგეთა დემონსტრაცია ხელისუფლებამ სპეცრაზმის საშუალებით დაარბია.













როგორც „ვიკიპედიაში“ ვკითხულობთ, ჩერნოგორიას ერთადერთი ტანკი ჰყავს და ისიც სამუზეუმო ექსპონატად.

როგორც „ვიკიპედიაში“ ვკითხულობთ, ჩერნოგორიას ერთადერთი ტანკი ჰყავს და ისიც სამუზეუმო ექსპონატად.

მოკლედ, ასე გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება და ყოველ სიტყვაზე დავრწმუნდებით, რომ ჩერნოგორიის ნატოში მიღება აბსურდია და მეტი არაფერი, თუმცა, როგორც ჩანს, ნატოელებისთვის საქართველო კიდევ უფრო მეტი აბსურდია. სხვა შემთხვევაში სრულიად განსხვავებული სურათი გვექნებოდა!..

ნინო ლაზარტყავა
571 99-92-33



**„საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი ლევან მურუსიძის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლედ უვადოდ დანიშვნას აპროტესტებს და აქციებისთვის მზადებას იწყებს.**

**ვინ აპირებს ზაზა ხატიაშვილთან ერთად ამ დანიშვნის გაპროტესტებას? რატომ არ იღებენ ხმას ამ ყველაფერზე „ქართული ოცნების“ ის დეპუტატები, რომლებიც თავის დროზე ხმაურით აპროტესტებდნენ გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით მურუსიძის გადაწყვეტილებას?**

**„ალიას“ ზაზა ხატიაშვილი ესაუბრა:**

– ვაპირებთ, გავაპროტესტოთ საქმის კურსში. უკვე რამდენიმე მოსამართლე გადანიშნეს, რომელთანაც ძალიან ბევრი კითხვა გვქონდა.

**პარლამენტის მიერ არჩეული იუსტიციის საბჭოს წევრები ევა გოცირიძე, კახა სოფრომაძე და ვახტანგ თოდრია ერთ ხმაში მღერიან მურუსიძის შემადგენლობასთან ერთად — ეს გვაფიქრებინებს, რომ, ფაქტობრივად, ხელისუფლებამ მურუსიძის დანიშვნის გადაწყვეტილება ჩუმად მიიღო და თუ მას უვადოდ დანიშნავენ, მერე გინდა შეშფოთდი, გინდა შემოშფოთდი, აღარაფერი გამოგივა! როდესაც მე თავიდან ვთქვი, ბიძინა ივანიშვილი, მისი პრემიერ-მინისტრობიდან ორ-სამ თვეში მურუსიძ-**

მურუსიძეზე,

**იუსტიციის საბჭოში ჩანიშნულ არჩევნებამდე ორი დღით ადრე, ღარიბაშვილი ხვდება მურუსიძეს და ამით აჩვენებს მოსამართლეთა კორპუსს, მურუსიძე ჩვენია, მხარს ვუჭერთო და მოხდა საშინელება — იუსტიციის საბჭოს არჩევნებზე ეკა გასიტაშვილის კანდიდატურა ჩავარდა და გაიმარჯვა მოსამართლე თევზაძემ, რომლის უკანონო განაჩენით დაპატიმრებული პირი „ოცნების“ დროს პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლეს! ამ ანომალიურ მოვლენებზე ჩვენ, სამოქალაქო, პოლიტიკურმა სექტორმა ხმა უნდა ამოვიღოთ, რადგან „ქართულმა ოცნებამ“ სამართლიანი სასამართლოს მაგივრად, ქვეყანაში დაა-**

იკეთებდნენ? გირგვლიანის სასაფლაოზე ადიოდნენ და იქიდან ატარებდნენ პრესკონფერენციებს, ხალხო! დღეს კიდევ ეს ხალხი მე მებრძვის, როცა ვამბობ, მურუსიძეს ნუ ნიშნავთმეთქი და „ფეისბუკზე“ მათი დაქირავებული ლაქიები „ნაციონალს“ მეძახიან მე, ვინც იმისთვის ვიბრძვი, რომ „ნაციონალების“ საყრდენი სასამართლოდან მოვაცილო. წარმოგიდგენიათ, სამოქალაქო საზოგადოებას რა დონის ბოროტ ძალასთან გვაქვს საქმე? როდესაც ასეთი სიბინძურე ხდება და ამ ადამიანებს არ აქვთ რეაქცია, ესე იგი, ისინი ამ სიბინძურეს ეგუებიან და ვინც ამას ეგუება, რა შეიძლება მათთან მაკავშირებდეს? და კიდევ ყველაზე სამარცხვინო: „ქართული ოცნება“ ამბობდა, სასამართლო რეფორმას ჩავატარებთო, სამი წე-

**ყნენ და იმიტომ! სიბინძურეს, რომელსაც ეგენი მოჩვენებით ებრძოდნენ მაშინ და თურმე, სკამის დაკავება უნდოდათ! გუბაზ სანიკიძე ახსენეთ და გეტყვით — გუბაზი, რომელიც იური ვაზაგაშვილის ყველაზე ახლობელი იყო, არც სასამართლოზე მინახავს, არც დასაფლავებაზე, რადგან იურიმ სიცოცხლეში თქვა, გუბაზისგან ამას არ მოველოდიო. ხომ გახსოვთ, ფარული ჩანაწერი, გუბაზმა რომ თქვა, მილიონი მინდაო. რაც მე ვიცი, იმდენი პატივი აქვს გუბაზისთვის ნაცემი, ამ ადამიანმა კი იური ვაზაგაშვილს უღალატა და მილიონი მინდაო, იძახდა... მიშას ბენზინიდან თუ ერთი ლარი მიჰქონდა, თვითონ რამდენი მიაქვთ იმ ბენზინიდან? და ამ ადამიანებზე მსჯელობა როგორ შეიძლება? ესენი ყველანი სამოქალაქო საზოგადოების მტრები არიან, დაწყებული ივანიშვილიდან და ღარიბაშვილიდან, წულუკიანით და ბარამიძით დამთავრებული!**

**— ხელისუფლებამ ხომ იცის, რომ მურუსიძის შესაძლო დანიშვნით ხალხი გაღიზიანებულია, რაში აწყობთ მისი დანიშვნა? არჩევნები ახლოვდება და ამდენი უკმაყოფილო ადამიანი რაში აწყობთ?**

– გეტყვით, რაში აწყობთ: ამ ხელისუფლებამ რისი გაფუჭებაც შეიძლებოდა, ყველაფერი გააფუჭა, ხომ ხედავთ? მათ, ალბათ, სააპელაციო სასამართლოში საარჩევნოდ ისეთი კადრი სჭირდებათ, რომელიც ყველა დავალებას შეასრულებს. სააპელაციო სასამართლო არის ბოლო ინსტანცია, სადაც საარჩევნო დავები საჩივრდება, ანუ უზენაეს სასამართლოში აღარ მიდის. ამ ინსტანციაში მურუსიძის შესვლა გამოიწვევს იმას, რომ „ქართული ოცნება“ ყველაფერს მოიგებს, სწორედ ამაშია მათი ერთ-ერთი ბინძური პოლიტიკური გათვლა და ნაბიჯი. სააპელაციო სასამართლოში ახლა მოსამართლეები რომ გადასინჯეს, რომელთა მიმართაც სამოქალაქო საზოგადოებას კითხვის ნიშნები ჰქონდა, ყველაფერი მიდის იქითკენ, რომ სააპელაციო სასამართლო რაც შეიძლება დახუნძლონ ისეთი მოსამართლეებით, რომ-

# ზაზა ხატიაშვილი: „არა მგონია, ბიძინა ივანიშვილს ჩვენზე მეტი ავტორიტეტი ჰქონდეს და მან გაბედოს მურუსიძის დანიშვნა“





**„მათ, ალბათ, სააპელაციო სასამართლოში საარჩევნოდ ისეთი კადრი სჭირდებათ, რომელიც ყველა დავალებას შეასრულებს. სააპელაციო სასამართლო არის ბოლო ინსტანცია, სადაც საარჩევნო დავები საჩივრდება, ანუ უზენაეს სასამართლოში აღარ მიდის. ამ ინსტანციაში მურუსიძის შესვლა გამოიწვევს იმას, რომ „ქართული ოცნება“ ყველაფერს მოიგებს, სწორედ ამაშია მათი ერთ-ერთი ბინძური პოლიტიკური გათვლა და ნაბიჯი“**

ეს ფაქტი და ჩვენთან ერთად მთელი არასამთავრობო სექტორი სოლიდარულია. მე ნანა კაკაბაძესთან მაქვს კონსულტაციები და ვიცი, რომ ჩვენ ძალიან ბევრი არასამთავრობო შემოგვიერთდება.

**ჩემთვის უკვე ნათელია, რომ ბიძინა ივანიშვილი გაურიგდა სამოქალაქო საზოგადოების მტრებს — პროკურორებს, მოსამართლეებს, რომლებიც სააკაშვილის დროს ხალხს ატერორებდნენ და სააკაშვილის რეჟიმის ძირითადი შემქმნელები იყვნენ.**

დღეს, როდესაც ვიგებ, რომ იუსტიციის საბჭოში არის მოსამართლეთა კონკურსი, იუსტიციის საბჭო არ აქვეყნებს ინფორმაციას, რომელ მოსამართლეებთან მიდის გასაუბრება, რომ ელემენტარულად, სამოქალაქო საზოგადოება ჩააყენოს

**ესთან გარიგდა-მეთქი, მაშინ სამოქალაქო საზოგადოებამ და ჟურნალისტთა კორპუსმა არ მომისმინა და აქეთ დამადანაშაულა, დააცადე ბიძინას, ეგრევე ოპოზიციაში რატომ ჩაუდექიო? მურუსიძე, რომელიც უკანონობებთან ასოცირდებოდა, რომელიც გირგვლიანის საქმის გადაწყვეტილებასთან ასოცირდებოდა, რომელიც გიორგი მიქიაშვილის წამების ფაქტის დამალვასთან ასოცირდებოდა (და ეს საქმე მე მოვიგე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში), ასეთ ადამიანზე ბიძინა ივანიშვილი ამბობს, წესიერი კაცი გავიცანიო!**

ღმერთმა უმრავლოს ეგეთი „წესიერი“ კაცები ბიძინა ივანიშვილს გარემოცვაში! მეორე: როდესაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო გვენეტაძე დაინიშნა და სამოქალაქო საზოგადოებამ იერიში მიიტანა

**კანონა სააკაშვილის რეჟიმის დროს სიბინძურეში გამობრძმედილი მოსამართლეები და პროკურორები, რომლებმაც მთლიანად გაანადგურეს ეს ქვეყანა!**

**— როდესაც თქვენ, სააკაშვილის დროს, მურუსიძის საკითხს აპროტესტებდით, თქვენს თანამოაზრეებს შორის მაშინ დღევანდელი არასაპარლამენტო ოპოზიცია, დღევანდელი დეპუტატები, ზვიად ძიძიგური, გუბაზ სანიკიძე იყვნენ...**

– მაგათთან ერთად მანანა კობახიძეც აპროტესტებდა ამ ამბავს, ეკა ბესელიაც და კიდევ სხვები.

**— კი, ბატონო. თუ გქონიათ საუბარი მათთან, რა რეაქცია აქვთ მურუსიძის დანიშვნაზე, ხმა რატომ არ ამოიღეს აქამდე?**

– კარგი კითხვა დამისვით. გახსოვთ, „ქართული ოცნების“ დღევანდელი პირები პოლიტიკურ კარიერას როგორ

ლია, ხელისუფლებაში არიან და 12 მოსამართლეზე მეტი ვერ გადაამზადეს, რომ დაენიშნათ. წარმოგიდგენიათ? ხალხო, თუ არ გყავს წესიერი მოსამართლე, რომელსაც მაღალი რეპუტაცია აქვს, სასამართლო რეფორმა როგორ უნდა განახორციელო? ვიმეორებ, ქვეყანაში ანომალიური მოვლენები ხდება და ამას საფუძველი დაუდო ბიძინა ივანიშვილის მურუსიძესთან სტუმრობამ.

**— მაიც ვერ ვგებულობ, რატომ არ იღებენ ხმას ის ადამიანები, რომლებიც, როგორც თქვენ ამბობთ პრესკონფერენციებს გირგვლიანის სასაფლაოზე ატარებდნენ? ახლა აღარ აშფოთებთ მურუსიძის საკითხი თუ ისეთები მიქარეს ხელისუფლებაში მოსვლის მერე, რომ ყურებით უჭირავთ?**

**— სიბინძურეს შეერწ-**

ლებიც „ქართული ოცნების“ სასამართლო დავაზე გადაწყვეტილებას უზრუნველყოფს.

**— თუ ლევან მურუსიძე მაინც დაინიშნება, ასეთ შემთხვევაში რას აპირებთ?**

– „საია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „სამართლიანი არჩევნები“, ნანა კაკაბაძე – ყველანი ვაპირებთ დადგომას იუსტიციის საბჭოს წინ და საპროტესტო ღონისძიებებს გავმართავთ და როცა ერთად დავდგებით, არა მგონია, ბიძინა ივანიშვილს ჩვენზე მეტი ავტორიტეტი ჰქონდეს და მან გაბედოს მურუსიძის დანიშვნა. და თუ გაბედა, როგორც სააკაშვილი ვერ ჩამოდის საქართველოში, ის წააგებს არჩევნებს და არასამთავრობოები დავდგებით ქუჩაში მანამ, სანამ ეს ადამიანი ბრალდებულის სახით არ აგებს პასუხს იმისთვის, რაც მან გააკეთა!

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ალია“ ხშირად წაიკითხეთ, ხშირად...



„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აცხადებს, რომ დეპუტატ სოსო ჯაჭვლიანის მიერ შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილება „სითი პარკთან“ დაკავშირებით, რომელიც ეხება სატრანსპორტო საშუალების გაჩერებისა და დგომის მარეგულირებელი წესების დარღვევისთვის გათვალისწინებულ სანქციებს, შემოთავაზებულ ვარიანტში მთავარი ცვლილებაა სიტყვა „მოძრაობის“ ჩანაცვლება სიტყვათშეთანხმება „საავტომობილო მოძრაობით“, რაც გულისხმობს, რომ საჯარიმო სადგომზე გადაყვანის სანქცია აღარ გავრცელდება, მაგალითად, ტროტუარზე გაჩერებულ ავტომობილებზე, რომლებიც ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებას აფერხებენ. კანონპროექტის განმარტებით ბარათში პირდაპირ არის მითითებული, რომ კანონპროექტის მიზანი და ძირითადი არსი ხსენებული მუხლის მოქმედების სფეროდან ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის შეფერხების შემთხვევების გამორიცხვაა.

„წარმოდგენილი კანონპროექტი საფრთხის შემცველია და (დამტკიცების შემთხვევაში) მნიშვნელოვნად გააუარესებს მდგომარეობას საქართველოს ქალაქებში, განსაკუთრებით კი, თბილისში“, – აცხადებს ორგანიზაცია.

საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონი პირდაპირ ავალდებულებს მოქალაქეს, გადაადგილდეს გზის მისთვის განკუთვნილ მონაკვეთზე, ტროტუარზე და აწესებს აკრძალვას მოცემულ მონაკვეთზე ავტომობილის გაჩერებისთვის.

„შემოთავაზებული კანონპროექტის წარმოდგენილი ფორმით მიღების შემთხვევაში, ტროტუარზე მდგომი ავტომობილებისთვის, რომელიც შეიძლება აფერხებდეს მხოლოდ ფეხით მოსიარულეთა მოძრაობას, სანქციის სახით დაწესებული პასუხისმგებლობა – დაცულ ავტოსადგომზე გადაყვანა აღარ იარსებებს. შესაბამისი ორგანოები მხოლოდ საჯარიმო ქვითრის ამოწერით შეიძლება შემოიფარგლონ, რაც, ვფიქრობთ, არასაკმარისი საშუალებაა და საკმარისად ვერ მოაწესრიგებს აღნიშნულ საკითხს“.

ორგანიზაციის შეფასებით, „დეპუტატ ჯაჭვლიანის მიერ შემოთავაზებული ცვლილება გულისხმობს ტროტუარზე პარკირების პრობლემასთან ბრძოლის დღეს არსებული ერთადერთი, მეტ-ნაკლებად ეფექტური მექანიზმის გაუქმებას და ამდენად, მნიშვნელოვნად დაამძიმებს როგორც ზოგადად ფეხით მოსიარულეების, ისე მცირეწლოვანი ბავშვების მშობლებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მდგომარეობას საქართველოს ქალაქებში“. (netgazeti.ge)

**ძლივს გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ყაჩაღი „სითი პარკის“ თავის ადგილზე „მოჯენას“ კანონით აპირებენ. კანონპროექტის თანაავტორებმა — სოსო ჯაჭვლიანმა და ზვიად ტომარაძემ „ალიასთან“ ინტერვიუში კატეგორიულად თქვეს, მთავარია „სითი პარკის“ პარპაში ავლაგმოთ და ისეთი კანონი მივიღოთ, რომ არც ავტომფლობელი და არც ფეხით მოსიარულე არ დააზარალდეს, ხარვეზები განხილვების დროს დაიხვეწებაო. მაგრამ ეტყობა, „ალიას“ არ კითხულობთ და... მიდით საკომიტეტო მოსმენებზე და ჩაასწორებინეთ, რა პრობლემაა, სად გეჩქარებათ, დეტალებში „ეშმაკების“ ძებნა რომ დაიწყეთ?**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## რუსი დეპუტატები რაჰათ ლუხუმის გაყიდვის აკრძალვას ითხოვენ



რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის დეპუტატები პარლამენტის ბუფეტში რაჰათ ლუხუმის გაყიდვის აკრძალვას ითხოვენ.

დეპუტატები უახლოეს დღეებში გეგმავენ, ხელისუფლებას თხოვნით მიმართონ, რაჰათ ლუხუმი რუსეთის ტერიტორიაზე სანქცირებული თურქული პროდუქციის ჩამონათვალში შეიყვანოს.

– ერთ-ერთმა ამომრჩეველმა მოგვწერა, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ნაყიდი რაჰათ ლუხუმის მირთმევის შემდეგ, შეუძლოდ გახდა. როგორც სპეციალისტებმა გვითხრეს, ამ კანფეტებში ტექნიკური პალმის ზეთი გამოიყენება,. ეს ზეთი ონკოლოგიურ და სხვა სახის დაავადებებს იწვევს, – აღნიშნა რუსმა დეპუტატმა ანდრეი სვინცოვმა.

მისივე თქმით, რაჰათ ლუხუმი სახელმწიფო დუმის ბუფეტშიც იყიდება და თუ გამოვლინდება, რომ კანფეტი შეიცავს ჯანმრთელობისთვის შეუსაბამო ნივთიერებებს, „რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტია“ ხელისუფლებას თხოვნით მიმართავს, აკრძალოს დუმის ბუფეტში რაჰათ ლუხუმის გაყიდვა.

რუსეთის ხელისუფლებამ 1-ელ დეკემბერს იმ თურქული პროდუქტების სია გამოაქვეყნა, რომლის შეტანაც რუსეთის ტერიტორიაზე 2016 წლის 1-ლი იანვრიდან იკრძალება.

რუსული მედიის ინფორმაციით, ჩამონათვალში მოხვდა ციტრუსები – ფორთოხალი, მანდარინი, ქათმისა და ინდაურის სუბპროდუქტი, ხახვი, ფერადი კომბოსტო, ბროკოლი, კიტრი, ყურძენი, ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი, მარწყვი, მარილი. (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## გიორხელიძე რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებაზე: ვფიქრობ, კონფლიქტის დარეგულირების გარეშე სიტუაცია არ დაიწმინდება



ექსპერტი დემურ გიორხელიძე არ გამორიცხავს, რომ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება კიდევ უფრო გამწვავდეს და კონფლიქტამდე მივიდეს.

ექსპერტი ვარაუდობს, რომ თუ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება გართულდება, საქართველოს იმპორტსა და ექსპორტს პრობლემა აუცილებლად დაუდგება.

„ძალიან საშიში დაპირისპირებაა, სასურველი არ არის, რომ დაძაბულობის ესკალაცია მოხდეს. ორი ასეთი დიდი ქვეყნის დაპირისპირება კარგს არაფერს უქადის საქართველოს. ახლო აღმოსავლეთში ისეთი სიტუაცია იქმნება, რომ, როგორც ჩანს, მსოფლიო პოლიტიკის მთავარი მოთამაშეები ბოლომდე ეცდებიან, მაქსიმალურად დააზიანონ ერთმანეთი. ამ პროცესებში ჩვენ არ უნდა ვიყოთ მხარე. ჩვენთვის საყურადღებოა დღევანდელი სიტუაცია. თუ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება გართულდება, აუცილებლად დაუდგება პრობლემა ჩვენს იმპორტსა და ექსპორტს. რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების გართულება გამორიცხული არ არის. ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რა მასშტაბის გართულება მოჰყვება ამას, ვფიქრობ, კონფლიქტის დარეგულირების გარეშე სიტუაცია არ დაიწმინდება.

თუ მსოფლიოს მთავარი მოთამაშეები არ შეთანხმდნენ, სად იქნება სახელმწიფოების საზღვრები, სად იქნება გლობალური გადაწყვეტა, რომ აღმოსავლეთში მოვიდეს სიმშვიდე, „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯები არ მოაგვარებს იმ პრობლემებს, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა. ეს არის დენთის კასრი, რომელიც ასაფეთქებლად მზად არის და აფეთქება გარდაუვალი იქნება“, – განაცხადა გიორხელიძემ. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სოზარ სუბარი ავარიაში მოყვა



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი ავარიაში მოყვა.

შემთხვევის შედეგად მინისტრი და მისი მძღოლი არ დაშავებულან, თუმცა ავარიის შედეგად მეორე ავტომობილის მძღოლი – 68 წლის ემზარ ხონელიძე გარდაიცვალა.

სოზარ სუბარის ავტომობილი ტაქსს შეეჯახა. შემთხვევა სამტრედია-აბაშის გზაზე მოხდა. (ინტერპრესნიუსი)

**„ალია“ უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.**

**ასევე, თანაგრძნობას ვუცხადებთ სოზარ სუბარსაც — შემთხვევა ნამდვილად უმძიმესია და ძალიან სამწუხარო!**

## საჯარო რეესტრი ამონაწერის ბრაილის შრიფტზე გაცემას იწყებს



იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი აცხადებს, რომ მისი უწყების კარი ღიაა შშმ პირების დასახმარებლად.

– მიხარია, რომ იუსტიციის სამინისტროში გრძელდება ის რეფორმატორული და სამართლებრივი ტრადიცია, რაც ნიშნავს, რომ შშმ პირების საკითხები, მათ შორის პრობლემები უნდა დავინახოთ უფლებრივ ჭრილში, რადგან ეს თანამედროვე სამყაროში უკვე აღარ არის მხოლოდ ჯანდაცვის პრობლემები. ეს არის ადამიანის უფლებების ჭრილში შესაფასებელი საკითხები. ამიტომაც ჩვენი სისტემის კარი ღიაა შშმ პირების დახმარებისთვის. თუნდაც მხოლოდ საჯარო რეესტრში 20-მდე შშმ პირი მუშაობს, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

მისივე თქმით, ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც სამინისტრომ ქალაქებში ან სოფლებში განახორციელა, აღჭურვილია პანდუსებითა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურით.

– ჩვენს შშმ პირებს ვაცნობეთ, რომ საჯარო რეესტრი უკვე იწყებს ამონაწერის ბრაილის შრიფტზე გაცემას, რაც ხელმისაწვდომს გახდის ქონებრივი უფლებების რეალიზაციას მათთვის, ვისაც მხედველობის პრობლემები აქვთ, – აღნიშნა წულუკიანმა. (რეპორტიორი)

## აშშ ერაყში ამერიკელ სპეცრაზმელებს აგზავნის



აშშ ერაყში ამერიკელ სპეცრაზმელებს აგზავნის. როგორც აშშ-ის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა ეშტონ კარტერმა განაცხადა, ქვედანაყოფი სირიის ტერიტორიაზე მოქმედი ისლამისტების წინააღმდეგ ოპერაციებს ჩაატარებს. როგორც კარტერმა, სენატში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, ამერიკელი სპეცრაზმელების ამოცანა რეიდების ჩატარება, ტყვეების განთავისუფლება და „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერების დაკავება გახდება.

სააგენტო „დოიჩე ველე“ წერს, რომ ვაშინგტონის გადაწყვეტილებას ერაყში მწვავე რეაქცია მოჰყვა. პრემიერ-მინისტრმა ჰაიდერ ალ-აბადიმ განაცხადა, რომ ერაყს უცხო ქვეყნის სახმელეთო ჯარები არ სჭირდება, ხოლო ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური შეიარაღებული ძალების განლაგება ან მათი მხრიდან სამხედრო ოპერაციების ჩატარება ოფიციალური ბაღდადის თანხმობის გარეშე დაუშვებელია.

თავის მხრივ, ერაყში მოქმედმა შიიტურმა შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა განაცხადეს, რომ მზად არიან, ამერიკული სპეცდანიშნულების ძალების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყონ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „დღეში სამ სოფელს ხომ მოივლის?!“ — ოზურგეთელი დეპუტატები თოვლის ბაბუის ჩაყვანას ითხოვენ



ოზურგეთელი დეპუტატები საახალწლოდ სოფლებში თოვლის ბაბუის ჩაყვანას ითხოვენ. ეს განცხადება, ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატმა ხვიჩა წულაძემ საკრებულოს სხდომაზე გააკეთა. სხდომაზე დეპუტატები ახალი წლის დღეებში ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში დაგეგმილ ღონისძიებასა და სოფლებიდან ბავშვების ჩაყვანის საკითხს განიხილავდნენ.

– რა გახდა ასეთი ეს საახალწლო ღონისძიება, სად წამოვიყვანოთ თეატრში ბავშვები, უმჯობესია, ყველა სოფელში ჩამოიყვანეთ თოვლის ბაბუა და შეხვდება ბავშვებს. დღეში სამ სოფელ ხომ შემოიარს? – იკითხა წულაძემ.

როგორც, საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ ლელა საჯაიამ განაცხადა, საახალწლო ღონისძიებების დაგეგმვასთან დაკავშირებით თათბირი 4 დეკემბერს გაიმართება, სადაც დეპუტატების ინიციატივების განხილვა მოხდება. (ნიუპოსტი)

**შემოიარს, კაცო, რაფრად არ შემოიარს, მაგრამ თოვლის ბაბუის მეტი მაქაურ ბავშვებს სხვა საკითხები არ აწუხებთ?!**

## ღუდუშაურის საავადმყოფოს მე-4 სართულიდან პაციენტი გადახტა



პაციენტის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია კლინიკის დირექტორის პირველმა მოადგილემ მარინა გელანტიამ დაადასტურა.

– პაციენტი მწვავე პნევმონიის დიაგნოზით ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მკურნალობდა. მას განუვითარდა მწვავე ფსიქოლოგიური აშლილობა. იყო აგრესიული დაცვისა და მედპერსონალის მიმართ, არაადამიანური ხმით ყვიროდა, გაარღვია ყველა ე.წ. ბარიერი და მოხდა ეს სამწუხარო ფაქტი, – განაცხადა მარინა გელანტიამ. (ნიუპოსტი)



## თურქეთ-სირიის საზღვართან ორი რუსული ვერტმფრენი გაუჩინარდა

არაბული მედიის ინფორმაციით, თურქეთ-სირიის საზღვართან ორი რუსული „მი-8“ ტიპის ვერტმფრენი გაუჩინარდა. **AEJKhalil**-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ეს იგივე რაიონია, სადაც თურქულმა ავიაციამ საჰაერო სივრცის დარღვევისთვის რუსული თვითმფრინავი „სუ-24“ ჩამოაგდო. გამოცემის თანახმად, ცნობილია ვერტმფრენების კორპუსის ნომრები – 927 და 930.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ზომიერი ოპოზიციის“ წარმომადგენელმა სირიელმა თურქებმა თურქმენული მთების რაიონიდან ორ ვერტმფრენს ცეცხლი გაუხსნეს.

ვერტმფრენების შესახებ ოფიციალური განცხადება ჯერჯერობით არ გაკეთებულა. (ნიუპოსტი)

# იუსტიციის მინისტრს ჰგონია, რომ ყველას სკლეროზი დაგვემართა, ისე ისაწყლებს თავს

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



საქართველოს ხელისუფლების სხვადასხვა რანგის წარმომადგენლები კვლავაც არ ამბობენ უარს სახელფასო დანამატებსა და პრემიებზე, ჩვენს მინისტრებს კი 5000-ლარიანი ხელფასები ეცოტავებათ.

იუსტიციის მინისტრმა ამ თემაზე მორიგი „მარგალიტი" შემოგვთავაზა:

*— დანამატების სისტემა ჩვენს სამინისტროებში მთლიანად ვერ მოიშლება, რადგან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი სახელმწიფო დგას საჯარო მოხელეებზე. რაც შემეხება მე, წელს არც ერთი თეთრი პრემიის სახით არ ამიღია და ვიცი, თუკი ავიღებ, ამას შეიძლება მოჰყვეს კითხვის ნიშნები. ამიტომაც, რაც არ უნდა ბევრს და კარგად ვმუშაობდე, ის პრემია, რომელიც კითხვებს გამოიწვევს, არ მინდა. დღეს მინისტრების ხელფასი არის 5 ათასი ლარი და სხვადასხვა ქვეყნების კოლეგების ხელფასს თუ შევადარებთ, არის ძალიან მოკრძალებული თანხა. ამ მოკრძალებული თანხის სანაცვლოდ, ჩვენ ვაკეთებთ საშვილიშვილო საქმეს, — განაცხადა თეა წულუკიანმა.*

იუსტიციის მინისტრს ჰგონია, რომ ყველას სკლეროზი დაგვემართა, ისე ისაწყლებს თავს. „ინფორმაციის განვითარების თავისუფლების ინსტიტუტის" მონაცემებით, 2014 წელს თეა წულუკიანს ყველა მინისტრზე მაღალი შემოსავალი ჰქონდა. 2014 წელს მიღებული აქვს 87 500 ლარი (ხელზე 70 000 ლარი), აღნიშნული თანხიდან, 75 000 ლარი მის თანამდებობრივ სარგოს და პრემიერ-მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ სახელფასო დანამატს წარმოადგენს, ხოლო დანარჩენი 12 500 ლარი იუსტიციის მინისტრს მიღებული აქვს პრემიის ან სხვა დანამატის სახით. დიახ, შარშან 12 500 ლარი აიღო პრემია-დანამატის სახით და თუ წელს ვერ იღებს, ეს მისი კეთილი ნება არ გახლავთ, ეს იმის გამო მოხდა, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449 დადგენილებით, დამტკიცდა საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესი, რომლის მიხედვითაც დარეგულირდა მთავრობის მმართველობის სფეროში შემავალ უწყებებში დასაქმებულ პირებზე პრემიის გაცემის პერიოდულობა და მაქსიმალური ზღვარი. ეს დადგენილება კი პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, რაც ჩვენმა მინისტრებმა და მათმა მოადგილეებმა ბიუჯეტის თავზე გადაფხრეწა დაიწყეს, ყოველთვე პრემია-დანამატებს იწერდნენ და ამის საფასურს კი არა, მის მეათედსაც არაფერს აკეთებდნენ...

**თეა წულუკიანი ახლა გვამადლის, 5000 ლარზე ვმუშაობ და ეს ჩემი სხვა ქვეყნების კოლეგების ხელფასთან შედარებით, ძალიან მოკრძალებული თანხააო. იქვე აცხადებს, ამ ხელფასით ჩვენ საშვილიშვილო საქმეს ვაკეთებთო. მოდით, ჯერ ამ „საშვილიშვილო საქმეს" მივხედოთ. რა გააკეთა იუსტიციის მინისტრმა ისეთი, რომ ახლა საშვილიშვილო საქმედაც მიაჩნია?**

**საპროკურორო საბჭო რომ შექმნა და ბიძინა ივანიშვილის მარიონეტი, ირაკლი შოთაძე დანიშნა მთავარ პროკურორად, ეს არის საშვილიშვილო საქმე?! მთავარი პროკურატურა ერთხანს იუსტიციის სამინისტროს ანუ თეა წულუკიანს ემორჩილებოდა და იმ უუნარო პროკურატურამ „ნაცმოძრაობის" ათეულობით დამნაშავეს ბრალი ვერ დაუმტკიცა და ეს გარეწრები ახლა რევოლუციითა და ათასი უბედურებით იმუქრებიან, ეს არის საშვილიშვილო საქმე?!**

**ქართველი ბიზნესმენების გამანადგურებელი სააკაშვილის რეჟიმის მთავარი რეკეტიორი დავით კეზერაშვილი საფრანგეთიდან რომ ვერ ჩამოიყვანა და ციხეში ვერ ჩასვა, ეს არის საშვილიშვილო საქმე?**

**ახლახან მოწმის დაკითხვის წესში თეა წულუკიანმა ისეთი ცვლილებები შეიტანა, ადვოკატთა კორპუსი გაფიცვას აპირებს, მთელი დემოკრატიული სამყარო გადარია ამ ცვლილებებმა და ამით ამაყობს წულუკიანი? თუ ის არის საამაყო, „იარაღის კანონში" იუსტიციის სამინისტრომ იდიოტური ცვლილებები რომ შეიტანა და ამით ისე გაართულა იარაღის შეძენა, მთელი ქვეყანა კრიმინალების პირისპირ დაცვის გარეშე დატოვა. თეა წულუკიანი ის მინისტრია, რომელიც კრიმინალების მხარს დადგა და არა საქართველოს მოქალაქეების და ეს არის „საშვილიშვილო საქმე"?**

თავის 5000-ლარიან ხელფასს თეა წულუკიანი უცხოელ მინისტრებთან შედარებით მოკრძალებულ თანხად მიიჩნევს. არ დაგვავიწყდეს, ამას იმ ქვეყნის მინისტრი ამბობს, სადაც სოციალურად დაუცველთა მაქსიმალური შემწეობა 60 ლარია, მინიმალური ხელფასი – 115 ლარი, ასაკობრივი პენსია 160 ლარი ძლივს გახდა ახლახან, შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი კი 155 ლარი, რაც გაეროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის კომიტეტის, ასევე, აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მონაცემებით, 5 წლის ბავშვის საარსებო მინიმუმის ტოლფასია. იმ უცხოეთში კი, სადაც მინისტრებს მაღალი ხელფასები აქვთ, ხალხი ნაგავში არ იქექება ლუკმაპურისთვის, წამლის ფულის უქონლობის გამო ადამიანები არ იღუპებიან, არც ერთ იმ ქვეყანაში, 400 000 იპოთეკარი არ არის და მოსახლეობის 70 პროცენტი – უმუშევარი. მოდით, ვნახოთ, რა ხდება იმ ქვეყნებში, სადაც თეა წულუკიანის კოლეგები მაღალ ხელფასებს იღებენ. დავიწყოთ პენსიებით:

ჩეხეთი – პენსიონერები პენსიაზე გასვლის შემდეგ, ხელფასის 50 პროცენტს იღებენ. ეს თანხა კი საშუალოდ 1000 ევროს შეადგენს. მამაკაცების საპენსიო ასაკი – 61, ხოლო ქალების 58 წელია. პორტუგალია – საპენსიო ასაკი 65 წლიდან იწყება. საშუალოდ, ისინი ხელფასის 54 პროცენტს იღებენ. ეს თანხა კი დაახლოებით 540 ევროს აღწევს. ქვეყანაში საშუალო ხელფასი 1000 ევროა.

**ფინეთი** – საპენსიო თანხა ხელფასის 58.4 პროცენტს შეადგენს. სტატისტიკის მიხედვით, ფინეთში საშუალო ხელფასი 3,7 ათასი ევროა, მაგრამ ამას აკლდება გადასახადები და სხვა მოსაკრებლები. სლოვენია – ქვეყანაში საპენსიო ასაკი კაცებისთვის 63 წლის, ხოლო ქალბატონებისთვის 61 წლის ასაკში დგება. ისინი პენსიის სახით ხელფასის 62 პროცენტს იღებენ...

**ახლა სხვა ქვეყნების მინიმალურ ხელფასებს გადავხედოთ: მინიმალური ყოველთვიური ხელფასი ავსტრალიაში 4051 დოლარია, საფრანგეთში — 2901, ახალ ზელანდიაში — 2683, ლუქსემბურგში — 1874 ევრო, ბელგიაში — 1502 ევრო, ჰოლანდიაში — 1469 ევრო, ირლანდიის რესპუბლიკაში — 1462 ევრო, საფრანგეთში — 1430 ევრო, 11-პროცენტიანი მატების შემდეგ დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში 1403 ევროს ეკვივალენტი, თურქეთი — 380 ევროს ეკვივალენტი.**

**რაც შეეხება საარსებო მინიმუმს, სხვადასხვა ქვეყანაში მისი ოდენობა ასეთია: ნორვეგია — 4600 ლარი, სლოვენია — 1800, აშშ — 1600, ესტონეთი — 1100, აზერბაიჯანი — 928, ლატვია — 511, რუსეთი — 380, უკრაინა — 244, სომხეთი — 230. ევროპა-ამერიკას თავი დავანებოთ და ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებში საქართველოზე დაბალი საარსებო მინიმუმი მხოლოდ ტაჯიკეთსა და უზბეკეთშია. ყაზახეთსა და ყირგიზეთშიც კი ჩვენზე მეტია — 178 და 179 ლარი შესაბამისად.**

აი, ასეთი სოციალური მდგომარეობაა იმ ქვეყნებში, სადაც თეა წულუკიანზე მაღალ ხელფას იღებენ მინისტრები. ამ მონაცემებს საქართველო ოდნავ დაუახლოონ წულუკიანმა და მისმა ქართველმა კოლეგებმა და ჯანდაბას, მერე დაინიშნონ მაღალი ხელფასები.

აქვე იმასაც დავამატებთ, რომ თეა წულუკიანის 5000-ლარიანი ხელფასი სოციალურად დაუცველის შემწეობაზე 83-ჯერ მეტია, მინიმალურ ხელფასზე – 43-ჯერ მეტი, საარსებო მინიმუმზე – 33-ჯერ მეტი, ხოლო ასაკობრივ პენსიაზე – 31-ჯერ მეტი. ჰოდა, როცა ხალხი ასეთ შავ დღეშია და შენ ამხელა ხელფასი გაქვს, კეთილი უნდა ინებო და მაგ 5000 ლარზე ისე უნდა იმუშაო, რომ არ წამოგვაყვედრო და მალ-მალე ის არ შეგვახსენო, რომ უცხოეთში შენი კოლეგები გაცილებით მეტს იღებენ. ისინი თუ იღებენ, საქმესაც აკეთებენ, ხალხი ადამიანურად ცხოვრობს და რაც მთავარია, მინისტრები საარსებო მინიმუმზე 33-ჯერ მეტს არ იღებენ!

**ცხონებული ნოდარ დუმბაძის ერთი საბავშვო ლექსისა არ იყოს — „არ გრცხვენიათ, გოჭებო, ღორებივით იქცევით?!"**









ქალბატონო იუსტიციის მინისტრო, იმ უცხოეთში, სადაც მინისტრებს მაღალი ხელფასები აქვთ, ხალხი ნაგავში არ იქექება ლუკმაპურისთვის, თქვენ კი 5-ათასლარიანი ხელფასი არ გაკმაყოფილებთ?!

თეა წულუკიანი ის მინისტრია, რომელიც კრიმინალების მხარს დადგა და არა საქართველოს მოქალაქეების და ეს არის „საშვილიშვილო საქმე"?

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## თურქეთის პრეზიდენტი რუსეთს საპასუხო ზომებით ემუქრება



თურქეთი რუსეთის რეაქციას ჩამოგდებული „სუ-24"-ის გამო არაპროპორციულს უწოდებს და აცხადებს, რომ სანქციების შემოღების შემთხვევაში რუსეთის მიმართ საპასუხო ზომებს განახორციელებს.

– ჩვენ ემოციურად არ მოვქცეულვართ და ამას არ გავაკეთებთ. არ გვაქვს სურვილი, გავამძაფროთ ეს დაძაბულობა. ჩვენ დიპლომატიური მეთოდებით ვიმოქმედებთ. რუსეთი თუ კვლავ ძველებურად მოიქცევა, ჩვენი მხრიდან ზომების მიღებას დავიწყებთ. მწუხარებით ვადევნებთ თვალს რუსეთის არაპროპორციულ რეაქციას, – განაცხადა ერდოღანმა. აქვე იმასაც დავამატებთ, რუსეთმა შესაძლოა, „თურქული ნაკადის" სახელით ცნობილი გაზსადენის პროექტი რამდენიმე წლით გაყინოს ან გადადოს – ინფორმაციას სააგენტო „როიტერი" „გაზპრომში" საკუთარ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

რუსეთმა თურქეთს უკვე დაუწესა სავაჭრო სანქციები, თუმცა, ისინი, ჯერჯერობით, თურქეთში რუსული ენერგორესურსების ექსპორტს არ შეხებია, რაც ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობის მთავარი ხაზია.

სამშაბათს რუსეთის ეკონომიკის მინისტრმა განაცხადა, რომ თურქული ნაკადისა და თურქეთში რუსული კომპანიის მიერ განხორციელებულ ატომური ელექტროსადგურის პროექტის შესახებ, ჯერჯერობით, გადაწყვეტილება მიღებული არ არის. (ინტერპრესნიუსი, ნიუპოსტი)

## ევროკავშირი საქართველოში სამართლის სისტემის რეფორმირებისთვის 2.000.000 ევროს გამოყოფს

ევროკავშირი საქართველოში კერძო და ადმინისტრაციული სამართლის სისტემების განვითარების ხელშეწყობისთვის 2 მილიონ ევროს გამოყოფს. პროექტის ბენეფიციარები საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ები „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო" და „აღსრულების ეროვნული ბიურო" არიან. 2-წლიანი პროგრამის ბიუჯეტი 2.000.000 ევროა და მას ახორციელებს „GIZ"-ის (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) პროგრამა „ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოება". დღემდე იუსტიციის სამინისტრო ევროკავშირთან, ძირითადად, სისხლის სამართლის სფეროს რეფორმის კუთხით თანამშრომლობდა; ამ პროგრამის ამოქმედების შემდეგ კი თანამშრომლობის სფერო სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის რეფორმებსაც მოიცავს. (ipress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## პატიმარი, რომელიც 44 წელი იხდიდა სასჯელს, ციხიდან გამოსვლის შემდეგ თანამედროვე სამყარომ გააოცა



69 წლის ყოფილი პატიმარი ოტის ჯონსონი ტელეკომპანია „ალ-ჯაზირასთვის“ გადაღებული საინტერესო სიუჟეტის გმირი გახდა. ამერიკელმა პოლიციელზე თავდასხმისთვის ციხეში 44 წელი გაატარა. ჯონსონი 2014 წლის აგვისტოში გაათავისუფლეს. ამ დროისთვის მისთვის ჩვეული სამყარო საგრძნობლად შეიცვალა. პროგრესი განსაკუთრებით ტექნოლოგიების სფეროზე აისახა. ნიუ-იორკში, თაიმსქვერზე აღმოჩენილი ოტისი განცვიფრებით უყურებდა ვიდეორგოლებს ნაგებობების ფანჯრებზე.

ოტისი შეაშინა გამვლელებმა, რადგან, ფაქტობრივად, ყველას ყურსასმენები ეკეთა – თავიდან იფიქრა, რომ ისინი საიდუმლო აგენტები იყვნენ.

„დავინახე, რომ ადამიანები საკუთარ თავს ესაუბრებიან, შემდეგ დავაკვირდი, ყველა მათგანს ყურში რაღაც ეკეთა. არ ვიცი, რა არის ეს.

ტელეფონი? ისინი მათ აიფონებს უწოდებენ“, – ჰყვება შთაბეჭდილებებზე ჯონსონი.

ოტისი დასძენს, რომ მისი კიდევ ერთი გაოცება სუპერმარკეტში პროდუქტის ასორტიმენტმა გამოიწვია: „არასოდეს მინახავს მსგავსი რამ. არაქისის კარაქი და ჯემი ერთ ქილაში? რა უცნაურია...“

ჯონსონის ნათესავების უმეტესობა უკვე ცოცხალი აღარ არის, ამიტომაც მას არაკომერციული ორგანიზაცია **Fortune Society** ეხმარება, რომელიც ყოფილ პატიმრებს ჰარლემში საცხოვრებლით უზრუნველყოფს და მათზე ზრუნავს.

ჯონსონი ავტობუსით მგზავრობას ამჯობინებს, რომ ყურადღებით დააკვირდეს და მოუსმინოს სხვებს. მოსწონს მზიან ამინდში სეირნობა და ხალხზე დაკვირვება.

საღამოობით ოტისი პარკში დადის და მედიტირებს. ცდილობს, ყურადღება არ გაამახვილოს პრობლემებზე. მისი აზრით, განრისხება ხელს შეუშლის მის პიროვნულ ზრდას და ვერ განვითარდება. (ambebi.ge)

## SMS რეკლამების უკანონოდ გაგზავნის გამო 16 კომპანია დააჯარიმეს



ყოველი ჩვენგანი ყოველდღე სხვადასხვა შინაარსის სარეკლამო სმს-შეტყობინებას იღებს. კომპანიების შემოთავაზებები, მათი ავტორების მსგავსად, საკმაოდ მრავალფეროვანია, ჩამონათვალი კი ვრცელი: ბანკები, ტექნიკისა თუ ავტომანქანის საბურავების მაღაზიები, სამედიცინო კლინიკები, ფარმაცევტული თუ ბოლო დროს ასე გააქტიურებული ონლაინსესხების კომპანიები ხშირად მიმართავენ პროდუქციისა თუ სერვისის რეკლამირების ამგვარ ფორმას. როგორც ჩანს, რამდენადაც გამაღიზიანებელი და ხელისშემშლელიც არ უნდა იყოს სარეკლამო სმს-ს შეტყობინების მიღება, მომხმარებელი ხშირად არ აგზავნის საპასუხოდ ასეთი სახის შეტყობინების აკრძალვის „მესიჯს“. კომპანიებს კი ამ ტიპის რეკლამა გაცილებით იაფი უჯდებათ.

საქონლისა და მომსახურების დაჟინებულ შეთავაზებას ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა საშუალებით, მომხმარებელთა უფლებების დარღვევად განიხილავს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის მომხმარებელთა დაცვის პროგრამის ხელმძღვანელი, ლია თოდუა:

„რა თქმა უნდა, ეს არის მომხმარებლის უფლებების დარღვევა, თუ ადამიანს არ გამოუთქვამს სურვილი, რომ მიიღოს სარეკლამო შეტყობინებები, არც უნდა მიიღოს. როცა ამოქმედდება ევროპული წესები, ეს ასეც იქნება. ევროკავშირში აკრძალულია იძულებითი სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც არ გამოუთქვამთ მათი მიღების სურვილი. მომხმარებელთა დაცვის მიზნით პირიქით უნდა ხდებოდეს – თუ პიროვნებას სურს მიიღოს სარეკლამო შეტყობინება, მხოლოდ მაშინ უნდა ეგზავნებოდეს. ბიზნესმა თავისი ჯიბე თავად უკეთ იცის, მაგრამ რადგან ამაში თანხას ხარჯავს, სავარაუდოა, რომ სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნით გაყიდვები ეზრდებათ“. – აღნიშნა თოდუამ.

2014 წლის ნოემბრიდან კერძო სექტორის მიმართ სრულად ამოქმედდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი, რომელიც სარეკლამო შეტყობინების გაგზავნაზე რეგულაციებს აწესებს. შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილება – განიხილოს მოქალაქეთა განცხადებები ან შეამოწმოს ორგანიზაციები, სარეკლამო შეტყობინების გაგზავნის კანონიერებასთან დაკავშირებით, სწორედ მას შემდეგ შევიდა ძალაში. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის, სალომე ბახსოლიანის თქმით, კანონმდებლობით დაშვებულია, როგორც მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ასევე ელექტრონული ფოსტის, ან სატელეფონო ზარით სხვადასხვა სერვისის, ან პროდუქტის შეთავაზება, თუმცა გარკვეული წესები მოქმედებს და ეს წესები უნდა დაიცვან ორგანიზაციებმა.

„ზოგადად, მარკეტინგი სმს-ის საშუალებით დასაშვებია, თუმცა აუცილებელია, რომ სარეკლამო შეტყობინება შეიცავდეს მითითებას, რომ აბონენტს, ადრესატს უფლება აქვს, მომავალში უარი თქვას ასეთი სარეკლამო შეტყობინების მიღებაზე. ახალი კანონმდებლობის ამოქმედებამდე საჭირო იყო ორგანიზაციისთვის წერილობითი მიმართვა, რაც ძალიან ბევრ დაბრკოლებას ქმნიდა და შესაბამისად, მომხმარებლისთვის მოუხერხებელი იყო. ცვლილებების შედეგად მოქალაქეებისთვის პროცესი გაცილებით გამარტივდა და დაინერგა ე.წ. „სმს-ოფის“ მექანიზმი, რომელიც ტერმინად დამკვიდრდა, როგორც სარეკლამო შეტყობინებაზე უარის თქმის საშუალება“, – ამბობს სალომე ბახსოლიანი.

მოქმედი კანონმდებლობით არ არსებობს შეზღუდვები კვირისა თუ თვის განმავლობაში, რა რაოდენობის სარეკლამო შეტყობინება შეიძლება გაუგზავნოს კომპანიამ ადრესატს. თუმცა, ორგანიზაციების მიმართ არსებობს ვალდებულება, რომლის თანახმადაც, მას შემდეგ, რაც აბონენტისგან მიიღებს მოთხოვნას, შეწყვიტოს მისთვის სარეკლამო შეტყობინების გაგზავნა, აღნიშნული უნდა დაკმაყოფილდეს ათი სამუშაო დღის ვადაში და აღარ გაუგზავნოს მას სარეკლამო ხასიათის შეტყობინება.

„მიმდინარე წელს არაერთი განცხადება შემოვიდა. გარდა ამისა, ჩვენი ინიციატივით შევამოწმეთ 17 ორგანიზაცია. როგორც დადგინდა, კომპანიებს არ აქვთ ერთიანი მონაცემთა ბაზა, ინფორმაცია, ტელეფონის ნომრების შესახებ და ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან მოიპოვებენ. ხშირ შემთხვევაში, ტელეფონის ნომრები მათივე კლიენტების მიერაა მიწოდებული, ან მიღებულია მარტივი ალგორითმების მეშვეობით, მაგალითად, მობილური ტელეფონის ინდექსს უმატებენ ციფრთა კომბინაციას, ან სხვადასხვა წყაროდან მიღებულ მონაცემებს იყენებენ იმისთვის, რომ შემდეგ გაგზავნონ სარეკლამო შეტყობინებები“. – განმარტავს ბახსოლიანი.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სამსახურში განმარტავენ, რომ მომხმარებელთა საჩივრის საფუძველზე, კომპანიების მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების დარღვევის გამო, წელს 16 ორგანიზაცია 3-3 ათასი ლარით დაჯარიმდა. უფრო კონკრეტულად კი ამ შემთხვევაში მომხმარებლებმა შეტყობინების მიღებაზე უარი განაცხადეს, თუმცა ათი დღის გასვლის შემდეგ მაინც მიიღეს სარეკლამო მესიჯი.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი არასასურველი სპამებისგან თავის დაცვის მიზნით, მომხმარებელს ურჩევს: პირველ რიგში, კარგად დაფიქრდით, სანამ ამა თუ იმ ორგანიზაციას თქვენს ტელეფონის ნომერს გაუმჟღავნებთ. დააზუსტეთ, ხომ არ იქნება ეს მონაცემი შემდგომში გამოყენებული პირდაპირი მარკეტინგის მიზნით. მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, გადაწყვიტეთ, აფთიაქში, მაღაზიასა თუ სხვა დაწესებულებაში დატოვოთ თუ არა თქვენი მობილურის ტელეფონის ნომერი. როდესაც მიიღებთ თქვენთვის უინტერესო და არასასურველ სარეკლამო შეტყობინებას, რომელიც არ გსურთ, რომ მომავალშიც გამოგეგზავნოთ, უარი განაცხადეთ, შეტყობინებაში არსებული მექანიზმის საშუალებით და თუ მაინც, ათი სამუშაო დღის გასვლის შემდეგ მიიღებთ ამ ორგანიზაციისგან შეტყობინებას, ეს უკვე მისი მხრიდან კანონის დარღვევაა და შეგიძლიათ, განცხადებით მიმართონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექციას, სადაც შესაბამის ზომებს მიიღებენ.

**სალომე ბახსოლიანის თქმით, არასასურველი „სპამის“ მიღებაზე უარის თქმის მექანიზმი მომავალში შესაძლოა, უფრო დაიხვეწოს და შეიქმნას გარკვეული ერთიანი ბაზა, რომელშიც დარეგისტრირების შემთხვევაში, მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება, ყველა რეკლამის განმახორციელებელ ორგანიზაციას აუკრძალოს მის ნომერზე შეტყობინების გაგზავნა. თუმცა როგორც სალომე ბახსოლიანი აღნიშნავს, ამ მიმართულებით მუშაობა ახალი დაწყებულია და აღნიშნული გათვალისწინებული იქნება დეპარტამენტის სამომავლო გეგმებში.** (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ალყაშემორტყმული „მოსკოვი“ და საზღვარზე მობილიზებული ტანკები – თურქეთის საპასუხო ქმედებები



24 ნოემბერს საჰაერო სივრცის დარღვევის გამო რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების შემდეგ, მოსკოვსა და ანკარას შორის ურთიერთობა დაიძაბა. რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის, სერგეი ლავროვის განცხადებით, მომავალი წლის 1-ლი იანვრიდან რუსეთი თურქეთთან უვიზო მიმოსვლას წყვეტს. იმავე დღეს თავდაცვის უწყებამ შავი ზღვის აუზის ქვეყნების საერთაშორისო საზღვაო სწავლებაში **Blackseafor** საკუთარი მონაწილეობა შეაჩერა.

კრემლში თურქეთთან ეკონომიკური ურთიერობების გადახედვაზეც მსჯელობენ. თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ რუსებმა, ჰეიმიმის საავიაციო ბაზა საზენიტო საშუალებებით გააძლიერეს, მაგრამ დაანონსებული ინფორმაცია სიმართლეს სრულად არ შეესაბამება. შორი მოქმედების საზენიტო კომპლექსები, რომლებიც რუსებმა საჩქაროდ ჩატანილი **C-400**-ებად გაასაღეს, სირიაში უფრო ადრე მოხვდნენ. განსხვავდება მათი ტიპიც – **C-400**-ების ნაცვლად, რუსულ თვითმფრინავებს წინამორბედი მოდელები **C-300ПМУ-2**-ები იცავენ.

ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის გაძლიერებას ემსახურებოდა 25 ნოემბერს სირიის ნაპირებთან შავი ზღვის რუსული ფლოტის ფლაგმანის, კრეისერ „მოსკოვის“ გაგზავნაც.

კრემლის საპასუხო სიტყვიერი განცხადებების პარალელურად, აქტიურ ქმედებებზე ანკარაც გადაერთო. ერდოღანის ბრძანებით, თურქეთის სანაპირო დაცვის ძალებმა ბოსფორსა და დარდანელს შორის მარმარილოს ზღვაში სამხედრო მანევრები დაიწყეს. სწავლების მიზანს სრუტეების დაცვა და საჭიროების შემთხვევაში მათი ოპერატიული გადაკეტვის შესაძლებლობის დამუშავება წარმოადგენდა.

მანევრებისას შეიზღუდა სრუტეებში გემების გადაადგილება. გამონაკლისი მხოლოდ თურქეთის დროშის ქვეშ მცურავი საშუალებებისთვის იყო დაშვებული. სპეციალისტებმა ეს ქმედება ბოსფორისა და დარდანელის რუსული სამხედრო ხომალდებისთვის გადაკეტვის ერთ-ერთ მეთოდად შეაფასეს. და მართლაც, უკანასკნელი დღეებში სევასტოპოლიდან და ნოვოროსიისკიდან არც ერთი რუსული სამხედრო მცურავი საშუალების გამოსვლა არ დაფიქსირებულა. ამავდროულად, ოფიციალურად სრუტეების დახურვის შესახებ ანკარას განცხადება ჯერ არ გაუკეთებია. როგორც ჩანს, თურქები პარიზის კლიმატურ სამიტს ელოდნენ, სადაც მსოფლიო ლიდერები იყვნენ შეკრებილნი.

სრუტეების დაკეტვა „სირიული ტრანზიტისთვის“ სერიოზული პრობლემაა. საზღვაო გზით სამხედრო კონტინგენტის მომარაგების შეუძლებლობა რუსებს ბევრ სირთულეს მოუტანს. ალტერნატიული საზღვაო მარშრუტის გაყვანა ჰიბრალტარის გავლით შეიძლება. მაგრამ ეს მნიშვნელოვნად გაზრდის „სირიული ტრანზიტის“ დროს და მის ღირებულებას კოლოსალურ ციფრამდე აიყვანს. ამ ეტაპზე ერთადერთი გზა აღმოსავლეთის მხრიდან არსებული საჰაერო დერეფანია.

უკეთეს მდგომარეობაში არც სირიის ნაპირებთან მყოფი კრეისერი „მოსკოვია“. 30 დეკემბერს გავრცელებული ცნობით, მის მახლობლად ორი თურქული წყალქვეშა ნავი იმყოფება. ისინი რუსული ხომალდის ქმედებებს ყურადღებით აკვირდებიან.

საზღვაო ძალებთან ერთად, სირიის საზღვრებთან თურქებმა სამხედრო ტექნიკასა და ცოცხალ ძალას მოუყარეს თავი. მათ შორის **Leopard 2A4**-ის ტიპის ტანკებს.

არაა გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში ანკარამ მოსკოვს, სირიის ტერიტორიის ხარჯზე ბუფერული ზონის შექმნა მოსთხოვოს, სადაც რუსებისთვის სამხედრო მოქმედებების წარმოება და საბრძოლო ფრენების განხორციელება აიკრძალება. (ambebi.ge)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



# ბავშვთა სახლები ულიცენზიოდ ვეღარ იმუშავებენ




პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, მირიან წიკლაურმა პარლამენტში საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი შეიტანა, რომელიც ლიცენზიის გარეშე მოქმედი ბავშვთა სახლების კანონის ჩარჩოებში მოქცევას და ამ კანონის დამრღვევთა სისხლის სამართლის წესით დასჯას მოითხოვს: „ხშირ შემთხვევაში ასეთი სახლები ისეთ საქმიანობას აწარმოებენ, რომელიც აშკარად არღვევს ბავშვის უფლებებს. დამერწმუნეთ, არათუ 2-წლამდე სასჯელი, ხშირ შემთხვევაში, ისეთ რაღაცასთან შეიძლება გვქონდეს საქმე, რომელიც გაცილებით მეტ სასჯელს შეიძლება იმსახურებდეს. მე თავად მქონდა ამასთან შეხება და მინახავს, რა ხდება ასეთ დაწესებულებებში.

დეპუტატი ამბობს, რომ ბავშვები მათი ბიოლოგიური ოჯახებიდან გამოყავთ და ისე, რომ ამას არ საჭიროებენ, ასეთ დაწესებულებებში მიჰყავთ: „გამოყავს პიროვნებას, რომელმაც გარკვეული ინსტიტუცია შექმნა, შემდეგ მიდის შეჭირვებულ ოჯახებთან, ბიოლოგიური ოჯახებიდან გამოყავთ ბავშვები და ამ სახლებში შეჰყავს". მისივე თქმით, ზოგჯერ ეს ოჯახის თანხმობითაც ხდება, თუმცა კანონდარღვევით. კიდევ დამატებითი დეტალების დაზუსტებისგან წიკლაურმა საკომიტეტო განხილვისას თავი შეიკავა და განაცხადა, რომ ამაზე სხვა ფორმატში ისაუბრებს.

**რა ხდება ბავშვთა სახლებში და რა ინტერესი ამოძრავებდათ ულიცენზიოდ მომუშავე დაწესებულებებს?**

„ალიას" მირიან წიკლაური ესაუბრა:

**— რატომ გახდა კანონში ცვლილების შეტანა საჭირო, რა ხდება ბავშვთა სახლებში?**

– კანონპროექტების შემუშავების მიზეზს წარმოადგენს საალმზრდელო საქმიანობის სფეროში არსებული მდგომარეობა და ახალი გამოწვევები, რომელსაც არსებული კანონი ვერ პასუხობს. ბავშვი უნდა იზრდებოდეს ბიოლოგიურ ოჯახში. ზოგიერთი ბავშვი ბიოლოგიურ ოჯახი დაბრუნდა, ხოლო, თუ სახელმწიფოს მიერ შეფასდა ყველაფერი ისე, რომ ამ ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება შეუძლებელი იყო, ასეთ შემთხვევაში შეიქმნა მზრუნველობის სხვადასხვა ფორმები. კერძოდ, ეს იყო მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლი და დიდი ინსტიტუციები. როგორც აღმოვაჩინეთ, ფიქსირდებოდა შემთხვევები, როცა ბავშვები გამოჰყავდათ ბიოლოგიური ოჯახებიდან და მიჰყავდათ. სარგებლობდნენ იმით, რომ ძალიან ბევრი ოჯახია მატერიალურად შეჭირვებული და ადვილად ხდებოდა ბავშვის მშობლების დაყოლიება, რაც, დაუშვებელია. ამ ყველაფერმა ჩვენა, რომ კანონისთვის უნდა გადაგვეხედა. კანონპროექტის მიზანია, ხარვეზების გათვალისწინებით, საალმზრდელო საქმიანობის მკაფიო რეგულირება და ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა. აქვე დავამატებ, რომ ძველი კანონი არ იყო ცუდი, მაგრამ ახლდა ხარვეზები.

**— აბა, რა შეიცვალა კონკრეტულად?**

– ძველ კანონში, დაცული იყვნენ ის ბავშვები, რომლებსაც სახელმწიფოს მიერ მინიჭებული ჰქონდათ სტატუსი – მზრუნველობამოკლებული. ვისაც ეს სტატუსი არ ჰქონდათ, მათი მდგომარეობა კანონით არ რეგულირდებოდა, მაგრამ კანონი იკითხებოდა ისე, თითქოს ამ ბავშვების განთავსება შეეძლოთ დაწესებულებებში. ახლა კონკრეტდება და აღნიშნული საქმიანობა ექვემდებარება ლიცენზირებას.

**— რა ბედი ელით იმ ბავშვებს, რომლებიც უკვე გაყვანილები ჰყავთ სხვადასხვა საალმზრდელო დაწესებულებებში?**

– რომელი დაწესებულებაც ლიცენზირებული არ არის, იქ ბავშვების ყოლის უფლება აღარ ექნებათ.

**— და ამ ხნის განმავლობაში ეს დაწესებულებები ლიცენზიის გარეშე მოქმედებდნენ და ამას არავინ აკონტროლებდა?**

– როგორც ჩვენამდე მოვიდა ინფორმაცია, კი, ულიცენზიოდ მუშაობდნენ, იყო ასეთი შემთხვევებიც და ჩვენ ახლა ვადგენთ სტატისტიკას – ვინ არიან ისინი.

**— რა ინტერესი აქვთ, რატომ გაჰყავთ ეს ბავშვები ოჯახებიდან, მათ ხომ ამაში სახელმწიფო ფულს არ უხდიდა? გრანტებს იზიდავდნენ თუ რა ხდებოდა.**

– ვერ გეტყვით. როგორც ვიცით, ძირითადად შემოწირულობებით არსებობდნენ. მე მაქვს გარკვეული ეჭვები, მაგრამ დანარჩენს ვერაფერს ვიტყვი, გარკვეულ დეტალებს ვერ გავახმაურებ.

---

# ამნისტია „თეთრსაყელოიან" დამნაშავეთათვის

სახალხო პარტია
ღმერთი, სამშობლო, ადამიანი

„სახალხო პარტია" პარლამენტში შეტანილ ეკონომიკური და სამოხელეო დანაშაულობების ამნისტიის კანონპროექტს ეხმაურება:

„პარლამენტი განიხილავს კანონპროექტს ამნისტიის შესახებ. ამ კანონპროექტის მიხედვით, ამნისტია (ქართულად - პატიება) შეეხება იმ პირებს, რომელთაც ჩადენილი აქვთ სამოხელეო დანაშაული, ასევე პირებს, რომლებმაც გააყალბეს თავისი თუ სხვისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები. განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს სამოხელეო დანაშაულთა ჩამონათვალი: ქრთამის აღება და მიცემა, უფლებამოსილების გადამეტება, თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და ა.შ. ეს, ერთი შეხედვით, უწყინარი და ჰუმანური აქტი საზოგადოებისათვის ნამდვილად საფრთხის შემცველია და აი, რატომ:

უამრავი საქმეა შემოდებული პროკურატურის თაროებზე, რომლებიც აღძრულია უფლებამოსილების გადამეტების მუხლით. ამ საქმეების უმეტესობა შეეხება ადამიანთა წამებას, გამოძიებისათვის ჩვენებების ძალადობრივი გზით გამოძალვით, წამებებით და ღირსების შემლახველი ქმედებებით, ასევე, პირადი ქონებების ასეთივე ხერხებით დათმობის ფაქტებს. ეს კანონპროექტი სწორედ ამ საქმეებში დადანაშაულებულ პირთა და მათ პოლიტიკურ ხელმძღვანელთა „მაშველი რგოლია" და უსამართლობის დაკანონების მცდელობად გვევლინება. პარლამენტის მიერ დამტკიცების შემთხვევაში, ეს კანონი საბოლოოდ დაასამარებს იმედს, რომ ჩვენს ქვეყანაში ოდესმე სამართალი იზეიმებს და დამნაშავე პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, ადმინისტრაციის მუშაკებს, მოსამართლეებს, პროკურორებს, გამომძიებლებს თუ შსს-ს თანამშრომლებს პასუხი მოეთხოვებათ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის. უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება კი, როგორც თავად აცხადებენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, შეუძლებელი ხდება დანაშაულის უშუალოდ ჩამდენ პირთა აღიარებითი ჩვენებებისა და მათგან მოპოვებული მტკიცებულებების გარეშე.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, დიდია სახელმწიფოს მართვის საშუალო რგოლში წინა რეჟიმის დანაშაულობების თანამონაწილე პირთა რაოდენობა (თვით დღევანდელი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ხშირად აპელირებს მათი მხრიდან განხორციელებულ საბოტაჟზე), რაზეც საზოგადოება ისედაც აღშფოთებულია და ახლა, სამოხელეო დანაშაულზე ამნისტია კიდევ უფრო გაამძაფრებს ეჭვს, რომ მოახლოებული არჩევნებთან ერთად, იზრდება პირადი თუ პარტიული ინტერესებისათვის დანაშაულის ჩადენაში გაწაფულ პირთა გამოყენების შესაძლებლობა.

კანონპროექტი, ჯერ-ჯერობით ითვალისწინებს 2009 წლამდე ჩადენილ დანაშაულებს (საბოლოო ვარიანტში რა იქნება, არვინ ვიცით). ე.ი. პატიება შეეხებათ 2007 წლის 7 ნოემბრის, გირგვლიანის, რობაქიძის, გამცემლიძის და სხვა მეტად თუ ნაკლებად გახმაურებული საქმეების ფიგურანტებსაც. მათ შორის, მიხეილ სააკაშვილს, ივანე მერაბიშვილს, ძმებ ახალაიებს, გიგი უგულავას, ზურაბ ადეიშვილს და სხვებს, ამ პიროვნებათა ნაწილს კი, როგორც ვიცით, სტრასბურგის სასამართლო აკისრებს პასუხისმგებლობას. პატიება შეეხება იმ პოლიტიკურ ფიგურებს, რომლებიც 2008 წლის ომის დროს თავისი არაკომპეტენტურობით თუ მიზანმიმართული ქმედებებით აზარალებდნენ სახელმწიფოს და მათი ქმედებების შედეგად უამრავი სისხლი დაიღვარა, როგორც სამხედრო მოსამსახურეების, აგრეთვე მშვიდობიანი მოსახლეობისა. ასევე შეეხება პატიება იმ პირებს, რომლებმაც საიდუმლო მოლაპარაკებების გზით ომის შემდეგ კონტრიბუციის სახით რუსეთის მხარეს გადასცეს უამრავი სტრატეგიული ობიექტი. მაგალითად, საიდუმლო მემორანდუმი ენგურჰესის ექსპლუატაციის შესახებ. მსგავს დანაშაულთა სია უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. და ეს ყოველივე ხდება იმ ფონზე, როცა დანაშაულებრივი რეჟიმის წარმომადგენელთა მხრიდან საზოგადოება არათუ სინანულს ვერ გრძნობს, არამედ მათგან დაზარალებული პირებისა თუ აღშფოთებული საზოგადოების მიმართ ცინიკური, თავხედური და შეურაცხმყოფელი განცხადებები კეთდება.

სრულიად შეუსაბამოა ეს პროცესი მაშინ, როცა დღევანდელი ხელისუფლება ღიად საუბრობს და მოსახლეობას აშინებს წინა რეჟიმის წარმომადგენელთა, ანუ ამ კანონით პოტენციურ ამნისტირებულთა, რევანშისტულ მისწრაფებებსა თუ ქმედებებზე, მაშინ, როდესაც ყოველ დღე ფარულ ჩანაწერებს ავრცელებენ და სისხლის სამართლის საქმეა აღძრული სახელმწიფო გადატრიალების მუხლით. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კანონპროექტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს „ქართული ოცნებისა" და „ნაციონალური მოძრაობის" დანაშაულებრივ ურთიერთშეთანხმებულ მოღვაწეობას და ეს ყველაფერი საქართველოს მოსახლეობის უკიდურესი სამართლებრივი ჩაგვრისა და გაღატაკების ფონზე ხდება.

გარდა ამისა, აღნიშნული კანონპროექტი არის მცდელობა გადაიფაროს იუსტიციის სამინისტროს მიერ ჩაგდებული სასამართლოსა თუ პროკურატურის რეფორმები.

ფაქტია, დიდი ხმაურით შეცვლილი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საკონსტიტუციო სასამართლოში ჩასმული ერთი მოსამართლე და ახლადარჩეული მთავარი პროკურორი, ფსევდორეფორმები ძირეულ სისტემურ ცვლილებებს ვერ თუ არ უზრუნველყოფენ და ყველა ეს სვლა მხოლოდ პიარზეა გათვლილი. დროა, სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებამ ობიექტურად შეაფასოს, რა საფრთხეს უქმნის ქართულ სახელმწიფოებრიობას და მოსახლეობის დაცულობას „ნაციონალური ოცნების" ხელისუფლება და კიდევ რა საფრთხეებს უნდა ველოდოთ, მათ მიმართ „ჭარბი ნდობის" პირობებში. (ივერიონი)

---

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

# „SOS! ნუ მოაწერთ ხელს „შემსრულებელი" მოსამართლეების დაბრუნებას სისტემაში"



საია-ს თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი მოსამართლეთა დანიშვნის პროცესს ბრიუსელიდან ეხმაურება.

„**SOS!** ხვალიდან იწყება მოსამართლეების შერჩევა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. სწორედ აქ წყდება სახელმწიფოს ბედი და ის – გვექნება თუ არა ჩვენ და ჩვენს შვილებს დამოუკიდებელი სასამართლო საქართველოში. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ამ კონკურსში მონაწილეობს არაერთი ის მოსამართლე, რომელსაც ხელი აქვს მოწერილი ოდიოზური განაჩენებისა თუ გადაწყვეტილებებისთვის, მათ შორის იუსტიციის საბჭოს ამჟამინდელი მდივანი – ბატონი ლევან მურუსიძე (გირგვლიანის, მოლაშვილისა და „ქართუ ბანკის" საქმეების მოსამართლე)! ასევე სტრასბურგში გირგვლიანის საქმეზე განსხვავებული აზრის ავტორი მოსამართლე, ბატონი ირაკლი ადეიშვილი!

მოვუწოდებ იუსტიციის საბჭოს წევრებს – ნუ მოაწერენ ხელს „შემსრულებელი" მოსამართლეების დაბრუნებას სისტემაში (თანაც, არა 10-წლიანი ვადით, არამედ უკვე სიცოცხლის ვადით). არ ღირს, ბატონებო და ქალბატონებო, არ ღირს არც ერთი სკამი, არც ერთი თანამდებობა იმად, რომ თქვენივე ხელით დაასამაროთ სასამართლოს დამოუკიდებლობისა და კანონის კანონობის ყველანაირი პერსპექტივა ამ ქვეყანაში. თქვენს ბედზე იფიქრეთ, თქვენი შვილების ბედზე. მესმის, რომ კომფორტულია, ხელისუფლებას ჰყავდეს სასამართლო სისტემის „მოურავი", რომელიც ყველაფერს „დაალაგებს" სასამართლოში ამა ქვეყნის ძლიერთა ნებასურვილის შესაბამისად, მაგრამ ნუ გააკეთებთ ამას, გადაგიყოლებთ ასეთი მიდგომა ადამიანების ბედის მიმართ! ნუ დააბრუნებთ გირგვლიანის საქმის მოსამართლეს სასამართლოში!!!

**P.S. ბრიუსელში ვარ და არ შემიძლია ხვალ საბჭოს სხდომაზე მისვლა, ყველა მედიასაშუალებას გთხოვთ, მიდით საბჭოში, გააშუქეთ გასაუბრებები, დასვით კითხვები, ნუ მისცემთ საბჭოს კომფორტულ გარემოში სასამართლო სისტემის დასამარების შესაძლებლობას. ყველას, ვისაც ამ ქვეყნის ბედი გაღელვებთ, შვილების ბედი გაღელვებთ და არ გინდათ, რომ „გირგვლიანი 2, 3 და 10" მიიღოთ ამ ქვეყანაში, დააფიქსირეთ თქვენი სამოქალაქო პროტესტი, იცოდეთ, რომ დუმილია ის, რაც კლავს!", – აცხადებს ნაცვლიშვილი.** (news.ge)

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მგალობელი ფრინველი
2. კარლო კოლოდის ხის ბიჭუნა
3. ყმაწვილი კაცი
4. მხატვარი ამედეო ...
5. მეფე არტურის პირველი რაინდი
6. გურამიშვილი. „მოწავლეთა“
7. რიცხვები: კენტი და ...
8. ნიჟარიანი ორგანიზმი ზღვაში
9. თმის პარაზიტი მცენარი
10. მსახიობი ჯენიფერ ...
11. კარგად მოარული ცხენი
12. ცხიმი რძის თავზე
13. ჩეხეთის დედაქალაქი
14. უცნობი ადამიანი
15. ოპერა „ორლეანელი ...“
16. მსახიობი ... ჰათაუეი
17. მსახიობი ვივიენ ...
18. სამკურნალო მცენარე
19. ცხენირემი
20. ძვ. ქართული ცხენოსნობა
21. კათოლიკური ეკლესიის მეთაური
22. ბიბლიიდან: სამსონი და ...
23. დიდი სანთელი
24. კუნძული ხმელთაშ. ზღვაში
25. ხმლის ბუდე
26. მხატვარი ანრი ...
27. თვითმფრინავების სადგომი
28. მღრღნელი ცხოველი
29. ნახვრეტებიანი კოვზი
30. მსახიობი ... მანჯგალაძე
31. ისტორიული კრეისერი
32. კვერცხის თეთრი შიგთავსი
33. მსახიობი იაკობ ...
34. მსახიობი ... შნაიდერი
35. მომღერალი კრისტინა ...
36. კომპოზიტორი ... კვერნაძე
37. ძველი ეგვიპტის დედოფალი
38. რეჟისორი ... იოსელიანი
39. დონ კიხოტის ცხენი
40. ნაცია
41. მულტფილმი „... და ზაქრო“
42. ხის საჭრელი ხერხი
43. კონსტ. გამსახურდიას მოთხრობა
44. მეზღვაპრე შარლ ...
45. „ადამიანი ამფიბია“ პერსონაჟი
46. ველური ყაყაჩო
47. „სამგროშიანი ...“
48. ჩუქჩების სახლი
49. მარჯნის კუნძული
50. დიდი სამგზავრო საოკეანო გემი
51. „ბითლზი“ რინგო ...
52. ავტორბოლა
53. საბაჟო აჭარაში
54. პირის წმლის ჩასაყრელი ადგილი თოფში
55. თხელი, სიფრიფანა
56. პატარა არია
57. მდინარე იტალიაში
58. იტალიური ავტომობილი
59. ... მურომეცი
60. ხუთკაციანი ანსამბლი
61. საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი ვასილ ...
62. მსახიობი მერილინ ...
63. დეკორატიული მცენარე
64. „... და ორმოცი ყაჩაღი“
65. პოპკორნი
66. უკრემო ნამცხვარი
67. ხოსეპ (პეპ) ...
68. მსახიობი ... დელონი
69. ტრაგედიის მუზა
70. ქვის ღობე
71. ღმერთი სკანდინ. მითებში
72. პურის დასაზრანი ხელსაწყო
73. მწერლები ... და პეტროვი
74. მსხვილი, მოკლე თითები
75. თაგვის სადგომი
76. მსახიობი ბრედ ...
77. სოფელი გარდაბნის რაიონში
78. ცხრაკაციანი ანსამბლი
79. ძვ. ქართ. ცხენოსნობა
80. ავადმყოფობა, ანუ ...
81. ნიშნავს ცივს
82. დუმფარა ...-რეგია
83. ძიძა (მოძვ.)
84. ძაღლის ჯიში
85. მსახიობი ... რივზი
86. ვერცხლის ათცენტიანი
87. თოფის ხის დეტალი
88. მისი დედაქალაქია დელი
89. ცხენირემი
90. ილუზიონისტი დევიდ ...
91. ჩანჩქერი აშშ-ში
92. დასახლება ბათუმის საზღვრებში
93. მომღერალი ... კუტუნიო
94. ბრიტანელი მომღერალი
95. პირველი კოსმონავტი
96. ტროას ბერძნულ. სახელწ.
97. ლისი, ბაზალეთი შორის
98. აცტეკების ბელადი
99. მომღერალი ბობ ...
100. სამხრეთ, ანუ ... ამერიკა
101. ვიოლინოს წინაპარი
102. ფედერიკო გარსია ...
103. სასვენი ნიშანი
104. ინფექციური დაავად. გაშეშება
105. მსახიობი მერილინ ...
106. ტიბეტური ხარი
107. ხის კორძი
108. მსახიობი ... შარიფი
109. კუნძული ინდონეზიაში
110. მზის სხივი
111. ზევსის მერიქიფე
112. სიმაღლის მიხედვით დგომა
113. მომღერალი ... ჯონსი
114. განთიდი
115. ამერიკელი მომღერალი ქალი
116. ექსპრეზიდენტი ბილ ...
117. კანადის დედაქალაქი
118. თევზის ჯიში
119. მსახ. ... რანევსკაია
120. წყლის საღებავი
121. 100სმ
122. ჭურჭელი ზოგადად
123. მსახიობი ... დეპი
124. თეატრალური მაკიაჟი
125. „... შეიქმს სიყვარულსა“
126. მწერალი ... კორჩაკი
127. იაპონური ფულის ერთეული
128. მსახიობი რობერტ დე ...
129. რეჟისორი ... პარკერი
130. მაროკოს დედაქალაქი
131. „... ჩამოვიდნენ მთიდან“
132. შალაშინით ათლილი ხე
133. პირველი ოთხნიშნა რიცხვი
134. მდინარე საფრანგეთში
135. შოლოხოვი. „წყნარი ...“
136. მსახიობი ... ჰილი
137. გამის ნოტი
138. მსახ. ... ბერიკაშვილი
139. ... გათეთრდების ყორანი
140. მსახიობი ... მონტანი
141. კომპოზიტორი ფოლფგანგ ამადეი ...
142. რით მოკლა დავითმა გოლიათი
143. „... კარენინა“
144. მსახიობი ... გარდნერი
145. ... გაფრინდაშვილი
146. ინფექციური დაავადება
147. რეპტილია
148. შოტლანდიური გვარის ნაწილაკი

პასუხები: 1. ბულბული; 2. პინოქიო; 3. ჯეელი; 4. მოდილიანი; 5. ლანსელოტი; 6. სწავლა; 7. ლუწი; 8. მოლუსკი; 9. ტილი; 10. ლოპესი; 11. იორღა; 12. ნაღები; 13. პრაღა; 14. ინკოგნიტო; 15. ქალწული; 16. ენ; 17. ლი; 18. სალბი; 19. ლოსი; 20. ისინდი; 21. პაპი; 22. დალილა; 23. კელაპტარი; 24. მალტა; 25. ქარქაში; 26. მატისი; 27. ანგარი; 28. შინშილა; 29. ქაფქირი; 30. ეროსი; 31. „ავრორა“; 32. ცილა; 33. ტრიპოლსკი; 34. რომი; 35. აგილერა; 36. ბიძინა; 37. ნეფერტიტი; 38. ოთარ; 39. როსინანტი; 40. ერა; 41. შაქრო; 42. „დრუჟბა“; 43. „ლილ“; 44. პერო; 45. იხტიანდრი; 46. იორდასალამი; 47. ოპერა; 48. იარანგი; 49. ატოლი; 50. ლაინერი; 51. სტარი; 52. რალი; 53. სარფი; 54. ფალია; 55. ფარატინა; 56. არიოზო; 57. პო; 58. „ფიატი“; 59. ილია; 60. კვინტეტი; 61. მჟავანაძე; 62. მონრო; 63. ფიკუსი; 64. ალიბაბა; 65. ბატიბუტი; 66. ბისკვიტი; 67. გვარდიოლა; 68. ალენ; 69. მელპომენე; 70. ყორე; 71. ოდინი; 72. ტოსტერი; 73. ილფი; 74. კოტიტა; 75. სორო; 76. პიტი; 77. ნორიო; 78. ნონეტი; 79. ისინდი; 80. სენი; 81. კრიო; 82. ვიქტორია; 83. გუვერნანტი; 84. სენბერნარი; 85. კიანუ; 86. დაიმი; 87. კონდახი; 88. ინდოეთი; 89. ლოსი; 90. კოპერფილდი; 91. ნიაგარა; 92. კვარიათი; 93. ტოტო; 94. სტინგი; 95. გაგარინი; 96. ილიონი; 97. ტბა; 98. მონტესუმა; 99. მარლი; 100. ლათინური; 101. ვიოლა; 102. ლორკა; 103. ტირე; 104. ტეტანუსი; 105. მონრო; 106. იაკი; 107. კოჟრი; 108. ომარ; 109. იავა; 110. ათინათი; 111. განიმედი; 112. რანჟირი; 113. ნორა; 114. ალიონი; 115. ენია; 116. კლინტონი; 117. ოტავა; 118. თართი; 119. ფაინა; 120. გუაში; 121. მეტრი; 122. ტარა; 123. ჯონი; 124. გრიმი; 125. შიში; 126. იანუშ; 127. იენა; 128. ნირო; 129. ალან; 130. რაბატი; 131. ისინი; 132. ბურბუშელა; 133. ათასი; 134. რონა; 135. დონი; 136. ბენი; 137. ლა; 138. გივი; 139. არ; 140. ივ; 141. მოცარტი; 142. შურდული; 143. ანა; 144. ავა; 145. ნონა; 146. გრიპი; 147. კუ; 148. მაკ. იკითხება: ბრონეული.

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## ტვინის დასამშვიდებელი 20 საუკეთესო საშუალება



თუ გადაღლილი ხარ, რთული სიტუაციიდან გამოსავალს ვერ პოულობ, აზრი გეფანტება და გგონია, რომ სადაცაა ტვინი აგიფეთქდება, შემოქმედებით საქმიანობას მიმართე.

არტ-თერაპია ტვინის დასამშვიდებელი საუკეთესო საშუალებაა.

1. დაღლილი ხარ – დახატე ყვავილები.
2. გაბრაზებული ხარ – ხაზები გაავლე.
3. გტკივა – დაიწყე ძერწვა.
4. მოწყენილი ხარ – მთელი ფურცელი ყვავილებით მოხატე.
6. გეშინია – ან აპლიკაცია გააკეთე ან რამე დაწანი.
7. უსაფუძვლო შიში გიტევს – თოჯინა გააკეთე.
8. აღშფოთებული ხარ – ქაღალდი წვრილად დააქუცმაცე.
9. ნერვიულობ – ორიგამი გააკეთე.
10. დაძაბული ხარ – ორნამენტი დახატე.
11. გახსენება გსურს – ლაბირინთი დახატე.
12. იმედგაცრუებული ხარ – ნახატის ასლი გაკეთე.
13. რაღაცის მიხვედრა, გაგება გსურს – მანდალა გააფერადე.
14. ძალების აღდგენა გინდა – პეიზაჟი დახატე.
15. საკუთარ გრძნობებში გარკვევა გსურს – ავტოპორტრეტი დახატე.
16. რაღაცის გახსენება გსურს – ქაღალდი ფერადი წერტილებით დაფარე.
17. რთული სიტუაციიდან თავის დაძვრენა გსურს – დახატე წრეები და ტალღები.
18. გრძნობ, რომ ჩაკეტილი ხარ და გგონია, რომ ვერ ვითარდები – სპირალი დახატე.
19. მიზანზე კონცენტრირება გსურს – დახატე სამიზნე და ბადე.
20. სითბო გაკლია – ფერადი პლედი მოიქსოვე.

*astrologi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## კუბო... ვებ-კამერით, რომელსაც ვერავინ გაძარცვავს



თუკი რომელიმე ჭკუაგახრწნილი მძარცველი მიკრონავიგატორიან კუბოს შეეხება, მომენტალურად დაუკავშირდება პოლიციას, რომელიც ცხელ კვალს დაადგება და ბოროტებას აღკვეთს.

სასახლეს კიდევ ერთი ინოვაციური პლუსი აქვს – მასში კამერაა ჩამონტაჟებული. ხომ იცით, რა დროა მოსული, ცოცხალი ადამიანებისთვის ვერ ვიცლით და რა გასაკვირია, თუ გარდაცვლილი გამოგვრჩება მხედველობიდან? ჰოდა, დაკრძალვაზე უდროობის გამო ვერმისული ნათესავები ინტერნეტში ნახავენ სამგლოვიარო ცერემონიალს.

ამ კამერას კიდევ ერთი, დადებითი თვისება აქვს – იქნებ ადამიანი სულაც არ გასულა მარილზე, ორი თავი ხახვი უნდოდა და მალევე დაბრუნდა, ანუ კლინიკური სიკვდილი გადაიტანა? ასეთ შემთხვევაში ნათესავები კამერის მეშვეობით დაინახავენ მკვდრეთით აღმდგარს და მიწის ზევით დაბრუნებაში დაეხმარებიან.

ინოვაციური კუბოს შემქმნელები იტალიელები არიან და ვარაუდობენ, რომ თავიანთ ნაწარმს მდიდარი ამერიკელები, იაპონელები და რუსები შეიძენენ.

*newsbang.net*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მეცნიერები გვირჩევენ, ბრაზიანი უფროსისგან მოშორებით ვისხდეთ



თუ თქვენი შეფი გაუთავებლად ჯაჯღანებს, ჩხუბობს და ყვირის, ფსიქოლოგების რჩევაა, მოერიდოთ მის სიახლოვეს ჯდომას. საერთოდ, უკეთესი იქნება, თუ ისე შეარჩევთ სამუშაო ადგილს, რომ უფროსის ნახვა დღის განმავლობაში საერთოდ არ მოგიწიოთ (თუ თავად არ მოისურვებს ამას).

ფსიქოლოგების ჩატარებული ექსპერიმენტით დადგინდა, რომ ადამიანი არა მხოლოდ ექცევა ბრაზიანი უფროსის გავლენის ქვეშ, არამედ ქცევითა და მანერებით ემსგავსება კიდეც მას. ადვილი მისახვედრია, რომ კოლეგების სიმპათიას ვერ დაიმსახურებთ, ასატანად ცუდი უფროსიც ეყოფათ, ახლა კიდევ თქვენც რომ არ გიყურონ.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ბრიტანელმა სტუდენტმა გადაწყვიტა, ბავშვი მარსზე გააჩინოს



მარსზე ცხოვრება უკვე მხოლოდ მეცნიერების ფანტაზიისა და მეოცნებე ადამიანების მდიდარი წარმოსახვის ნაყოფი აღარაა. 2014 წლისთვის წითელ პლანეტაზე პირველი გაფრენა – „მარს უანი“ იგეგმება. 4 კაცისგან შემდგარი ჯგუფი ყოველ ორ წელიწადში გაფრინდება. იქ ჩასულებს კი თავად მოუწევთ საკვებზე, ჟანგბადზე, მშენებლობაზე, მოკლედ, ყველა იმ დედამიწურ ნაწილზე ზრუნვა, რაც აქ აქვთ.

მარსზე დასახლების 200 ათასი მსურველიდან სპეციალური ტესტი 600-მა გაიარა. მათ შორის მოხვდა ბრიტანელი სტუდენტი მეგი ლიუ, რომელიც ბავშვის მარსზე გაჩენას გეგმავს.

– იმისთვის, რომ მარსის კოლონიზაცია მოხდეს, საჭიროა, რომ ბავშვები მარსზე გავაჩინოთ. ბოლოს და ბოლოს, ეს აუცილებლად მოხდება. რა თქმა უნდა რთულია, წარმოიდგინო, გრავიტაციის დაბალი დონის პირობებში როგორ მოხდება ბავშვის გაჩენა, მაგრამ სწორედ იქ გაჩენილი ბავშვი იქნება ნამდვილი მარსიანელი. არ ვფიქრობ, რომ ბავშვის იქ გაჩენა, ან იქაური ცხოვრების წესი დედამიწის ცხოვრების წესისგან რაიმეთი განსხვავებული იქნება, – განაცხადა მეგი ლიუმ. მეგი 24 წლისაა და ბირმინგემის უნივერსიტეტში ასტროფიზიკას სწავლობს. ბავშვის გაჩენის დრო რომ მოვა, უკვე 33 წლის იქნება, თუმცა ეს არ ანაღვლებს. მთავარია, მისი შვილი პირველი მარსიანელი იყოს.

*newsbang.net*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## ახალი კანონპროექტის თანახმად, ნიუ-იორკში ფეხმძიმეებს თავისუფალი პარკირების უფლება მიენიჭებათ



მამაკაცებისთვის პირდაპირ ენის მოსაფხანი ამბავია. ფრაზებს: „ქალი ავტომობილს ვერ მართავს“, „ეგრევე მიხვდები, რომ საჭესთან ქალი ზის“, „რანაირად უხვევს, უეჭველი ქალია“ და ა.შ. შეემატება ისეთი ფრაზები, როგორიცაა: „ჯერ ქალი რომ ზის საჭესთან და მერე ისიც ორსული, 3-საათიანი საცობი გარანტირებულია“, „ქალები ისედაც ვერ აპარკინგებდნენ და ახლა ხომ საერთოდ შეიძლება პირდაპირ მაღაზიაში გააჩერონ მანქანა“. მიუხედავად ამისა, გაგიკვირდებათ და ახალი კანონპროექტის იდეის ავტორი მამაკაცია.

დემოკრატი დევიდ გრინფილდი მიიჩნევს, რომ ორსულ ქალებს ნებისმიერ ადგილას უნდა შეეძლოთ მანქანის გაჩერება, თანაც სრულიად უფასოდ. ეს იდეა ცოლის მეორე ფეხმძიმობის დროს მოუვიდა. „როცა მატარებლით ვმგზავრობ და ფეხმძიმე ქალი შემოდის, ადგილს ვუთმობ. თავისუფალი პარკირების უფლებაც იგივე თავაზიანობაა ორსულებისადმი. ნიუ-იორკში რთულია ნორმალურად გადაადგილება, განსაკუთრებით როცა ორსული ქალი ხარ“, – განაცხადა იდეის ავტორმა.

კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, მოთხოვნის საფუძველზე ფეხმძიმეებს მანქანაზე მისაკრავი, თავიანთი მდგომარეობის აღმნიშვნელი სპეციალური სტიკერი გადაეცემათ. ეს კი, საშუალებას მისცემთ ნებისმიერ ადგილას გააჩერონ მანქანა, იქაც კი, სადაც ეს საერთოდ აკრძალულია. ორსულებს მხოლოდ იმ ადგილას ეკრძალებათ მანქანის გაჩერება, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვის არის ადგილი გამოყოფილი, რაც ამ უკანასკნელებს გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებს.

ახალი კანონპროექტი ჯორჯიასა და ოკლაჰომაში უკვე მოქმედებს, თუმცა იქ პარკირება არ არის ისეთი პრობლემური, როგორც ნიუ-იორკში.

*Newsbang.net*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## მოდაშია... გაუპარსავი და ბრჭყვიალებით მორთული იღლია?



ფემინისტების სურვილი, საზოგადოებაში ყველაფერ სექსისტურის აღმოფხვრისა დაუოკებელია. მათი პროტესტი ტრენდად იქცა და 2016 წელს ქალებისთვის მოდაშია არა მხოლოდ გაუპარსავი იღლია (ეს ცოტაა, შესაძლოა, ჭარბთმიანობით არ გამოირჩეოდეთ და სათანადო ყურადღება ვერ მიიქციოთ) არამედ მისი სხვადასხვა კრისტალებითა და ბრჭყვიალებით მორთვა.

ისე, მამაკაცები უკვე დიდი ხანია იპარსავენ იღლიას და არამარტო, ანუ ზედმეტი თმის მოშორება მხოლოდ ქალებისთვის არ არის მტანჯველი პროცესი, შესაბამისად, არც სექსისტობად შეიძლება ჩაითვალოს და რაზე ვდაობთ?

*myjane.ru*



– გითქვამს ცოლისთვის ოდესმე, რას ფიქრობ მასზე?

– კი, როგორ არა! გინდა, გაჩვენო ჭრილობა მკერდის არეში?

*****

10-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, ცოლი ქმარს ეკითხება:

– საყვარელო, რას იტყვი ამდენი წლის შემდეგ – გამარჯვებული ხარ თუ დამარცხებული?

– ეჰ, ძვირფასო, რაც დრო გადის, სულ უფრო ვრწმუნდები, რომ დაზარალებული ვარ, დაზარალებული!!!

*****

– საყვარელო, ხომ არ იცი, სახედრები რამდენ ხანს ცოცხლობენ?

– რა იყო, შეუძლოდ ხარ?

*****

– ვაშლი – ვიტამინებია, ვიტამინები – კუნთებია, კუნთები – ძალაა, ძალა – ძალაუფლებაა, ძალაუფლება – ფულია, ფული – სექსია, სექსი – შიდსია, შიდსი – სიკვდილია... გინდა ვაშლი?

*****



– მოქალაქე ლამზირა გ-ძე, როგორ შეძელით ასეთი საშიში სექსუალური მანიაკის დაკავება?

– რა გითხრათ, ბატონო მოსამართლე, დილისთვის უკვე ძალა აღარ ეყო, გაეგრძელებინა და მეც ზუსტად ამ დროს ჩავცხე თავში ბოთლი!

*****

– ამის დედა ვატირე, ამ ფიზიკას საერთოდ ვერაფერს ვუგებ!

– სიმართლე გითხრა, ეს ქიმიაა...

*****

ქმარი ცოლს:

– საყვარელო, იქნებ უარი გეთქვა ქათმის ხორცის ჭამაზე?

– ვითომ რატომ?!

– იმიტომ, რომ, რაც შენი სტატუსები წავიკითხე ინტერნეტში, მივხვდი, რომ ეს შენთვის კანიბალიზმია!!!

*****



– ყოჩაღ, კოტე, შენ ყველაფერი გააფუჭე!!!

– რატომ მეუბნები ამას?

– იმიტომ, რომ ცოცხალი არსებებისთვის ჰაერი ყველაფერია!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

გვერდი მოამზადა დარინა ქამადაძე 593 19-85-99

# ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას



მეუღლე ციცო დემეტრაშვილი, შვილები ხათუნა, დათუნა, ძმა შოთა სხირტლაძე, შვილიშვილები ჯიმიკო, იაკო, გიორგი, საბა, რატი და ალექსანდრე, რძლები ვერიკო სხირტლაძე, ლალი ბარათაშვილი, ძმისშვილი გიორგი სხირტლაძე იუწყებიან

## ჯიმი სხირტლაძის

გარდაცვალებას

**პანაშვიდი:** 3, 4 დეკემბერს;

**დაკრძალვა:** 5 დეკემბერს, 14 საათზე;

**მისამართი:** აკაკი წერეთლის №77, კორპ „ვ“.

მეგობრები დიტო ტყეშელაშვილი, ოთარ წეროძე, მურთაზ მამისეიშვილი, იუზა გიორგაძე, დიანა ლორთქიფანიძე, გიული დავლიანიძე, ნათელა თევზაძე ოჯახებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

## ჯიმი სხირტლაძის



გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## დამატებით გაკვეთილებზე დასწრებისთვის, ამერიკელ მოსწავლეებს ქრთამს აძლევენ



დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ მსგავსი მეთოდები ყოვლად მიუღებელია განსაკუთრებით მოზარდების შემთხვევაში, რადგან ადამიანი მიჩვეულს ძალიან რთულად თუ გადაეჩვევა ხოლმე და მით უმეტეს, როცა საქმე იოლი ფულის შოვნას ეხება!..

თურმე, იმისთვის, რომ მოსწავლეები მათემატიკისა და სხვა ტექნიკური საგნების დამატებით გაკვეთილებს დაესწრონ, ჯორჯიის შტატის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში მათ საათში 8 აშშ დოლარს უხდიან.

– ბავშვები ამ იდეას ძალიან დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ, – გახარებულია სკოლის დირექტორი მაიკ რობინსონი, თუმცა მისი კმაყოფილების გაზიარება ნამდვილად არ იქნებოდა საუკეთესო გადაწყვეტილება.

დირექტორისვე ინფორმაციით, არადამაკმაყოფილებელი ნიშნების გამო, დამატებითი გაკვეთილების დანიშვნა 40 მოსწავლისთვის გადაწყდა, თუმცა იმ მიზეზით, რომ მოზარდებს ამის სურვილი არ ჰქონდათ, მათთვის სპეციალური ფონდიც შეიქმნა, რომლიდანაც მოხდება კიდეც ქრთამებისთვის საჭირო თანხების გამოყოფა.

*etotupo.ru*

## ჰოლანდიელ და ბელგიელ პოლიციელებს უკმაყოფილება საზღვარზე ნაპოვნი გვამის გამო მოუხდათ



საკმაოდ დიდი გაწევ-გამოწევის მიზეზი გამხდარა ჰოლანდია-ბელგიის საზღვარზე ნაპოვნი მამაკაცის ცხედარი, რომელიც, სავარაუდოდ, მოკლული უნდა იყოს, თუმცა რა მოხდა რეალურად, ამის დადგენა არც ერთი ქვეყნის სამართალდამცველებს არ სურთ.

ჰოლანდიელები მოითხოვენ, რომ მკვლელობა ბელგიელებმა გამოიძიონ, რადგან მამაკაცის სხეულის დიდი ნაწილი სწორედ მათ ტერიტორიაზე იყო გადასული, ბელგიელები კი ამბობენ, რომ რადგან მოკლულს თავი ჰოლანდიის ტერიტორიაზე ედო, შესაბამისად, საქმეც ჰოლანდიელების გამოსაძიებელია.

როდემდე გაგრძელდება პოლიციელების მხრიდან დაწყებული წყლის ნაყვა, რთული სათქმელია. გასაკვირი კი ის არის, რატომ არ ფიქრობს არც ერთი მხარე, რომ რაც უფრო დიდხანს გაიწელება დრო, მით უფრო რთული გახდება დამნაშავის მოძებნა?!

*vesti.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

# ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04

**3 დეკემბერი:** თუ დღეს ვინმე დაგირეკავთ, აუცილებლად უპასუხეთ, დიდი ალბათობით, ეს თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ზარი იქნება.

### კურო 22.04-21.05

**3 დეკემბერი:** მოქმედებების თავისუფლებაში არავინ შეგზღუდავთ. თუ ვინმე მაინც შეეცდება, თავისი ადგილი მიუჩინეთ, ამის სრული უფლება გაქვთ.

### ტყუპები 22.05-21.06

**3 დეკემბერი:** სიტუაციას, რომელშიც იმყოფებით, მოულოდნელი ცვლილებები ახასიათებს, თავისი ყველა მოსალოდნელი შედეგით. ცვლილებებისთვის მოემზადეთ.

### კირჩხიბი 22.06-22.07

**3 დეკემბერი:** შეიძლება გარშემომყოფებიდან რომელიმეს მიმართ ნდობა დაკარგოთ. მიენდეთ ინსტინქტს და მზად იყავით მოულოდნელობებისთვის.

### ლომი 23.07-22.08

**3 დეკემბერი:** ძალიან თავდაჭერილი უნდა იყოთ და ყველაფერი ყურადღებით მოისმინოთ. თუკი ჩანიშვნებს არ გააკეთებთ, ნალაპარაკებიდან საღამოს შეიძლება აღარაფერი გახსოვდეთ.

### ქალწული 23.08-22.09

**3 დეკემბერი:** იდეალური დღეა ადრე გაწყვეტილი კავშირების აღსადგენად. დიდია ალბათობა, ძალიან ძველ მეგობრებსა და ნაცნობებს შეხვდეთ.

### სასწორი 23.09-22.10

**3 დეკემბერი:** მომაბეზრებელი და გამაღიზიანებელი ადამიანების შიში არ გქონდეთ. თქვენი ყურადღების მიპყრობაც რომ შეძლონ, ხასიათს ვერ გაგიფუჭებენ.

### მორიელი 23.10-21.11

**3 დეკემბერი:** ზომიერება და რეალობის შეგრძნება არ დაკარგოთ. თუკი თქვენით რაღაცას ვერ ახერხებთ, დახმარება ითხოვეთ. ნებისმიერი ზედმეტობა უსიამოვნებად დაგიბრუნდებათ.

### მშვილდოსანი 22.11-21.12

**3 დეკემბერი:** მიეცით თავს უფლება და ცოტა ხნით მაინც იოცნებეთ. ჯერ ერთი, ეს დასვენების კარგი საშუალებაა და მეორე – ღირს კი რეალობა იმად, რომ მისი საზღვრები არ დაარღვიოთ?

### თხის რქა 22.12-19.01

**3 დეკემბერი:** დღეს თქვენი მთავარი იარაღი სიტყვა იქნება. შეეცადეთ, მას ინტონაციურად მაქსიმალური წონა მისცეთ. შინაარსობრივ მხარეზე ბევრს ნუ იფიქრებთ.

### მერწყული 20.01-18.02

**3 დეკემბერი:** თქვენი ეჭვები, როგორც ჩანს, გამართლდება. როგორც კი ეს მოხდება, შესაბამისი მოქმედებები დაიწყეთ. ზედმეტი მტკიცებულებების ძებნა საჭირო არაა.

### თევზები 19.02-20.03

**3 დეკემბერი:** ბოლო ხანს საკმაოდ იშრომეთ და გადაღლილი ხართ. ყველაზე მნიშვნელოვანი ახლა ისაა, დასვენების როგორ ფორმას აირჩევთ.


**გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

**ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.**


## ახალ ზელანდიელ მამაკაცს ზღარბით თავდასხმის გამო გაასამართლებენ



შეიარაღებული თავდასხმა გაგვიგია პისტოლეტით, ავტომატით, ცივი იარაღით და კარგით, ბლაგვი საგნითაც, მაგრამ კრიმინალური მიზნებისთვის ზღარბის გამოყენება მართლაც სიახლეა, თანაც ძალიან უცნაური სიახლე.

როგორც ირკვევა, სწორედ ზღარბის გამოყენებით განუხორციელებია თავდასხმა ახალ ზელანდიელ უილიამ სინგალარჩს, რომლის შესახებაც იქაურ პოლიციაში ამბობენ, რომ მან ახალგაზრდა ქალის ხელჩანთის დაუფლების მიზნით, მსხვერპლს რამდენიმე მეტრიდან ზღარბი სახეში ესროლა, შემდეგ კი საწადელი ყოველგვარი გართულებების გარეშე აისრულა და ადგილიდან მიმალვა სცადა.

საბედნიეროდ, უილიამ სინგალარჩის სულელურ თავდასხმას თვითმხილველები შეესწრნენ, რომლებმაც მომხდარი მაშინვე სამართალდამცველებს ამცნეს და ბოროტმოქმედის დაკავებაც ძალიან მალე მოხერხდა.

დაზარალებულს სახეზე საკმაოდ სერიოზული დაზიანებები აქვს მიღებული, რის გამოც, თავდამსხმელს დამატებითი მუხლიც წაუყენეს. მას მინიმუმ 7 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

*mainfun.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



– ძვირფასო, სექსი არ გინდა?
– ბოდიში, საყვარელო, მაგრამ თავი მტკივა ძალიან...
– დაიძინე, ქალო, და მაცადე ტელეფონზე ლაპარაკი!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

» 211359457

**გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე**

**რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი**
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – **მიხეილ სახვაძე**
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე**
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი **ილია ჭაჭვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი **ლევან ბანეთიშვილი**



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**



**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008
9 772298 000000
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართია: აბაშიძე-ბაქაძ, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.57